

K127.654  
3



ԵՐԵՅՈՒՆ

ԵՐԵՅՈՒՆ

ՀԱՅԿԵՐԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ



# 3. ი თ მ ნ ე ი უ ჯ ი ლ ი

ს ე უ ი  
ხ ე ე ი

ლ ე  
ქ უ ლ ე  
ქ ხ ლ ე

K 127.654  
3.

ს ა მ ხ მ ვ გ ე ბ ე ლ ი ნ ა ვ ე ბ ე მ ბ ა ნ ი  
ქ ვ ე ლ ს ა ა ხ ა ლ ხ ე ვ შ ი



„საბჭოთა საქართველო“, თბილისი — 1967



ცხოვრების სიღრმის არჩილქაძის იხუთონია  
ანთიანი არჩილქაძის 3) ხევი.

902.7 C (41)  
902.7: 72+39) (47. 922)  
o 409



საქართველოს ეთნოგრაფია.

2.7 (c) (-99.9621) + 428 (c.922)

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მო-  
ხვევთა საცხოვრებელი ნაგებობების ძვე-  
ლი და ახალი ფორმების შესწავლისადმი  
მიძღვნილ გამოკვლევას.

ნაშრომი დაწერილია ხევში შეკრებილი  
ახალი ეთნოგრაფიული მასალისა და სა-  
თანადო ლიტერატურული მონაცემების  
საფუძველზე. მასში განხილულია მშე-  
ნებლობის ხალხური წესები, შესწავლი-  
ლია ძველი და ახალი ტიპის ნაგებობანი,  
გამოვლენილია მასთან დაკავშირებული  
სოციალური ურთიერთობის თავისებუ-  
ლებანი.

სსსს-2000  
შემოწმებულია

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

საინტერესო ისტორიული წარსულისა და მდიდარი კულტურის მქონე საქართველოს რაიონებს შორის ხევი (თანამედროვე ყაზბეგის რაიონი) მრავალმხრივ საყურადღებო კუთხეა. სხვა რომ არაფერი, იგი მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, ხოლო მის ფარგლებშივე შედის დარიალის კარიბჭე — ჩრდილოეთთან სამხრეთის დამაკავშირებელი სტრატეგიული პუნქტი.

ტერიტორიითა და მოსახლეობით ხევი არ არის დიდი, მაგრამ უაღრესად მდიდარია ის თავისი წარსულით, კარგად დაცული ქართული ტრადიციებით, ფოლკლორითა და მატერიალური კულტურის ძეგლებით.

ხევი ძველთაგანვე მრავალ მკვლევარს, მწერალს და მოგზაურს იზიდავდა. ხევის ბუმბერაზი ბუნების, თოვლ-ყინულით შევერცხლილი მყინვარწვერისა და მყინვართა კალთებზე დაბადებული მშფოთვარე თერგის შესახებ ბევრს წერდნენ ქართველი, რუსი თუ უცხოელი მწიგნობარნი, ხევის მომხიბლავ ადგილებს გატაცებით ხატავდნენ ფუნჯის ოსტატები.

სამწუხაროდ, ყველა ეპოქის შემოქმედებითს მემკვიდრეობაში ცალმხრივი გატაცება იგრძნობა: მკვლევართა და ხელოვანთა შთაგონების მთავარ წყაროს ხევის გეოგრაფია წარმოადგენდა, ხოლო იქ მცხოვრები ქართველი მთიელების შესახებ თითო-ოროლა სტრიქონს თუ გაიმეტებდნენ. უმეტეს შემთხვევაში ასეთი ძუნწი აღწერილობაც სრულ გაუგებრობას ქმნიდა, რასაც სამართლიანი კრიტიკით გამოეხმაურა ამ კუთხეში დაბადებული და გაზრდილი დიდი ქართველი მწერალი ალ. ყაზბეგი<sup>1</sup>.

ხევის შესახებ ძუნწი ცნობები მოგვეპოვება ქართულ საისტორიო მწერლობასა და დოკუმენტებში. რაც შეეხება მის ეთნოგრაფიულ აღ-



წერილობას, ამის ცდები მოცემულია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიაში<sup>2</sup>, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში<sup>3</sup>, ალ. ყაზბეგის ეთნოგრაფიულ და მხატვრულ ნაწერებში<sup>4</sup>, ალ. ხახანაშვილის ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ მიმოხილვაში<sup>5</sup>, XIX საუკუნის საგაზეთო წერილებში და სხვა. ხევის ეთნოგრაფიულად შესწავლის საქმეს შედარებით მეტი ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საბჭოთა ეთნოგრაფთაგან ხევს სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს ს. მაკალათიამ<sup>6</sup>, რ. ხარაძემ<sup>7</sup>, გ. ჯალაბაძემ<sup>8</sup>, ი. ნანობაშვილმა<sup>9</sup>. ხევის წარსულს ეხება ჩვენი ზოგიერთი მონოგრაფიული გამოკვლევა და ცალკეულ საკითხებზე დაწერილი შრომები<sup>10</sup>.

ხევის ეთნოგრაფიის რიგი საკითხების კომპლექსური შესწავლის მიზნით 1957 და 1958 წწ. ყაზბეგის რაიონში მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპედიცია. 1957 წელს ექსპედიციამ მოიარა ხევი და შეაგროვა მასალები მოხევეებით დასახლებული მისი ორივე ხეობის—თერგისა და სნოს ხეობის სოფლებში<sup>11</sup>. 1958 წელს ექსპედიციამ მუშაობა განაგრძო თრუსოს ხეობაში, ყოფილი დვალეთის ტერიტორიაზე, რომელიც მდინარე თერგის სათავეებს მოიცავს, დასახლებულია სხვადასხვა დროს შემოხიზნული ოსებით, თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ყაზბეგის რაიონში შედის და გეოგრაფიულადაც ხევისგან განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ექსპედიცია სწავლობდა ხსენებული ხეობების მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფისა და შინამრეწველობის საკითხებს. მუშაობის შედეგები მოხსენდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას, ხოლო ზოგიერთი ნაშრომი ცალკე სტატიის სახით გამოქვეყნდა<sup>12</sup>.

როგორც ამ ექსპედიციებში მონაწილეობის დროს, ისე 1959 წლის ზაფხულში მივლინებისას ჩვენ ვსწავლობდით საცხოვრებელ ნაგებობათა ძველსა და ახალ სახეობებს.

საველე მუშაობის ობიექტებს წარმოადგენდნენ თერგისა და სნოს ხეობების მოხევეებით დასახლებული სოფლები: ყანობი, ხურთისი, ფხელშე, გორისციხე, სიონი, ფანშეტი, ყაზბეგი, გერგეტი (თერგის ხეობა), სნო, ახალციხე, ქოსელი, კარკუჩა (სნოს ხეობა). ხევის საცხოვრებელი ნაგებობების შესწავლისათვის საჭირო შესადარებელი მასალა

მოვიპოვეთ 1958 წელს თრუსოს ხეობაში, ხოლო 1959 წელს ხევის <sup>მე-</sup>  
ზობელ მთიულეთ-გუდამაყარში (დუშეთის რაიონი). <sup>ადგილზე</sup>

წინამდებარე ნაშრომს საფუძვლად დაედო ჩვენ მიერ <sup>აღვიწყვეტილი</sup>  
გაკეთებული ეთნოგრაფიული აღწერილობა და ის გრაფიკული მასალა,  
რომლის მცირედი ნაწილი ეკუთვნის ვ ლ ა დ ი მ ე რ წ ი ლ ო ს ა ნ ს,  
ხოლო ძირითადად ეს სამუშაო 1958 წელს შეასრულა ახალგაზრდა  
არქიტექტორმა ვ ა ჟ ა გ ი ვ ა შ ვ ი ლ მ ა. ზოგიერთი სურათი გა-  
დაიღო ი უ რ ი პ ი ნ ა ე ვ მ ა.

ნაშრომის დაწერა განაპირობა საკვლევი საკითხის აქტუალობამ.  
როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებით მწვავედ  
დაისვა საკითხი მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვა-მოვლისა  
და შესწავლის გადაუდებელი საჭიროების შესახებ. ამ მიზნით პირვე-  
ლად საქართველოში შეიქმნა კულტურის ძეგლთა დაცვის ნებაყოფ-  
ლობითი საზოგადოება. საზოგადოების ყრილობაზე საცხოვრებელ ნა-  
გებობათა დაცვა-შესწავლის საჭიროების საკითხსაც სათანადო ყურად-  
ღება მიექცა. სამართლიანად თქვა ამის შესახებ ვარლამ თოფურიაშვილი,  
რომ „კულტურის ძეგლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო არქეოლოგიუ-  
რი გათხრებით მოპოვებული განძეულობა, სახვითი ხელოვნების ნიმუ-  
შები, საკულტო თუ თავდაცვითი ნაგებობანი (ტაძრები, ეკლესია-მო-  
ნასტრები, სამრეკლოები, ციხე-ბურჯები, ვალაყნები, კოშკები და სხვ.),  
არამედ ძველი ტიპის საცხოვრებელი სახლებიც (დარბაზი, დუროიანი  
სახლი), საოჯახო ნაგებობანი — ძველებური ბელელი, მარანი, სასოფ-  
ლო-სამეურნეო იარაღები (სახენელი, მარხილი, საქსოვი, ღომის სა-  
ცეხვი, სიმინდის საფშენელი...), საოჯახო ჭურჭელი და ავეჯი (საგო-  
მელა, საკარცხული, სკამსაკაცე, სკამლოგინი და სხვ.), ხეხილისა და  
მარცვლეულის ჯიშები (პურეული: მახა, ზანდური და სხვ.)“<sup>13</sup>.

სხვადასხვა დროის საკულტო და საფორტიფიკაციო ძეგლთა გარდა  
ხევში მრავლად არის წარმოდგენილი საცხოვრებელ და სამეურნეო ნა-  
გებობათა ნაირსახეობანი, რომელთათვისაც დამახასიათებელია, ერთი  
მხრივ, კუთხური თავისებურებანი, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული  
ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის ნიშანდობლივი მხარეები. მატე-  
რიალური კულტურის ეს ძეგლები ერთნაირად საყურადღებოა რო-  
გორც ხელოვნებათმცოდნეების, ისე ეთნოგრაფებისათვის. პირველნი  
ძირითადად სწავლობენ ნაგებობის არქიტექტურულ აღნაგობას, ხო-



ლო ეთნოგრაფები, ამასთან ერთად, მისთვის ნიშანდობლივ საყოფაცხოვრებო თავისებურებებს, მის სოციალურსა და სარწმუნოებრივ ელემენტებს.

ხევის ხუროთმოძღვრული ძეგლების სისტემატური შესწავლა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დაიწყო. ადრე გამოქვეყნებული სხვადასხვა რიგის ნაშრომებში კი მხოლოდ ფრაგმენტული და ხშირად არასწორი ცნობები გვხვდება. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაკლოვანია რუს და უცხოელ მოგზაურთა ნაწერები, რომელთა კრიტიკულ შეფასებას ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით ვ. დოლიძე იძლევა თავის საკანდიდატო დისერტაციაში<sup>14</sup>.

ხევში არსებული ზოგიერთი ძეგლის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიაში“<sup>15</sup>.

ვახუშტის ცნობებზე და ხევში შეგროვებულ მასალებზე დაყრდნობით რამდენიმე საინტერესო ფაქტი აღბეჭდა ი. ჭავჭავაძემ თავის მხატვრულ ქმნილებებში, რომელთაც ჩვენ ი. ჭავჭავაძის შესახებ დაწერილ ნაშრომში ვეხებით<sup>16</sup>. ხევის ზოგიერთ ძეგლს საგანგებოდ იკვლევდა ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე<sup>17</sup>.

ნაგებობათა შესწავლისას საყურადღებოა ქართული პერიოდიკის ფურცლებზე გამოქვეყნებული ხალხური გადმოცემებიც, რომლებსაც ილია ჭავჭავაძის თაოსნობით კრებდნენ ადგილზე მომუშავე კორესპონდენტები<sup>18</sup>.

მოხუერ საცხოვრებელ ნაგებობათა ზოგიერთ მხარეს ვაკვრით შეეხო ალ. ყაზბეგი<sup>19</sup>, ხოლო ქართველ ეთნოგრაფთაგან მისი მოკლე აღწერილობა პირველად მოგვცა ს. მაკალათიამ<sup>20</sup>.

მოხევეთა ორსართულიანი სახლები მოკლედაა აღწერილი რ. ხარაძის ორ ტომად გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში. მონოგრაფიის პირველ ნაწილში ავტორი აღწერს რა მოხევეების საოჯახო თემს, დიდი ოჯახის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების რთული კომპლექსის ძირითადი ელემენტების სოციალური ფუნქციების თავისებურებასაც ავლენს<sup>21</sup>. ხევში არსებული საცხოვრებლების დახასიათებას იძლევა მკვლევარი მონოგრაფიის მეორე ნაწილშიც, სადაც ძველი დროის ქართული საცხოვრებელი ნაგებობანი საოჯახო ყოფის ძირითადი საკითხების კვლევასთან დაკავშირებითაა განხილული<sup>22</sup>.

ხევის საცხოვრებელ ნაგებობათა შესწავლისათვის საყურადღებოა



ს. ბედუქაძის ნაშრომი, <sup>23</sup> რომელშიაც თავმოყრილია მოხეური ფოლკლორის ნაბეჭდი მასალებიდან ამოკრებილი ხალხური ტერმინები.

ხევის საფორტიფიკაციო ძეგლებს ეხება პ. ზაქარაია, <sup>24</sup> ხოლო საკულტო, საფორტიფიკაციო და საცხოვრებელ ნაგებობათა მოკლე აღწერილობაა მოცემული ვ. დოლიძისა და რ. შამერლინგის ნაშრომში. <sup>25</sup>

დასახელებული წიგნის თანაავტორმა ვ. დოლიძემ ერთ-ერთ ძველ ეკლესიას საკანდიდატო დისერტაცია მიუძღვნა, ხოლო იგივე მკვლევარი მოხეურ სახლებს შედარებით ვრცლად ეხება სპეციალურ ნაშრომში <sup>26</sup>, რომელიც ხევის ძველ საცხოვრებელ ნაგებობათა არქიტექტურულად შესწავლის მიზნით დაწერილ პირველ მეცნიერულ გამოკვლევას წარმოადგენს.

ამ ნაშრომში ვ. დოლიძე იძლევა „ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლის მხოლოდ ყველაზე უფრო საყურადღებო ნიმუშთა ანაზომებს და აღწერა-ანალიზს“. ავტორის აზრით, ასეთ საყურადღებო ნაგებობებს განეკუთვნებიან „ორსართულიანი ბანიანი სახლი, საცხოვრებელი კოშკი და ციხე-სახლი“ <sup>27</sup>.

როგორც ვხედავთ, ვ. დოლიძეს მიზნად არ დაუსახავს ხევის საცხოვრებელი სახლების მონოგრაფიულად შესწავლა. მისი მართებული შეხედულებით, ამ ამოცანის გადაჭრა სცილდება ხელოვნებათმცოდნეთა შესაძლებლობის ფარგლებს და საჭიროებს მათთან ერთად ეთნოგრაფების მონაწილეობასაც. ჩვენც ვითვალისწინებთ რა ამ გარემოებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ აღნიშნული საკითხი ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე და შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ მისთვის ნიშანდობლივი თავისებურებანი. უფრო მეტიც, ვინაიდან ვ. დოლიძის ნაშრომში მხოლოდ ძველი სახლის რამდენიმე ტიპური ნიმუშია შესწავლილი, ჩვენ მიზნად დავისახეთ როგორც მათი, ისე მათგან განსხვავებულ ძველ საცხოვრებელ ნაგებობათა თავისებურებების შესწავლა ამ ნაგებობათა არქიტექტურული ფორმების გთვალისწინებისა და უფრო მეტად კი ადგილზე შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. ამასთან ერთად საჭიროდ მივიჩინეთ დაგვედგინა ძველი ტიპის ნაგებობების ახლით შეცვლის პროცესი და გვეჩვენებინა ახალი ტიპის ნაგებობათა სახეობანი.

ამ თვალსაზრისით ნაგებობების შესწავლის ფონზე შესაძლებელი ხდება საკვლევი რაიონის ყოფა-ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა დადგენა, რამდენადაც სახლი კულტურის ყველაზე უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები ელემენტთაგანია.

## I. სახლის მშენებლობის ხალხური წესები

როგორც ყველგან, ხევშიც სახლის აშენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა სასახლე ადგილის შერჩევა და სამშენებლო მასალის დამზადება.

ჩვეულებისამებრ ეს საკითხი დგებოდა ოჯახის გაყრის ან ნაგებობის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ. ხოლო ვინაიდან აქაური სახლი ქვის მკვიდრ ნაგებობას წარმოადგენდა და დიდხანს სძლებდა, ახალი სახლის აშენებაც იშვიათად ხდებოდა.

მშენებლობის ასეთ ნელ ტემპს აპირობებდა საოჯახო ყოფის სპეციფიკაც. ცნობილია, რომ ხევში, ისევე როგორც საქართველოს მთელ რიგ სხვა კუთხეებში, გადმონაშთური ფორმით ხანგრძლივად იყო შემონახული საოჯახო თემი. ამიტომ მოხვევ სახლს იმ ვარაუდით აშენებდა, რომ ის გამოსადეგი ყოფილიყო 4—5 თაობამდე გაუყრელად მყოფი ოჯახისა და შემდეგ კიდევ მისი სეგმენტაციის საფუძველზე წარმოქმნილი ზოგიერთი ახალი ოჯახის საცხოვრებლადაც. ასეთი ვითარება იმის მაჩვენებელია, რომ ერთი სახლი დიდხანს უნდა მდგარიყო, რამდენადაც ჯერ 4—5 თაობამდე გაუყრელად ცხოვრება, ხოლო შემდეგ განაყრებისათვის მისი გამოყენება საკმაოდ დიდი დროს გასვლას გულისხმობდა.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ საოჯახო თემიდან გამოყოფილი ოჯახების მხოლოდ ერთი ნაწილი შეიძლებოდა მოთავსებულიყო ძველ სახლში, მაგრამ ვინც იქ ველარ ეტეოდა, ისიც მამა-პაპისეულ უბანშივე ცდილობდა დასახლებას. ხევის სოფლისათვის დამახასიათებელი დასახლების სიმჭიდროვე კი მშენებელს აიძულებდა სახლი ძალაუნებურად თავისი პატრონიმიული უბნის კომპლექსში შემავალი ერთი რომელიმე ნაგებობის კედელზე მიეშენებინა. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში გამორიცხული იყო სურვილისამებრ



სასახლის არჩევის შესაძლებლობა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ხი, ფართობის უქონლობის გამო, თავის პატრონიმიულ უბანს უბრუნდებოდა და შედარებით ფართო ტერიტორიაზე სახლდებოდა, შესაძლებელი ხდებოდა სასახლე ადგილის ამორჩევაზე ზრუნვაც.

არჩევანის შესაძლებლობის პირობებში სასახლე ადგილი უნდა ყოფილიყო მშრალი, მზისპირი, ზევის, მეწყერისა და ქარისაგან დაცული, სასამელ და საწისქვილე წყალთან ახლოს და მტრის თავდასხმის შემთხვევაშიც საიმედო.

სასახლე ადგილის ამორჩევის შემდეგ იწყება მასალის მომზადება და მოტანა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული ხე-ტყის მასალის მოპოვება, რამდენადაც უტყეო ხევის მოსახლეობა დამოკიდებულია ჩრდილო კავკასიასა და მთიულეთზე. განსაკუთრებით ჭირდა ეს მაშინ, როდესაც მოხევის ტრანსპორტს ხარბარხილი ან ცხენ-ურემი წარმოადგენდა. ასეთი იყო ვითარება საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებამდე თვითსაბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც, ხოლო XIX საუკუნეში ხომ უკეთეს მდგომარეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მოხვევების მდგომარეობა არც XVIII საუკუნეში ჩანს სახარბიელო, რამდენადაც ამ ეპოქის ცოცხალი მემკვიდრე ვახუშტი ბაგრატიონი ხევს უტყეო კუთხედ გვისურათებს. ვახუშტის ცნობიდან, რომ „არა არს ტყე აქა, არამედ ზიდვენ გველეთის ქვემოდამ“<sup>28</sup>, ნათლად ჩანს, რომ ტყე შემორჩენილი ყოფილა მაშინდელი ხევის მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო რამდენადაც საქართველოს საზღვარი დარიალის კარიბჭეში თავდებოდა, ტყიან მხარედ აქ ნაგულისხმევაა 5—6 კილომეტრზე გაჭიმული კლდოვანი ხეობა გველეთიდან დარიალამდე. მაგრამ როგორც მთხრობლები თავიანთი წინაპრების ნაამბობს გადმოგვცემენ, ისტორიული ხევი ასე ღარიბად არ გამოიყურებოდა და მის ტერიტორიაზეც ყოფილა მეტ-ნაკლები სიდიდის ტყის მასივები. ზეპირ გადმოცემებთან ერთად ამაზე მეტყველებს აქა-იქ შემორჩენილი ტყეების ნაშთები (დათვიან ტყე — სოფ. ვერგეტში, არეში სთავი — სოფ. ყაზბეგში, წმინდა სამების ტყე — სოფ. სიონში, თარანგლოზის ტყე — სოფ. ყანობში, არყით, ვერხვით და ჯაგნარით შემოსილი სნოს ხეობის ფერდობები, სოფ. ხურთისისა და სოფ. ტყარშეტის ტყის ბუჩქები და ა. შ.), ოდესღაც ტყით შე-



მოსილი, მაგრამ დღეისათვის შიშველი ადგილების სახელები (ს ა მ ტ ვ ე რ ე ს ტყე, ფ ი ჭ ვ დ ა დ მ ე ბ ი, ტყე-თ ა ნ ა ჯ, ე კ ა ლ ი, ე კ ა ლ თ ა ვ ე ბ ი და სხვა) და დამეწყრებულ მიწის ფენებში ხშირად ნაპოვნი უზარმაზარი მორები. ამ მორებს მოხევეები „ნაძვებს“ უწოდებენ და მზეზე გამრობის შემდეგ საწვავად იყენებენ.

თუ ხის მასალის მოპოვება ხევში გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, სამაგიეროდ ისეთი საშენებლო მასალით, როგორიცაა ქვა და მიწა, სახლის მშენებელი ძველადაც უზრუნველყოფილი იყო და არც დღეს სჭირდება მისი სხვაგან ძებნა.

ქვის დამზადება ბევრადაა დამოკიდებული მანძილზე, მისადგომი გზის ავკარგიანობაზე, ტრანსპორტზე და, რაც მთავარია, ქვის ჯიშსა და ხარისხზე. ხევის სოფლების მიხედვით ამ მხრივ ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ყანობში და ხურთისში თითქმის ყველა ჯიშის ქვაა, რომელიც კი ხევის ფარგლებში მოიპოვება. ასეთია: ბ ა ს რ ი, კ ა ჭ ი (ფიქალი), კ ო ხ ი, ს ი პ ი, კ ე რ კ ე ნ ი, რ ი ყ ი ს ქ ვ ა, თ ლ ი ლ ი ქ ვ ა, და ა. შ. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ყაზბეგში, გერგეტში და ფანშეტში. ქვის ნარევი ჯიშები საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი აგრეთვე ახალციხეში, კარკულასა და ტყარშეტში. სხვა სოფლებში ზოგან ქვის ერთი ჯიშია გარვცელებული და ზოგან კიდევ—მეორე. მაგალითად, სიონში, გორისციხეში და ფხელშეში სახლების მშენებლობა კოხითა და თლილი ქვით სწარმოებს, ხოლო სნოში არამც-თუ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, არამედ ციხე-კოშკებისა და საკულტო ნაგებობათა დიდი ნაწილიც კი სულ ფიქალითაა აშენებული.

ქვის ნაირი ჯიშებისა და სიდიდის მიხედვით არსებული სახელწოდებების შესახებ საინტერესო ცნობებია წარმოდგენილი სათანადო ლიტერატურაში<sup>29</sup>.

ქვის დამზადებისა და მიტანის დროს წესად იყო მიღებული მეზობლების უსასყიდლო დახმარება საკუთარი ტრანსპორტით და იარაღით, რასაც ხევში ქ ვ ი ს უ ლ ა მ ი ერქვა. ასეთსავე დახმარებას ადგილი ჰქონდა სახლის მშენებლობის დროსაც, რასაც პირველისაგან განსხვავებით ს ა ხ ლ ი ს უ ლ ა მ ი ეწოდებოდა. ორივე შემთხვევაში უმთხვევაში ულამში გაერთიანებულ მეზობლებს მასპინძელი ჰქედი-



ლას უკლავდა და სადილ-ვახშამს უმართავდა. ძველთაგან მომდინარეობს ეს წესი დღესაც შემონახულია ხევში.

სახლის მშენებლობის დროს დახმარების ანალოგიური წესები სრულდებოდა ჩვენი სამშობლოს სხვა კუთხეებშიც. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ქვისა და ხე-ტყის მიტანაში დახმარებას მამითა დი, ნაცვალგარდა ან ულაში ეწოდებოდა<sup>30</sup>, ხოლო მშენებლობის დროს დახმარების ეს ფორმა თრიალეთში „მოდგამის“ მნიშვნელობის მქონე თურქული სიტყვის— ქომაგ-ის სახელწოდებითაა ცნობილი<sup>31</sup>.

\* \* \*

მშენებლობის პირველ ეტაპს წარმოადგენდა საძირის გათხრა და საძირკვლის ჩაყრა, რასაც წინ უძღოდა სათანადო რიტუალის შესრულება: ოჯახის უფროსი სანთელს ანთებდა, ბატკანს კლავდა და ე. წ. „სახლის ანგელოზს“ ბედნიერ მომავალს შესთხოვდა. ისევე დაარტყამდა პირველად წერაქვს და შეუდგებოდნენ მუშაობას.

საძირის სიღრმეს განსაზღვრავდა ნიადაგის თვისება. როდესაც „სამყაროზე“ (მყარ ნიადაგზე) დავიდოდნენ, იწყებდნენ საძირკვლის ჩაყრას. ამ შემთხვევაშიც პირველად ოჯახის უფროსი წინა ფასადის კუთხეში კარგად გაკუთხულ სამ ქვას დადებდა და სამების სახელზე ლოცვის წარმოთქვამდა. ამის შემდეგ ოჯახის დანარჩენი წევრები საძირეში ერთ რიგად გააწყობდნენ ქვებს, ხოლო ოჯახის უფროსის მითითებით მცირეწლოვანი ბავშვი ოთხივე კუთხეში დებდა ვერცხლის ფულებსა და ურძნის ნაჭრებს. ფული ოჯახის ბარაქიანობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, ხოლო ურძენს, როგორც მაგარ ხეს, მავნე სულთაგან სახლის დაცვის უნარს მიაწერდნენ.

აღნიშნული რიტუალის შესრულების შემდეგ კედლის შენება უკვე კალატოზისა და სახლის ულაშში მონაწილე პირების მონაწილეობით ხდებოდა.

თუ ულაშში მონაწილეობა მეზობლური ურთიერთდახმარების პრინციპზე იყო დამყარებული, სამაგიეროდ კალატოზს გარიგების საფუძველზე საზღაური ეძლეოდა უმთავრესად ნატურის (ძროხა, ცხვარი), ხოლო შედარებით იშვიათად ფულის სახით. ოსტატის (კალატო-



ზის) მოყვანა მოხევეს სხვა კუთხიდან არ უწევდა. პირიქით კედლის მშენებლობაში გაწაფულ მოხევე ხელოსნებს მეზობელი მთიელები (მაგალითად, ხევსურები) იწვევდნენ და თავიანთ სახლებს მათ აშენებინებდნენ.

კედლის შენების პროცესში კალატოზი ებმებოდა საძირკვლის ჩაყრასთან დაკავშირებით სავალდებულო ზემოაღნიშნული რიტუალის შესრულების შემდეგ. რაკი საძირკვლის ამოყვანა მომთავრდებოდა, კალატოზი მას კარგად მოასწორებდა და „ფუძის დასადებლად“ შეამზადებდა. ე. ი. საძირკვლის ზემოთ საფუძვლის დაშენება, ანუ, როგორც მოხევეები ამბობენ, „ფუძის დადება“ ხდებოდა. საძირკვლის ზედაპირზე ჯერ კედლის სიგრძის მიმართულებით დააწყობდნენ გრძელსა და ბრტყელ ბასრებს ან სიპებს, ხოლო მეორე წყებად ვარდივარდმო, კედლის სიგანეზე გამწვდომ ასეთსავე გრძელსა და ბრტყელ ქვებს განლაგებდნენ. პირველი მათგანის ადგილობრივი სახელწოდებაა **ს ა ლ ა ა ჯ**, ხოლო მეორისა — **შ ა დ ა გ ი**.

საძირკვლის ჩაყრისა და საფუძვლის ამ წესით დადგმის გამო კედლის ამოყვანაც სავალა-შადაგის სარტყლების მონაცვლეობით წარმოებდა. კედლის ასე გება განსაკუთრებით გავრცელებულია იქ, სადაც სამისოდ გამოსადეგი ბრტყელი და გრძელი ქვა მოიპოვება. ამ მხრივ გამოირჩევა სოფ. სნო, ხოლო იქ, სადაც ასეთი სამშენებლო მასალის ნაცვლად გავრცელებულია ქვის ნაირი ჯიშები, ზემოხსენებული პრინციპით მშენებლობის შესაძლებლობაც თავისთავად გამოირიცხულია. ასეთი მასალით კედლის დადგმა ვაცილებით რთულ საქმეს წარმოადგენდა და უსათუოდ გამოცდილი კალატოზის ხელს საჭიროებდა. მის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ქვების ისე განლაგება, რომ კედლის გადაბმის საკითხი წარმატებით გადაჭრილიყო. ამ მხრივ ოსტატისთვის შედარებით იოლი იყო კედლის გება თლილი ქვით. ასეთი კედელი ვაცილებით უფრო მკვიდრ ნაგებობას წარმოადგენდა, მაგრამ სამაგიეროდ დიდი შრომა და დრო იხარჯებოდა თითოეული ქვის გამოთლაზე.

მშრალად ნაგები კედლის გულის შესავსებად იყენებდნენ ქვის ნატეხებსა და მიწას. დაახლოებით 500—1000 გრამი წონის ქვის ნამტვრევებს ხევში ეწოდება **ჭ ო ჭ ყ ი**, უფრო წვრილ ანატეხებს **ნ ა ტ ა - შ ი**, ხოლო კედელში ქვის ნატეხების დატანების პროცესს **ჭ ქ ვ ი ა** დ ა - **ჭ ო ჭ ყ ვ ა**. კედელში მიწას აყოლებდნენ სახლის დათბილების მიზნით.



კედლის ოსტატურად გადაბმასთან ერთად დიდი ყურადღებით ცეოდა კუთხეების ამოყვანას. ასევე, კედლის სიმაგრის მიზნით დათანობით ავიწროვებდნენ იმ ვარაუდით, რომ საძირკველში ერთი მეტრი სიგანის კედელი სათავეში 10—15 სანტიმეტრით ნაკლები სიგანისა გამოსულიყო. ამასთან ერთად, წინა და უკანა კედლები ფერდობისკენ ოდნავ გადახრილი უნდა ყოფილიყო, რათა ნაგებობის სიმძიმის ცენტრს წინა ფასადისაკენ არ გადმოენაცვლა.

შენიშნულობის პროცესშივე იყო გათვალისწინებული თალიანი კარების, შიგნიდან ფართე, მაგრამ გარედან ვიწრო სარკმლებისა და ასეთივე მოყვანილობის, ოღონდ გარედან კიდევ უფრო ვიწრო სათოფურების დატანება. კარისთავეზე თლილი ქვები იდგმებოდა, სარკმლის თავეზეც მაგარ ქვას დებდნენ, ხოლო ზღურბლად ფიქალის დაგებას ერიდებოდნენ, რადგან ის ადვილად იმტვრევა და ცვდება. მთხრობლების გადმოცემით, სახლი შვიდ მამამდე (7 თაობამდე) მაინც უნდა მდგარიყო და ზღურბლადაც გამძლე ქვის შერჩევას ამიტომ თვლიდნენ საჭიროდ.



კედლების ამოყვანასთან ერთად ხდებოდა საყრდენების დადგმა და სართულების გადახურვა.

საყრდენებად გამოყენებული იყო ოთხკუთხად ამოყვანილი და მშრალი წყობით მკვიდრად ნაგები ქვის ბოძი — ე.წ. კ უ ლ ა, დ ე დ ა ბ ო ძ ე ბ ი, ანუ შ უ ა ბ ო ძ ე ბ ი (ხისა) და ბ ო ძ ე ბ ი (დამხმარე ბოძები, აგრეთვე ხისა).

კულები და დამხმარე ბოძები პირველი სართულის ჭერს იმაგრებდა, ხოლო ზოგიერთი კულა მეორე სართულის ჭერამდეც ყოფილა აღმართული. რაც შეეხება შუაბოძებს, ის იდგა პირველი სართულის იატაკზე, ხოლო თავით ებჯინებოდა მეორე და ზოგჯერ მესამე სართულის ჭერსაც. სხვა შემთხვევაში ის დედაბოძი ვერც იქნებოდა. ბოძი, რომელიც მხოლოდ ერთი სართულის სიმაღლისა იყო, ხევში დედაბოძის სახელს არ ატარებდა.

პირველ სართულზე კულას ამოშენების შემდეგ ორ მოპირდაპირე კედელზე გადებდნენ უზარმაზარ ხეს, რასაც ხევში ტ ა ნ ი ეწოდებოდა. თუ სახლი დიდი მოცულობისა არ იყო, მაშინ მხოლოდ ერთი



კულა კეთდებოდა ოთხკედელშუა მოქცეული ფართობის მატარებელში. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაგებობა დიდ ფართობს მოიცავდა და გრძელი ტანის დაზნექა იყო მოსალოდნელი, ორ კულას აშენებდნენ ერთიმეორის გასწვრივ. ზოგჯერ კი ცენტრში მდგარი ერთი კულას ორივე მხარეზე თითო ან ორ-ორ ბოძს დგამდნენ, რათა დამატებითი კულას აშენებით ნაგებობის ფართობი არ შემცირებულყო.

უნდა აღინიშნოს, რომ მოხვევები კედლებში ხეების დატანებას ერიდებოდნენ, რათა კედელი არ გადატვირთულიყო. ამის გამო, კედლების გასწვრივ ბოძებს დგამდნენ. თითოეულ ბოძს თავზე ადგამდნენ ე. წ. თავქუდს (იხ. ტაბ. VI, სურ. 1, 3), ხოლო ზედ ნაპირის ტანებს ანუ თავხეებს რთავდნენ. ასეთ შემთხვევაში, გადახურვის სისტემაში სამი დიდი ხის ვართვა ხდებოდა—ერთისა ცენტრში და ორისა ნაპირებზე. ნაპირის ტანების, ანუ თავხეებისაგან განსხვავებით ცენტრალურ მორს ერქვა შაშუალ ტანი, ე. ი. შუაში გადებული ტანი. ტანსა და თავხეებზე ეწყობოდა მომცრო ზომის ხეები, ხოლო ხეებზე მაჯის სიმსხო სარები, რასაც მოხეურად ეწოდება ჭერი. ჭერზე აწყობდნენ ქვის ბრტყელ ფილებს (ჭაჭებს), ჭაჭებზე აყრიდნენ წვრილ კოწახურს, ნეკერს ან ჯაგის ეკალს, შემდეგ ფენდნენ სვილის ჩალას (ლაბარს), ხოლო ზედ აყრიდნენ მიწას და მაგრად ტკეპნიდნენ.

მეორე და მესამე სართულის გადახურვაშიც ხეებისა და რიგი სხვა მასალის წყობის ანალოგიური სურათი გვაქვს. ასეთი სახურავის ძველი მოხეური სახელწოდებაა ხეჭერი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დასახლებული შემადგენელი ნაწილებიდან სახურავის კომპლექსის მთავარი ელემენტებია ხეები და ჭერი. მაგრამ თავისი დანიშნულების მიხედვით არც სხვა მასალაა უგულვებელსაყოფი. მოხვევებმა კარგად იციან, რომ ჭაჭი (ფიქალი) ერთი მხრივ, სახურავზე დაყრილ მიწას არ აძლევს დაბლა ჩამოცვენის შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, მიწაში გაყონილი სინოტივისაგან იფარავს და დაღობის საშიშროებისაგან უზრუნველყოფს მის ქვეშ მოქცეულ ხეებს. ჭაჭთან ერთად მიწას იჭერს და სიცივეს არ უშვებს ჭერზე ვაფენილი ფიჩხი და ჩალა.

ბანისათვის ვარგის წყალგაუმტარ მიწად მიჩნეული იყო ყვითელი ან შავი ფერის „სამყარო“ (თიხნარი), რომელსაც ქვებიც ჭკონდა შერეული. ხალხის დაკვირვებით, ამ მიზნით უვარგისია სუფთა თიხა, რად-

გან წვიმის შემდეგ ის მზეზე სკდება, ხოლო ქვანარევი სამყარო ძველი-ანია და ზემოხსენებული ნაკლით არ ხასიათდება.

ისევე, როგორც ქვისა და მიწის ხარისხს ექცეოდა ყურადღება, სათანადო წესები იყო დაცული ხევში ხის მასალის მოხმარების საქმეშიც. ტყიდან მოტანილ ხეებს ჩრდილში და მყუდრო ადგილას აწყობდნენ, რომ მზესა და ქარს არ დაეხეთქა. ყურადღება ექცეოდა ხეების დალაგების წესსაც, მრუდე ხეს ქვემოთ დებდნენ, რომ სხვა ხეების დაწოლით ვასწორებულყო. ამავე მიზნით მრუდე ხეს სახლის გადახურვაშიც ზურგს ზემოთკენ შეუქცევდნენ, რათა მასზე დაწოლილ სიმძიმეს ის დაეზნიქა და გაესწორებინა.

ხის მასალიდან მოხვევები მშენებლობაში ძირითადად იყენებდნენ ეკალსა და ფიჭვს. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ხევის სხვადასხვა ადგილებში გავრცელებული ნაირი ვიშის ხეებს შორის განსაკუთრებით ჭარბად ფიჭვი და ეკალი ყოფილა წარმოდგენილი. ხევში დღემდე არის შემორჩენილი ადგილობრივ მოჭრილი ხეებით დახურულ-გამართული სახლები. ასეთებია, მაგალითად, ფ ი ჭ ვ დ ა ღ მ ე ბ ი დ ა ნ გამოტანილი ხეებით დახურული წიკლაურების სახლი სოფ. ხურთისში; ითონიშვილების სახლი სოფ. ყანობში, რომლის I და II სართულთა სახურავად ყანობის ე კ ა ლ ი-დან (ასე იწოდება ერთი ადგილი, სადაც ადრე გაუჭალი ეკალი მდგარა, ხოლო დღეს მისი ნაშთიც კი აღარ მოიპოვება) გამოტანილი ხეებია გამოყენებული; ყ უ რ ო დ ა ნ მოტანილი ე კ ლ ი თ დახურული ღუდუშაურების სახლი სოფ. ყაზბეგში; ამავე სოფელში ილია ფიცხელაურის სახლი, რომელიც ფ ი ჭ ვ დ ა ღ მ ე ბ შ ი მოჭრილი ხეებითაა დართული და ა. შ.

მაგრამ ადგილობრივი მასალით ყველაფრის გაკეთება ვერ ხერხდებოდა და სახლის კარებისათვის მაინც მუხა, თელა ან წიფელი მთიულეთიდან მოჰქონდათ. ფიჭვისაგან გამოთლილი კარების გაკეთება კი არ იყო მიზანშეწონილი, ვინაიდან სახლისა და იქ მცხოვრები ოჯახის უშიშროება კარების სიმაგრეზეც ბევრად იყო დამოკიდებული.

\* \* \*

კედლების აშენებას, სახლის გადახურვასა და გამართვას მოჰყვებოდა კედლების შიგნიდან შელესვა, რასაც ხევში გავოზვა, ანუ გოზვა ეწოდება.



მთხრობლების გადმოცემით, შესაღეს მასალად ძველად გამოყენებული ყოფილა ლამ-კარი. ეს ზოგიერთი საკმაოდ ხანდაზმული კვიტიკის სახლების დღემდე შემონახული შელესილი კედლების მიხედვითაც დასტურდება, მაგრამ ძალიან ხშირად სახლის აშენება შეუღესავადაც ხდებოდა და მას არც თვლიდნენ საჭიროდ იმ მოტივით, რომ კედლის გულში ჩაყოლებული მიწის მეშვეობით სიცივისაგან დაცვის საკითხი მოწესრიგებული იყო.

მთხრობლებისავე მტკიცებით, შედარებით გვიან თითქოს ნეხ-მიწა იქნა ამ დანიშნულებით გამოყენებული, რაც მართებული არ უნდა იყოს. უფრო მიზანშეწონილი იქნება მოცემულ შემთხვევაში რომ პირიქით წარმოვიდგინოთ, ანდა ორივე მათგანის ერთდროულად მოხმარება ვიგულისხმოთ, ოღონდ ნეხ-მიწის გამოყენების ტრადიცია შედარებით გავრცელებულად უნდა ჩავთვალოთ, ვინაიდან მოხვევისათვის უფრო ხელმისაწვდომი იყო ნეხ-მიწა, ვიდრე ლამ-კარი. მშენებლები ორ წილ გაცრილ მიწას ერთ წილ ძროხის ახალ ნაკელს და ცოტა ბზეს ერთმანეთში ბარით აურევდნენ და ფეხებით იმდენ ხანს ჭყლეტდნენ, ვიდრე ეს მასა ფეხს ცომივით არ მიეკვრებოდა. ამის შემდეგ კედლის შეღესვას იწყებდნენ. ასე შეღესილსა და გამშრალ კედელზე მხოლოდ კირის გადასმასლა თვლიდნენ საჭიროდ და საქმეც ამით მთავრდებოდა.

ლამ-კირით თუ ნეხ-მიწით შეღესილი კედლის ერთ ან რამდენიმე ადგილზე ოსტატი, ანდა ოჯახის რომელიმე წევრი თითებგაშლილ ხელს მიაჩტყამდა და სამახსოვროდ მის გამოსახულებას აღბეჭდავდა. უფრო ხშირად ამას აკეთებდა ოჯახის უფროსი, ზოგჯერ კი რიგითი წევრიც, რომელთაგან ერთ-ერთი შესაძლებელია თითონვე ყოფილიყო კედლის ამგები ოსტატი. ე. ი. ხელის დარტყმა არ განისაზღვრებოდა ოსტატობის თუ სახლის წევრობის უფლებით; ერთსაც და მეორესაც შეეძლო ასეთი სამახსოვრო ნიშნის დასმა და ამით თავისი სახელის უკვდავყოფა ოჯახის შემდგომ თაობათა შორის.


ნავიზზე გამოსახული ასეთი ანაბეჭდები ყოფილა მოცემული ხაიკაშვილების, ქუშაშვილების (სოფ. ყაზბეგი) და სხვათა ძველ სახლებში. სოფ. ხურთისში, წიკლაურების სახლის მეორე სართულზე ორ ადგილასაა ხელის ანაბეჭდი: ერთი მათგანი ახალი შეღესვის შედეგად დაფარულია, ხოლო მეორე ხელის მტევანი კარგად არის გამოსახული

კულაზე. ამ სახლის პატრონის ვასო წიკლაურის ცნობით, კულაზე ბეჭდილია სახლის ამგებისა და პირველი მკვიდრის — თ ა ზ ი წ ი კ -  
ლ ა უ რ ი ს მარცხენა ხელი. მარცხენა ხელის გამოსახვის მიზეზად  
მთხრობელმა დაასახელა ის გარემოება, რომ „თაზი ცაცია ყოფილა“.  
მაგრამ ეს იმის დასამტკიცებლად როდი გამოდგება, თითქოს მხოლოდ  
მარჯვენა ხელის დარტყმის წესი იყო ხევში გავრცელებული. როგორც  
სხვა მთხრობლები გვაუწყებენ, კედლებზე და კულებზე ნებისმიერი  
ხელის გამოსახვა ყოფილა წესად, რადგან მარჯვენა თუ მარცხენა ხე-  
ლის დარტყმას არავითარი სხვა მნიშვნელობა არ ჰქონია, გარდა იმისა,  
რომ ნაგებობაზე სამახსოვრო ნიშანი დაესვათ. ამგვარი ტრადიციის  
გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ ხევში დღემდე შემორჩენილი ისე-  
თი ჩვეულება, როგორცაა საღებავში დასველებული ხელის დარტყმა  
კედელზე, ოღონდ არა სახლის შიგნითა, არამედ მის გარე კედელზე.

ხელის გამოსახვის ამგვარი ტრადიცია არ არის მარტოდენ მოხე-  
ვეების ყოფისათვის ნიშანდობლივი მოვლენა. ის წარმოადგენს საქარ-  
თველოსა და კავკასიაში ფართოდ გავრცელებულსა და ძველ ჩვეულებ-  
ას, რაც მკერმეტყველურად დასტურდება მატერიალური კულტურის  
ძეგლებისა და რიგი სხვა წყაროების მეშვეობით. (დადგენილია, რომ  
ოჯახის წევრთა ხელების ანაბეჭდებია გამოსახული თიხის, კირის და  
სხვა მასალის გამოყენების მეშვეობით გლეხის დარბაზის დედაბოძებ-  
სა და თავხეებზე<sup>32</sup>, თუ სვანური ქოროს „ლეჭუნდრებზე“<sup>33</sup>. დარ-  
ბაზის აღნიშნულ ნაწილებზე ხელის გამოსახულება წარმოდგენილია  
აგრეთვე ხეზე ამოკვეთილი სახით<sup>34</sup>, ამ მხრივ საინტერესო ფაქტებია  
დამოწმებული კავკასიაში გავრცელებული საცხოვრებელი სახლების  
რიგი ნიშანდობლივი მხარეების შესწავლასთან დაკავშირებით<sup>35</sup>.

საქართველოსა და კავკასიაში გავრცელებულ მონუმენტურ ძეგ-  
ლებზე (ტაძრებზე, ციხე-კოშკებზე, საცხოვრებელ ნაგებობებზე) და  
ქვის სტელებზე ხელის რელიეფური და პორელიეფური გამოსახულება-  
ნი, რომლებიც სვადასხვა დროს იქნა დამოწმებული, თავმოყრილი და  
მონოგრაფიულად განხილული აქვს ქვა-ძეგლების იშვიათი ეგზემპლარ-  
ების პირველ აღმოჩენთაგანს ლ. მელიქსეთ-ბეგს თავის გამოკვლე-  
ვებში.

დადგენილია, რომ მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხელის  
გამოსახულების ტრადიცია შუა საუკუნეების ფეოდალური საქართვე-  
ლოსათვის არის დამახასიათებელი. მისი გავრცელების არეებია:





ქართლი, კახეთი, მთიულეთი, იმერეთი, ლეჩხუმი, სამეგრელო, აფხაზეთი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და ჩრდილო კავკასია (თხაბერდი). აღნიშნულ ადგილებში არსებულ ძეგლებზე ხელების გამოსახულების თარიღები ლაგდება IX—XIX საუკუნეების სივრცეზე. ფეოდალური საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხელის გამოსახულებანი უმთავრესად ცალკე, ხოლო იშვიათად სხვა ემბლემებთან კომპლექსშია წარმოდგენილი<sup>36</sup>.

კავკასიის ფარგლებში, სახელდობრ ხევსურების, ოსების, ინგუშების და სხვა მთიელთა ყოფაში ხელის გამოსახულებებს ვხვდებით კოშკებისა და საკულტო ნაგებობათა კედლებზე<sup>37</sup>. „ხევსურულ ორნამენტში ის ტაგრუცებსა და „ბეჰუზა“ მოცემული, <sup>38</sup> ხოლო კავკასიის მრავალ ადგილას ის ამულეტის სახით იყო გავრცელებული<sup>39</sup>. ხელის სიმბოლური გამოსახულება ირმის რქებზე და კლდეზე გამოკაწრული სურათების მიხედვით პალეოლითის ეპოქიდან დასტურდება <sup>40</sup> და ირკვევა, რომ ხელთან დაკავშირებული მითითური და რელიგიური წარმოდგენები პირველყოფილი საზოგადოებისთვისაცაა დამახასიათებელი<sup>41</sup>.

ხელის განსაკუთრებული და მრავალმხრივი მნიშვნელობის შესახებ შეტყვევებს მრავალი ისტორიული დოკუმენტი და იურიდიული ხასიათის ძეგლი. გამორკვეულია, რომ „ქელი“, მნიშვნელობით ლათინურს manus „მანუს“-ს უდრიდა და უფლებასა და საქმეს ეწოდებოდა<sup>42</sup>. „ხელი“, როგორც მატერიალური ან „წერილობითი“ ნიშანი ქონებაზე საკუთრებისა, წარმოადგენს წინაფეოდალური საქართველოს ისტორიული სინამდვილის მემკვიდრეს<sup>43</sup>.

როგორც ვხედავთ, ხელის გამოსახულების ტრადიცია უძველესი ეპოქიდან მომდინარეობს, ხოლო ხელს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული. ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო მხარეს წარმოადგენს ის, რომ ხელი ძალისა, სიმტკიცისა და უფლების სიმბოლოდაც იყო მიჩნეული. ხევის ეთნოგრაფიულ ყოფაში ხელის გამოსახვის ჩვეულება, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა შთამომავლობისათვის სამახსოვროდ აღბეჭდვის სურვილით ხსნის (და რაც თავისთავად საგულისხმო ჩანს, როგორც გვიანდელი მოვლენა), საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურს განეკუთვნება, რის შესახებაც ზემოთ მოყვანილი სამეცნიერო ლიტერატურა მეტყველებს.

სახლის მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული ძველი წეს-ჩვეულებების შესახებ მსჯელობა იმით შეიძლება დავამთავროთ, რომ სახლში დაბინავებული ოჯახი ნათესავეებსა და მეზობლებს პატივობდა და სახლის სამხდოს იხდიდა. თავის მხრივ მიპატიებულნიც ძღვენით მივიდოდნენ და სახლს მიულოცავდნენ. ასეთ შემთხვევაში კლავდნენ „სახლის ანგელოზის“ სახელზე „დასულდგმულებულ“ კურატს ან ყოჩს და ოჯახის მფარველ წმინდანებს მომავალ სიკეთესა და ბედნიერებას შესთხოვდნენ.<sup>1</sup>

ახლად აშენებული სახლის დალოცვის ეს წესი სრულდება თანამედროვე ხევიცი, მაგრამ აქ არსებითად შეიცვალა სახლის მშენებლობის ხერხიც და ნაგებობის კონსტრუქციაც. მშრალი წყობით კედლის მშენებლობას აქ მხოლოდ იშვიათად შეხვდება კაცი და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა ხსნარით მშენებლობის პრაქტიკამ. ასეთი კედელი უფრო სწრაფადაც შენდება და იაფიც ჯდება, ვინაიდან კედლის გადასაბმელად გამოყენებულია ადვილად ხელმისაწვდომი ლამ-კირისა და ცემენტის ხსნარი, ხოლო, ამის გამო, ქვის დამუშავებისათვის იმდენი დრო და შრომა აღარ იხარჯება, რამდენიც საჭირო იყო კედლის მშრალად გების შემთხვევაში. სწრაფად მშენებლობას ხელს უწყობს მასალის მოტანის სიადვილეც საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების გამო.

კედლის მშენებლობის წესთან ერთად მკვეთრად შეიცვალა სახლის გადახურვის, გადატიხვრის, იატაკის გაწყობისა და კარ-ფანჯრების გამართვის წესები.

მშენებლობის პრაქტიკაში მომხდარი მკვეთრი ცვლილებების გამო მოხვევთა მეტყველებაში ფეხი მოიკიდა მანამდე უცხო რუსულმა ტერმინოლოგიამ, ვინაიდან, კრამიტითა და თუნუქით გადახურვა თუ ჭერის, იატაკის და კარ-ფანჯრების გაწყობა ქ. ვლადიკავკაიდან (ახლანდელი ორჯონიკიძე) მოწვეული რუსი ან ბერძენი ოსტატების ხელით ხდებოდა. შემდეგში ეს ხელობა მოხვევებმაც აითვისეს, მაგრამ რაკი ოსტატების მოწვევას დღესაც აქვს ადგილი, ხოლო ისინი მშენებლობაში გამოყენებულ საგნებს რუსული სახელებით მოიხსენიებენ, მოწვეულ ოსტატთა ნახელავს მოხვევებიც მხოლოდ რუსულის ვაგლენით სდებენ



სახელს. ასეთებია, მაგალითად: „ბალკები“, „ჩორნი პოლიფილი“, „პოლი“, „ტრიცატკა“, „პატალოკი“, „ლისტები“, „კრიშა“, „ჟოლობი“, „ტრუბა“, „სტეკლო“ და ა. შ.

ბანიანი სახლების ნაცვლად თუნუქითა და კრამიტით გადახურული სახლების მშენებლობა ხევში ფეხს იკიდებს XX საუკუნის დასაწყისიდან და აღნიშნული ტერმინებიც ამასთან დაკავშირებით ვრცელდება. ძველმა სახლმა და მშენებლობის ძველმა წესებმა თანდათნობით ადგილი დაუთმო ახალს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგად.

## II. ძველი დროის საცხოვრებელი ნაგებობანი

ჩვენ ეპოქამდე შემონახული საცხოვრებელი ნაგებობების, ნასახლარებისა და ხალხური გადმოცემების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მოხევეები ცხოვრობდნენ ორ, სამ და არაიშვიათად ოთხსართულიან სახლებში.

თანამედროვე ტიპის სახლების გავრცელებამდე ხევში გვხვდებოდა ერთსართულიანი ბანიანი სახლებიც, მაგრამ XIX—XX სს. აქ განსაკუთრებით მრავლად იდგა ქვის ორსართულიანი და ბანით გადახურული ნაგებობანი. რაც შეეხება სამ-ოთხსართულიან ნაგებობებს, ამთგან აღსანიშნავია ორი სახეობის საცხოვრებელი — ტერასული ფორმის სამსართულიანი სახლი და სამ-ოთხსართულიანი ციხე-სახლი. ამგვარი სახეობის ნაგებობანი XIX—XX სს. ხევმა მხოლოდ იშვიათი ეგზემპლარების სახით შემოინახა. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე კი, როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ხევიც ხშირად ვარდებოდა განსაცდელში გამუდმებული შემოსევების გამო, მრავალსართულიანი ციხე-სახლი საცხოვრებლის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა. ხევში შემონახული ყველა ამ სახეობის საცხოვრებელ ნაგებობათა შესახებ რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, გავეცნოთ თითოეული მათგანის ძირითად ნიშნებს.

### 1. ორსართულიანი ნაგებობანი

ძველი ტიპის ორსართულიანი სახლები XIX საუკუნის ხევში თუ კიდევ იყო შემონახული, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ასეთი ნაგებობანი თითქმის მთლიანად მოისპო ან ახალი მოთხოვნილების შესაბამისად გადაკეთდა. დაბეჭილებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ხევში არც ერთი ძველი ორსართულიანი სახლი აღარ

არის შემონახული თავდაპირველი სახით, მაგრამ გადაჩენილი ნაწილების თუ ნანგრევების მიხედვით ამგვარი ნაგებობის მეტ-ნაკლები სისრულით დასასიათება ჯერ კიდევ შესაძლებელია. საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც ღუღუშაურების (ყაზიეთ) სახლი სოფ. ყაზბეგში, რომელიც სოფლის ძველ (ზემო) უბანში დგას და შინაგანი რეკონსტრუქციისა თუ ნაწილობრივი ნგრევის მიუხედავად მაინც ერთ-ერთ საინტერესო ნაგებობას წარმოადგენს (ტაბულა I).

აღნიშნული ნაგებობის პირველ სართულს (ტაბ. VI, სურ. 2) ეწოდება ქოთი სახლი, ხოლო მეორეს — ზაით სახლი. სახლის წინა მხარეს მიშენებულია ე. წ. ქოთი დარიფანი ანუ საცხენე, რომლისგანაც ქვის კედლის ტიხარით (საყალავი, საწოლავი) გამოყოფილია საწვალაჯ (საწოლი). იგი წარმოადგენდა ახლადაქორწინებულთაგანს დროებითს (ერთწლამდე), ხოლო შემდეგში უკვე საქონლის მომვლელი კაცის მუდმივ საძინებელ ოთახს.

საწოლ ოთახთან საცხენეს აკავშირებდა მათ მტიხრავ კედელში დატანებული ოთხკუთხედი ფორმის კარები. სამაგიეროდ თალიანი კარებით შევდივართ საცხენიდან ბოსელში, რომელსაც ხევში ქოთაჯ ეწოდება. ბოსელი მოიცავდა პირველი სართულის ნახევარს და თავის მხრივ რამდენიმე ნაწილად იყოფოდა. ბოსლის ერთი ნახევარი გამოიყენებოდა ფურების (მეწველი ძროხები, დეკეულები) სადგომად და მას საძროხე ეწოდებოდა. იქვე იყო მოღობილი სახბე ხბოებისათვის, ხოლო ბოსლის მეორე ნახევარი იყოფოდა საბერწე-დ (ხარებისა და მოზერების სადგომი), საცხვრედ (რომელიც მოღობილი იყო ზამთარში ბაგურ კვებაზე მყოფი ე. წ. ბაგის ცხვრებისათვის) და საბატკნედ, (სადაც ამყოფებდნენ ძუძუთა ბატკნებს).

ქვედა სართულის ერთი ნახევარი თუ ამგვარად დანაწევრებულ ბოსელს წარმოადგენდა, ამ სართულის მეორე ნახევარი ზამთრობით ოჯახის საცხოვრებლად იყო გამოყენებული. მას ხევში ქოთი სახლი ერქვა და ამის მიხედვით მთელი ქვედა სართული ბოსლიანად ამავე სახელწოდებას ატარებდა. რაკი ამ სახლის თითქმის ნახევარი უკვე დანგრეულია, ამიტომ არც ქვედა სართულია სისრულით შემონახული. მაგრამ კედლების ნაშთები, ხის ბოძები და კულები (ქვის სვეტები)



იმის მაჩვენებელია, რომ საზამთრო საცხოვრებლად განკუთვნილი ქვე-  
დასართული დიდი მოცულობისა იყო და ორი განყოფილებისაგან შედგებოდა.  
დღემდე შემორჩენილი მოგრძო მოყვანილობის სათავსო  
დიდხანს გამოიყენებოდა საზამთრო ბინად, ხოლო მეორე ნაწილი აქ  
მცხოვრები დიდი ოჯახის გაყრის შემდეგ კარგავს მნიშვნელობას და  
ინგრევა.

ქვემოდან ზემო სართულში ასასვლელად გამოყენებული იყო რო-  
ვორც წინა მხრიდან მიშენებული ქვის კიბე, ისე პირველი სართულის  
ქერში დატანებული ოთხკუთხედი ხვრელი — ე. წ. ე რ დ ო. ერ-  
დოზე მიდგმული ხის კიბით სარგებლობდნენ მტრიანობის დროს. ლა-  
მითაც, რაკი საქონელს დააბინავებდნენ და ძილის დროც მოვიდოდა,  
მუხის მაგარ კარებს შიგნიდან ურდულით (რომელსაც ხევში ეწოდება  
ქ ე დ ა ა ნ ბ ა წ კ ი ნ ტ ა ე) კეტავდნენ, ხოლო საჭიროების შემ-  
თხვევაში სართულთა შორის კავშირის დასამყარებლად ერდოს იყენებ-  
დნენ.

ვინაიდან ერდო ყველა ორ და მეტ სართულიან სახლს გააჩნდა,  
ამიტომ თანამედროვე ხევში ძველი დროის საცხოვრებლის ზოგად  
სახელწოდებად მიღებულია ე რ დ ო ი ა ნ ი ს ა ხ ლ ი. ამავე სახელ-  
წოდებითაა ცნობილი ამ ელემენტის მქონე ნაგებობანი საქართველოს  
სხვა კუთხეებშიც. <sup>44</sup>

ხევში ერდო ეწოდებოდა არა მარტო სართულების დამაკავშირე-  
ბელს, არამედ კერის თავზე ბანში ამოჭრილ საკვამლე ხვრელსაც. ის  
ბანში მარტო ბოლის გასვლის მიზნით კი არ კეთდებოდა, არამედ სი-  
ნათლის შემოსასვლელად და ჰაერის ცირკულაციისთვისაც.

საჭიროა აქვე ითქვას, რომ განათებისა და ჰაერისათვის ამგვარი  
ხვრელი კეთდებოდა მხოლოდ ს ე ნ ა ე-სა (ყველ-ერბოს შესანახი  
ოთახი) და კ უ თ ხ ი-ს (მატყლის, ტყავების და სხვადასხვა ინვენტარის  
სათავსო) ქერში და მას ერქვა ბ ა ნ ი ს ს ა რ კ მ ე ლ ი. ამისგან გან-  
სხვავებით, კედელში არსებულ სასინათლოს პირდაპირ ს ა რ კ მ ე ლ ი  
ეწოდება. ხოლო ზოგჯერ მას შეცდომით შუკუნას ეძახიან. სინამდვი-  
ლეში, ძველი მოხეური გაგებით, შ უ კ უ ნ ა ე ერქვა კედელში გამო-  
ყვანილ პატარა თახჩას, რომელსაც უკეთებდნენ ქვის ან ხის თითო-  
ოროლა თაროს და მასზე წვრილმან საოჯახო ნივთებს აწყობდნენ.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ეტიმოლოგიურად შ უ კ უ ნ ა ე-ს

შესატყვისია ხევსურული შუკუმი<sup>45</sup>, ანუ შუქუმი<sup>46</sup>, რაც სწორედ შუქის შემოსასვლელ სარკმელს ნიშნავს. თანამედროვე ხე-შისარკმლისადმი შუკუნაჲ-ს წოდება შესაძლებელია ხევსურული დი-ალექტის გავლენით აიხსნებოდეს.

ზემოთ მოყვანილი ტერმინების შინაარსზე სათანადო წარმოდგენას გვაძლევს წერილობითი წყაროებიც. „ვეფხისტყაოსანში“ ს ა რ კ მ ე ლ ი ყოველთვის ფანჯრის, სანათურის მნიშვნელობით გვხვდება<sup>47</sup>. საბა ორბელიანის განმარტებით, **სარკმელი** არის „სახლთ სასინათლო გარდასატურეტი“.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, სარკმელი თავდაპირველად მხოლოდ ქერში დატანებულ საკვამლეს წარმოადგენდა, მას ს ა რ კ მ ე ლ ი ერქვა და რამდენადაც ეს ხვრელი კვამლის გასასვლელი იყო, ხოლო „კ უ მ ე ე ა ნიშნავს ბოლის ამოსვლას“, ამდენად „**სარკმელი** წარმომდგარია ს ა კ უ მ ე ვ ი ს ა გ ა ნ“. ის გამოიყენებოდა სასინათლოდაც, ხოლო სარკმელი შემდეგ კედელშიც გაჩნდა<sup>48</sup>.

როგორც ვხედავთ, წერილობითი წყაროების ჩვენებით, სარკმელი ერქვა ბანში გაკეთებულ ხვრელს. ამის შესატყვისად მოხეური სახლის ცალკეული ნაწილების აღმნიშვნელ სახელწოდებებს შორის გვხვდება ბ ა ნ ი ს ს ა რ კ მ ე ლ ი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სენა-კუთხის სანათურად და ჰაერის შემოსასვლელად იყო გამოყენებული. ბანში არსებული ხვრელის აღსანიშნავად ხევში იხმარებოდა აგრეთვე ე რ დ ო და ს ა კ ო მ უ რ ი. ამათგან, სართულთა დამაკავშირებელ ხვრელს მხოლოდ ერდო ეწოდებოდა, ხოლო ბოლის გასასვლელს როგორც ერდო ერქვა, ისე საკომური.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში სახლისა და სხვა ბრტყელი ნაგებობის სახურავის სახელად **ერდო** და **ბანი** ჩანს<sup>49</sup>. ბანში დატანებული ხვრელის მნიშვნელობით **ერდო** იქ არ გვხვდება. სამაგიეროდ, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ერდო საქართველოში უმთავრესად ბანში ამოჭრილ საკვამლესა და სართულების დამაკავშირებელ ღია ადგილს ერქვა<sup>50</sup>. ასეთივე მნიშვნელობისაა ეს სიტყვა ხევში, მაგრამ ბანის სინონიმად იქ ის არ ჩანს. რაც შეეხება კედლის სარკმელს, ბოლი აქედანაც ვადიოდა, მაგრამ მას ს ა კ ო მ უ რ ი არ ერქვა. მისი ნამდვილი სახელი იყო ს ა რ კ მ ე ლ ი, ისევე როგორც სენა-კუთხის ბანში დატოვებულ ხვრელს მხოლოდ ბ ა ნ ი ს ს ა რ კ მ ე ლ ი ეწოდებოდა.



ამგვარად, კედელში დატანებულ სანათურს ხევში ერქვა **ს. კ. მ. ე. ლ. ი.** სენასა და კუთხის ბანში გაკეთებულ ხერელს — **ზ. ს. ჯ. მ. ე. ლ. ი.** ბოლის გასასვლელ ღია ადგილს ეწოდებოდა **ერ დო და ს ა კ ო მ უ რ ი**, ხოლო სართულების დამაკავშირებელი ხერელის სახელწოდება იყო **ერ დ ო**.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ერდო ამ მიზნით გამოიყენებოდა მოსალოდნელი საშიშროების შემთხვევაში. ჩვეულებისამებრ კი ქვემოდან ზემო სართულზე აღიოდნენ დერეფანზე მიშენებული ქვის კიბით. თალიანი კარებით დერეფნიდან შედიოდნენ სახლის მეორე სართულის შიგნით, რომელიც გეგმაზე თანამედროვე დაყოფითაა ნაჩვენები, მაგრამ ძველად მთელი მისი ფართობი დანგრეული ნაწილითურთ მხოლოდ ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა. მოხუერი სახლის დაყოფის ეს სპეციფიკა კარგად ჩანს აღსაწერად შერჩეული ლუღუშაურების სახლის მაგალითზე.

გარედან შემოსულისთვის მეორე სართულის პირველ განყოფილებას წარმოადგენდა **ე. წ. კ ა რ ს უ კ ე ნ ა ე**, სადაც ინახავდნენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, ცხენის აკაზმულობას, ხელსაწყო-იარაღებს და სხვა. ის შუქს იღებდა კარებიდან ან მისი ფიცრის ნაწყობებიდან.

კარსუკანას მოპირდაპირე მხარეს მარცვლეულის ჩასაყრელი **ჭ ა რ ო ე ბ ი თ** (დიდი ყუთებით) გადალობილ განყოფილებას ეწოდებოდა **კ უ თ ხ ი**, ანუ **ს ა მ ა ტ ყ ლ ი ა ე**, სადაც უმთავრესად ტყავებსა და მატყლს ინახავდნენ. რაკი მათი დაცვა საჭიროებდა ჰაერის ცირკულაციას, ამიტომ ამ სათავსოს ჭერში უტოვებდნენ ზემოთ ხსენებულ ბანის სარკმელს.

ასეთივე სარკმელი უკეთდებოდა ბანში სენას, რომელიც პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა და კუთხის გვერდით მდებარეობდა. ამ მხარეზევე, კარსუკენასაგან ლასტის ტიხარით გამოიყოფოდა ყველაზე დიდი სათავსო, რომელსაც **ს ა მ ყ ო ფ ო** ერქვა და ოჯახის საცხოვრებელ ოთახს წარმოადგენდა. ზოგიერთ შემთხვევაში კი სენა კარსუკენას პირდაპირ მდებარეობდა, ხოლო კუთხი — სამყოფოს მოპირდაპირე მხარეს. მაგრამ აქ ნაჩვენები რომელი ვარიანტიცაა უნდა ყოფილიყო განლაგებული ეს სათავსოები, ამას არსებითი მნიშვნელობა

არ ჰქონდა, რამდენადაც განლაგების სქემა არ იწვევდა მათი ფუნქციის შეცვლას.

ერთ მხარეზე მდებარე კარსუკენა-კუთხი მეორე მხარეზე მდებარე სამყოფო-სენასაგან გამოყოფილი იყო ლასტის ტიხარით. ზოგჯერ ტიხარის როლს ასრულებდა ფიცრული ან ქვის კედელიც. მხოლოდ კუთხი კარსუკენასაგან ანდა, სხვა კონსტრუქციული განლაგების შემთხვევაში, სამყოფოსაგან იტიხრებოდა დიდი საპურე ხარობით ან გოდრებათ. მათ შორის კავშირი მყარდებოდა გვერდიგვერდ მდგარ ხარობებს ან გოდრებს შუა შებმული ხის კარებით.

\* \* \*

აქ აღწერილი სახლისა და საერთოდ მოხეური ორსართულიანი სახლის მეორე სართულის კომპლექსში განსაკუთრებით დიდი მოცულობისა და თავისი მნიშვნელობითაც საყურადღებოა ოჯახის საცხოვრებლად გამოყენებული განყოფილება.

საცხოვრებლად განკუთვნილი ოთახი ხევში სხვადასხვა სახელით აღინიშნება. თუ თითოეული სართულის საერთო სახელწოდებებია ქოთი, სახლი და ზაით სახლი, საცხოვრებლად მოხმარებულ საზამთრო თუ საზაფხულო ნაწილს ეწოდება: 1. საჯალაბო სახლი, ანუ საჯალაბო, 2. სამყოფო და 3. სახლი.

აქ დასახელებული ზოგიერთი ტერმინის შინაარსი უშუალოდ დაკავშირებულია ოჯახის აღმნიშვნელ სახელწოდებასთან. მოხეური დიალექტით ჯალაბი, ანუ ჯალაბობა, ეწოდება ოჯახს. საბას განმარტებით, ჯალაბი არის „დედა წული“, ხოლო „ჯალაბობა—დედა წულიანობა“. აქედან გამომდინარე, საცხოვრებლის იმ განყოფილებასაც, სადაც ოჯახი სადილობდა, თბებოდა და იძინებდა, საჯალაბო სახლი, ანუ საჯალაბო ერქვა, მაგრამ უფრო მეტად სახლის ამ ნაწილის სახელად მიღებული იყო სამყოფო, რაც იმის გამომხატველია, რომ ოჯახს ძირითადად აქ უხდებოდა ყოფნა. ამავე მნიშვნელობით გვხვდება სიტყვა საყოფელი და სამყოფი საერთოდ საქართველოს წარსულში, რაც დამტკიცებულია წერილობითი წყაროებისა და ლიტერატურული ძეგლების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე<sup>51</sup>.



ზემოაღნიშნულ ტერმინთაგან განსაკუთრებით მრავალმხრივი მნიშვნელობის მქონეა სიტყვა სახლი. როგორც ძველი, ისე თანამედროვე გაგებით, სახლი ერთ შემთხვევაში ეწოდება საცხოვრებელი ნაგებობის მთელ კომპლექსს, ხოლო მეორე შემთხვევაში ის სამყოფოს იდენტურია. საცხოვრებელი ოთახისადმი სახლის წოდება იმდენად მიღებულია, რომ მოხევე საჯალაბოსაც იშვითად ხმარობს, მას უმატებს სახლს და უფრო ხშირ შემთხვევაში საჯალაბოს მაგივრად საჯალაბო სახლს ამბობს. როგორც ზემოთ ითქვა, სიტყვა სახლი ასევე ყოველთვის იხმარება სართულიანობის აღმნიშვნელ ისეთ სახელწოდებებში, როგორცაა ქოთი სახლი, ანუ ძირის სახლი (ქვედა სართული), შუა სახლი (შუა სართული) და ზაით სახლი (ზედა სართული).

ამ მხრივ ხევს პარალელები მოეძებნება როგორც მეზობელი მთიელების ეთნოგრაფიულ ყოფაში, ისე ისტორიულ სინამდვილეში. მაგალითად, ხევსურეთში კალოიანი სახლის პირველ სართულს (პირველ თვალს) საკუთრად სახლი ეწოდება<sup>52</sup>, ხოლო ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ სახლი ერქვა რომელიმე ოთახსაც და ის სართულის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ამის შესაბამისად შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში აღნიშნულია ისეთი სახელწოდებები, როგორცაა შინაგანი სახლი (სენაკის, ოთახის მნიშვნელობით), ზედა სახლი სამამასახლისო<sup>53</sup> და ა.შ.

უფრო გვიანდელი ეპოქის წყაროებზე დაყრდნობითაც ცნობილი გახდა, რომ სახლი ოთახისა და რომელიმე სართულის გამომხატველი ცნების მნიშვნელობით იხმარებოდა<sup>54</sup>.

ცნობილია ის გარემოებაც, რომ ტერმინი სახლი ძველთაგანვე არა მარტო საცხოვრებელი ნაგებობის ან მისი რომელიმე ნაწილის აღსანიშნავად იხმარებოდა, არამედ ის გარკვეული სოციალური ერთეულის სახელწოდებასაც წარმოადგენდა.

რამდენადაც სახლი ნიშნავდა ოჯახს, გვარს თუ ადმინისტრაციულ ერთეულს<sup>55</sup>, ამდენად ყურადღებას იქცევს ხევში დამოწმებული ისეთი სოციალური სახელწოდებები, როგორცაა სახლიკაცი, სახლიკაციობა, დიასახლისი, სახლის უფროსი და სხვა. ყველა ეს ტერმინი უშუალო კავშირშია ცნება სახლთან,

ხოლო სახლი ნათესაური ერთეულის მაჩვენებელი ჩანს. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა აქ დასახელებული ტერმინების მნიშვნელობის გაგება. მით უმეტეს, რომ ასე ესმის მათი შინაარსი მოხევეებსაც. მათი გაგებით, სახლიკაცი არის ერთი ოჯახიდან, ერთი სახლიდან გამოსული სისხლით მონათესავე კაცი — ძმა, ბიძაშვილი ან შორეული ნათესავი, ხოლო სახლიკაცობა მამის ხაზით გაერთიანებული ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელია<sup>56</sup>.

განსაკუთრებით ნათლად ჩანს სახლისა და ოჯახის იდენტურობა ისეთ სიტყვებში, როგორიცაა სახლის უფროსი და დიასახლისი. ეკვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ სახლის უფროსობაში იგულისხმება არა ნაგებობის, არამედ ოჯახის უფროსობა, ისევე როგორც დასახლისი ოჯახში საქალბო საქმის ხელმძღვანელს ნიშნავდა.

როგორც ვხედავთ, ცნება სახლი ხევის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით უშუალო კავშირშია ოჯახისა და ნათესაობის აღმნიშვნელ სოციალურ ტერმინებთან, ხოლო რამდენადაც სახლი ოჯახის იდენტურია, ამდენად ოჯახის საცხოვრებლად განკუთვნილი ოთახისადმი სახლის წოდების მიზეზი ადვილად გასაგებია არსებული სოციალური ვითარების გათვალისწინების საფუძველზე. ნაგებობის ამ ნაწილს, რომელიც ოჯახის (სახლის) საცხოვრებლად იყო გამოყენებული, სადგომის მნიშვნელობის მქონე სახელწოდებასთან — სამყოფო-სთან ერთად გაუჩნდა ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა საჯალაბო, საჯალაბო სახლი, ანდა პირდაპირ სახლი.

\* \* \*

ლუღუშაურების სახლის მაგალითზე ჩვენ გავეცანით მოხეური ორსართულიანი სახლის კონსტრუქციას, რაც საერთოა ჩვენ დრომდე ხევში შემონახული ამ ტიპის სახლებისათვის. მაგრამ ხევში კეთდებოდა ამ სახლისაგან ცოტად თუ ბევრად განსხვავებული კონსტრუქციის სახლებიც. ამ მხრივ სპეციფიკურ ელემენტად გვესახება ღია აივანი, რომელიც ზოგიერთ ორსართულიან სახლს გააჩნდა (ტაბ. XII, სურ. 2). ღია აივანი, როგორც შემდეგ დროინდელი დანამატი, გვხვდება ციხესახლის კომპლექსშიც (ტაბ. XI). ხევის ასეთი ნაგებობანი დიდ მსგავსე-



ბას ამეღავენებენ ლეკებისა<sup>57</sup> და თრუსოს ხეობის ოსების<sup>58</sup> აიენიანს. ცხოვრებლებთან. მაგრამ რაკი ჩვენამდე მხოლოდ გადაკეთებულმა ან შედარებით ახლად აშენებულმა აიენიანმა სახლებმა მოაღწიეს, მათ სხვა ტიპის გადაკეთებულსა და ახალ სახლებთან ერთად ქვემოთ შევხებით.

თუ ზემოთ აღწერილი სახლის ტიპი მკვეთრად იყო დამახასიათებელი ძველი ხევისათვის და მისგან მხოლოდ ზოგიერთი კონსტრუქციული ნიშნით განსხვავებული ორსართულიანი სახლების არსებობა მოწმდება, სამაგიეროდ გლახთა საცხოვრებლებისაგან არსებითად განსხვავებული იყო გაბატონებული ფენის წარმომადგენელთა სახლები. მაგალითად, ყაზბეგები, რომლებიც ერეკლე მეორის დროს იღებენ აზნაურობას, თლილი ქვის აიენიან სახლებს იშენებენ და ქალაქური გემოვნებით აწყობენ. მაგრამ ერთი გარემოება მაინც თვალშისაცემია— ყაზბეგების ყველა სახლი ისევე მიწაყრილი ბანით იყო დახურული, როგორც ყველა იქ მცხოვრები გლახებისა. მიწურბანიანი იყო თავდაპირველად ის სახლიც კი, სადაც დიდი ქართველი მწერალი ალ. ყაზბეგი აღიზარდა და რომელიც დღეს მისი სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს წარმოადგენს. ასევე, სულ ათიოდე წლის წინათ თუნუქით დახურეს, ხოლო ახლახან ორსართულიან სასკოლო შენობად გადააკეთეს დიმიტრი ნიკოლოზის ძე ყაზბეგის სახლი, რომელიც ადრე ბანით დახურულ ერთსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა.

ბანიანი სახლები ხევში ძველად მთისძირა კალთებზე ერთმანეთთან ახლო განლაგების გამო სოფლის ტერასულად დასახლებას აპირობებდა. ამის შედეგად ქვედა მხარეს მდებარე სახლის ბანი ზემოთ მდებარე სახლის კარწინას (პატარა ეზოს) და კალოს წარმოადგენდა<sup>59</sup>. ვაკე ადგილზე სახლების მდებარეობის შემთხვევაში კი ბანები თითქმის ერთ პორიზონტალურ სიბრტყეზე იყო განლაგებული ისე, რომ ერთიდან მეორეზე გადასვლა არ ბრკოლდებოდა. ასეთი უბნები ხევში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგაც იყო შემონახული, მაგრამ სადღეისოდ მათზე წარმოდგენას გვაძლევს მხოლოდ აქაიქ დარჩენილი ნასოფლარები, ნანგრევები და ზეპირი გადმოცემები.

ერთმანეთზე ასე გადაბმულ ბანებზე ძველად იშლებოდა სამხიარულო თუ სამგლოვიარო სუფრა, იმართებოდა ცეკვები და სიმღერები, ეწყობოდა ხალხური დღეობები, სრულდებოდა საქორწილო წეს-ჩვეულებები<sup>60</sup> თუ სამგლოვიარო რიტუალი<sup>61</sup> და სხვა.

ასეთი მჭიდრო დასახლება ხევში გაპირობებული იყო ორი ძირითადი ფაქტორით — ადგილის სივიწროვით და მეტრისაგან თავდაცვის საჭიროებით. დიდი ოჯახის ვაყრის შემდეგ წარმოქმნილი ახალი ოჯახები მამა-პაპისეული სახლის ირგვლივ სახლდებოდნენ და, ამრიგად, ქმნიდნენ მჭიდროდ დასახლებულ პატრონიმიულ უბანს. საცხოვრებელი ფართის შევსების შემდეგ ეს სოციალური პროცესი გრძელდებოდა ახალ სამოსახლო ტერიტორიაზეც, ისევე, როგორც ეს კანონზომიერება დამახასიათებელი იყო საქართველოსა და კავკასიის სხვა რაიონებისთვისაც<sup>62</sup>.

მჭიდროდ დასახლებული უბნისა და სოფლის თავდაცვას განსაკუთრებით ხელს უწყობდა კარგად მოწყობილი ურთიერთკავშირი საზიარო ქედლებში დატანებული კარების მეშვეობით. ამასთან ერთად სახლს გააჩნდა სამალავი ხვრელიც, ხოლო უბანს მრავალსართულიან კოშკთან ასევე საიდუმლოდ გაყვანილი გვირაბებით შეეძლო დაკავშირება და შეიარაღებულ თავდაცვაზე გადასვლა. სახლში და სახლიდან კოშკამდე გაყვანილ ასეთ ხვრელს ხევში ერქვა ს ა მ ა ლ ა ვ ა ა ნ ს ა ძ რ ო მ ა ა, რაც მათი ფუნქციის შესატყვისია.

ზოგიერთ სამალავ ხვრელს შესასვლელი ჰქონდა, მაგრამ მეორე მხრიდან დახშული იყო. ფერდობში შეჭრილი 6 მეტრი სიგრძისა და 1 მეტრი სიმაღლის ასეთი „საძრომაა“ ვნახეთ სოფ. გერგეტში, ჩიბაშვილების ნასახლარში, ხოლო შესასვლელ-გასასვლელი ხვრელებით ციხე-კოშკთან მოსახლეობის კავშირის შესაძლებლობა კარგად ჩანს ნასოფლარი ქედურის, სოფ. ფხელშის ძველი ნამოსახლარის და სხვათა მაგალითზე.

თავდაცვის ყველაზე უფრო მიღებულ საშუალებას, როგორც ამას ქვემოთ დავინახათ, მაინც კოშკზე სახლის მიდგმა, ანდა სახლებს შორის კარებით დაკავშირება წარმოადგენდა. ხევში შემორჩენილი კოშკები მასზე მიდგმული სახლებით ან ასეთი მინაშენების ნაკვალევით ზემოთქმულის დამადასტურებელია. რაც შეეხება სახლთა შორის კარების დატანებას, ეს იმდენად გავრცელებული ხერხი იყო, რომ მშვიდობიანობის პირობებშიც კი ტრადიციულად შემოინახა ხევმა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სამუკავშირელების სახლი სოფ. სნოში, რომელშიაც საოჯახო თემის სეგმენტაციის შედეგად წარმოქმნილი სამი ოჯახი ცხოვრობდა და რომელსაც კართა სიმრავლის გამო ს ა მ უ კ ე თ

ცხრაკარიანი შეარქვეს. საყურადღებოა, რომ დიდი ოჯახიდან გამოყოფილი სამი კომლი ამ სახლის დანგრევამდე მის ჭერქვეშ განაგრძობდა ყოფნას, მაგრამ ცხრიდან არც ერთი კარი არ დაუხშავთ. ამ ფაქტს მთხრობლები თავდაცვის საჭიროებით ხსნიან. ხოლო თავის დაცვა ყოველთვის გარეშე მტრის გამკლავებას კი არ გულისხმობდა, არამედ ზოგჯერ მოსისხლე მეთემის ან კლასობრივი მტრის მოგერიებასაც.

ამგვარად, ორსართულიანი სახლი წარმოადგენდა ნაგებობის ისეთ კომპლექსს, რომელშიაც ცხოვრობდა ადამიანი, იდგა საქონელი, ინახებოდა ადამიანის მარაგი, პირუტყვის საკვები და საოჯახო ინვენტარი. ამასთან ერთად, ამგვარი ტიპის ნაგებობა არც თავდაცვის შესაძლებლობას იყო მოკლებული. მისი მაგარი კედლები, დიდი ხეებითა და ქვამიწით დახურული ბანი, ურდულგაყრილი მუხის კარები, სართულთა შორის დატოვებული ერდოები და სახლთა და ციხე-კოშკთა ურთიერთკავშირი მოსახლეობის თავდაცვის გარკვეულ გარანტიას ქმნიდა. მაგრამ ამ მხრივ ბევრად უფრო საიმედო ნაგებობას წარმოადგენდა მრავალსართულიანი ციხე-სახლი, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

## 2. ტერასული ნაგებობანი

ისევე როგორც ფერდობზე ან კონცხზე მდებარე სოფელი ტერასულად იყო გაშენებული, დაქანებული სასახლე ადგილი იწვევდა თვით სახლის სართულთა ტერასულ განლაგებასაც, რის გამო ასეთი სახეობის საცხოვრებელს პირობითად ტერასულ ნაგებობას ვუწოდებთ.

ფერდობებიდან და კონცხებიდან დაეკებულ ადგილებზე ჩამოსახლების შედეგად თანდათანობით მოისპო როგორც ტერასულად დასახლებული სოფლები, ისე ტერასული ფორმის სახლებიც. დღეისათვის მხოლოდ სოფ. ხურთისშია შემორჩენილი ერთი ასეთი სამსართულიანი სახლი, მაგრამ ისიც საგრძნობლად გადაკეთებული. ასეთივე სახის სახლი მდგარა ამ ოციოდე წლის წინათ სოფ. ახალციხეში, რომლის არქიტექტურული ანაზომები ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ტაბ. II). სამწუხაროდ, მუზეუმს არ აღმოაჩნდა სახლის ეთნოგრაფიული აღწერილობა.



ნახაზებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სახლი, რომელზეც ქვემოთაღნიშნულს ეკუთვნოდათ, აშენებული იყო ქვის მშრალი წყობით. როგორც წესი, ყველა სართულის სახურავის საყრდენებად კედლებთან ერთად გამოყენებული იყო ქვის სვეტები (კულები) და ხის ბოძები.

ქერაშვილების სახლის პირველი სართული წარმოადგენდა საქონლის გაუტიხრავ სადგომს. ბოსელზე დაშენებული მეორე სართული შედგებოდა სამი სხვადასხვა მოცულობის განყოფილებისაგან და გამოიყენებოდა ოჯახის საცხოვრებლად. ქვის კიბით აღიოდნენ ამ სართულის დერეფანზე, ხოლო დერეფნიდან შიგნით შედიოდნენ ორი თალიანი კარით. ერთი კარით ადამიანი მოხვდებოდა ყველაზე დიდ ოთახში, რომელიც ქვის კედლით სავსებით იზოლირებული იყო გვერდითი ოთახისაგან. მეორე კარით კი ადამიანს შესვლა შეეძლო ყველაზე პატარა განყოფილებაში, ხოლო აქედან—საშუალო სიდიდის ოთახშიც.

მეორე სართულს სამი მხრიდან ქვის კედლები ჰქონდა, ხოლო უკანა მხარეს კედლის ფუნქციას ასრულებდა კლდე, რომელზედაც სახლი იყო მიდგმული. წინა ფსადის სურათის მიხედვით აშკარაა, რომ დიდსა და საშუალო ზომის ოთახს ანათებდა ორ-ორი სარკმელი, რომლებიც შემდეგში დიდ ფანჯრებად გადაუკეთებიათ, ხოლო სულ პატარა ოთახის სასინათლოდ კარი იყო გამოყენებული. ნახაზის შედგენის დროისათვის თავდაპირველი სახით ყოფილა შემონახული ორივე თალიანი კარი.

მეორედან მესამე სართულზე ასავლელად ხმარობდნენ ერდოსთან მიდგმულ ხის კიბეს. ეს სართული შედარებით პატარა მოცულობისა იყო, რომლის ოთხივე კუთხეში იდგა 4 კულა. ქვის კედლების ნაცვლად მას სამი მხრიდან ჰქონდა ლასტი, ხოლო უკანა მხარეს კედლის ფუნქციას აქაც კლდე ასრულებდა. მესამე სართულის გასანათებლად წინა ფსადს ახლდა თალიანი სარკმელი, ხოლო მეორე სართულის ბანზე გამოსასვლელად ფიცრის ოთხკუთხი კარი.

მესამე სართული წარმოადგენდა ადამიანისა და პირუტყვის მარაგის სათავსოს, რომელიც თავისი ფორმითა და დანიშნულებით მოგვაგონებს ხევსურული სახლის კალოს<sup>63</sup>.

როგორც ვხედავთ, ქერაშვილების ეს სახლი წარმოადგენდა კლდეზე მიშენებულ სამსართულიან ნაგებობას, რომლის სართულები ტერასულად იყო განლაგებული. სართულების ასეთივე განლაგება ნიშ-



ანდობლივი იყო ხევე არსებული მრავალი ასეთი ფორმის სახლისათვის, რომელთა მოსპობის გამო კონკრეტულად შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ სოფ. ხურთისში შემონახული წიკლაურების სახლის მხედრობით.

წიკლაურების სამსართულიანი სახლი (ტაბ. III, სურ. 1) მდებარეობს ძველი ხურთისის ზემო უბანში. მის ზემოთ კონცხზე შემორჩენილია ნასოფლარის ნაშთები, სამარხები, პატარა ეკლესიის ნანგრევები და მრავალსართულიანი ზურგიანი კოშკი — ხურთისის ციხე. ამ კოშკისა და ეკლესიის შემდეგ წიკლაურების სახლი ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს შემორჩენილ ნაგებობათა შორის. ამიტომ მოხვდა ის საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე ძეგლთა აღწერილობაში და სათანადო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ქვეყნის სიძველეთა ისტორიაში<sup>64</sup>.

ხალხური გადმოცემა სახლის აშენებას მიაწერს თ ა ზ ი წ ი კ ლ ა უ რ ს ა და მასთან გაუყრელად მცხოვრებ ძმისწულებს — თ ო მ ა ს და მ ა შ ვ ნ ი ა ს. გადმოცემა იმასაც გვაუწყებს, რომ ხე-ტყის მასალა გამოტანილია ადგილიდან, რომელსაც ეწოდება ფ ი ჭ ვ დ ა ლ მ ე ბ ი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე აქ ფიჭვი მდგარა, ღღეს ეს ადგილი შიშველ საძოვარს წარმოადგენს, მაგრამ ადრინდელი მდგომარეობის ამსახველი ტოპონიმიკური სახელი ჯერაც შემორჩენილია. ეს გარემოება თავისთავად ამ ნაგებობის სიძველის მაჩვენებელია. მის სიძველეზე მეტყველებს გადმოცემა იმის შესახებაც, რომ თ ო მ ა , მ ა შ ვ ნ ი ა და მათი ბიძაშვილი ვ ა ზ დ ა გ ა ამ სახლის სათოფურებიდან ცეცხლს უშენდნენ კარზე მომხვედურ ლეკებს.

მარტო ამის მიხედვითაც კი შეგვეძლო ეს ნაგებობა XVIII საუკუნის ძეგლად მიგვეჩინა. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო და სანდოა ამის დასამტკიცებლად ის გარემოება, რომ სახლის ერთ-ერთი ამშენებელი — თ ა ზ ი წ ი კ ლ ა უ რ ი თავისი ხუთი შვილით ( პ ა პ ა , ი ვ ა ნ ე , ვ ა ზ დ ა გ ა , პ ა პ ი , მ ა მ უ კ ა ) მოხსენებულია XVIII საუკუნის სტატისტიკურ აღწერილობაში<sup>65</sup>. მაშასადამე, ნაგებობა თარიღდება XVIII საუკუნით და ის წარმოადგენდა საოჯახო თემის ბინას, რომელშიაც თაზი წიკლაურის მეთაურობით ცხოვრობდა მისი 5 ვაჟი და 2 ძმისწული.

წიკლაურების სახლი ქვის მაგარ ნაგებობას წარმოადგენს, რომლის

სართულები მოცულობით ერთმანეთისაგან განსხვავდება ტერასულთან  
მათი განლაგების გამო (იხ. ტაბ. V, სურ. 1).

სართულთა გადახურვის საყრდენებად აქაც გამოყენებულია ქვის  
კედლები, ქვის ოთხკუთხი სვეტები, ხის ბოძები და ხისავე დედაბოძები  
საყრდენების განლაგებაზე სათანადო წარმოდგენას გვაძლევს ნაგებობის  
განივი და გრძივი კრილები (ტაბ. V). პირველი სართულის ქვე-  
რი დაყრდნობილია ხის 13 ბოძზე და სახლის ოთხივე კედელზე. რაც  
შეეხება კულებსა და დედაბოძებს, ისინი გამოყენებულია მეორე და  
მესამე სართულების გადახურვის საყრდენებად.

წიკლაურების სახლის პირველი სართული გაუტიხრავ ბოსელს წარ-  
მოადგენდა (ტაბ. IV, სურ. 1). საზამთრო საცხოვრებლად ის არ გამოი-  
ყენებოდა, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში ორ და სამსართულიანი  
სახლის პირველი სართულის ერთი ნაწილი ზამთრობით ოჯახის სამყოფელსაც  
წარმოადგენდა. აღნიშნული ვითარება განაპირობა პირველი  
სართულის შედარებით მცირე მოცულობამ, ხოლო ეს თავის მხრივ  
განსაზღვრა სახლის ტერასულობამ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოსელი დატიხრული არ იყო, მისი ყველა  
ნაწილი გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა: წინა მხარე გამოიყენებო-  
და ფურების სადგომად, ხოლო უკანა ნახევარი ბერწი საქონლისა და  
ცხენებისთვის იყო განკუთვნილი. მიწაში ჩადგმული ქვის ბრტყელი  
ფილებით ცალ-ცალკე იყო მოღობილი სახბოე და საცხვრე. ბოსლის  
სხვადასხვა მხარეს ვაკეთებულია მეტ-ნაკლები სიდიდის ქვის ბაგები,  
რომლებზედაც აბამდნენ საქონელს. ბოსელი შუქს იღებს წინა ფასად-  
ში დატანებული ოთხი სარკმლიდან, ხოლო მისი იატაკი „მოზლაულია“  
ფიქალითა და ბასრით.

ბოსლისაგან ქვის კედლით გამოყოფილია პატარა განყოფილება, რო-  
მელსაც ეწოდება უ რ დ უ ლ ა ჯ. ურდულას ბოსელთან არავითარი  
კავშირი არა აქვს. მასში მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ მეორე სარ-  
თულიდან ჩასასვლელი ერთი, რომელიც დახურული იყო ბასრი-  
თა და ზედ დაყრილი მიწით. ურდულაჲ წარმოადგენდა მტრის თავდას-  
ხმის დროს გამოყენებულ შეუმჩნეველ სამალავს. მხოლოდ წინა ფა-  
სადში დატანებული სარკმლების რაოდენობის შემწობით თუ დაეჭ-  
ვდებოდა ადამიანი პირველ სართულზე ასეთი განყოფილების არსებო-  
ბით. ბოსელში შესული კაცი მხოლოდ 4 სარკმელს ხედავს, ხოლო გა-



რედან 5 ასეთი სარკმელი მოჩანს, რადგან ერთი მათგანი ურდულა სანათურს წარმოადგენდა. ასეთი ორმხრივი დაკვირვების გარეშე ურდულა საიდუმლო სამალავად რჩებოდა, რის მეშვეობითაც ოჯახი თუ მათთან შეფარებული ვინმე ლტოლვალი არაერთხელ გადარჩენილა დაღუპვას.

მეორე სართულიდან თუ ურდულაში ვრდოს მეშვეობითაა ჩასვლა შესაძლებელი, ბოსელში მოსახვედრად გამოყენებულია მიწაში რკალისებურად გაჭრილი პანდუსი, რომლის ორივე მხარე ქვის კედლებითაა გამაგრებული მიწის ჩამოშლისა და მეორე სართულის უკანა კედლის საძირკვლის დარღვევის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით.

მეორე სართულში შესასვლელად გამოიყენებოდა სახლის გვერდით (დასავლეთ) კედელში დატანებული თაღი მუხის სქელი კარით, რომელიც წარმოადგენდა სახლის ერთადერთ გარედან შესასვლელს. სახლის ასეთი აგებულების გამო მეორე სართული პირველი და მესამე სართულების დამაკავშირებელი იყო. თანახმად ზემოაღნიშნულისა, აქედან ჩადიოდნენ ბოსელში რკალისებური პანდუსით და ურდულაში ვრდოთი, ხოლო, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ვრდოთივე იყო შესაძლებელი მესამე სართულზე მოხვედრა.

ნაგებობის მთელ ამ კომპლექსში მეორე სართულს—ე. წ. შ უ ა ს ა ხ ლ ს (ტაბ. IV, სურ. 2) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რამდენადაც იგი წარმოადგენდა სხვა სართულებზე დიდი მოცულობისა და ოჯახის მთავარ საცხოვრებელ განყოფილებას.

მეორე სართული დღეს ოთხი განყოფილებისაგან შედგება. ამათგან ორი დიდი ოთახი წინა მხარეზეა ოთხ-ოთხი სარკმლით, ხოლო უკანა მხარეს მოქცეულია კარსუკენა და სენა. ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებულია ლასტისა და ფიცრის ტიხარით (ფიცრულის ნიმუში იხ. ტაბ. VI, სურ. 3). მაგრამ ძველად, როდესაც ამ სახლში წიკლაურების დიდი ოჯახი ცხოვრობდა, მეორე სართული მხოლოდ სამი განყოფილებისაგან შედგებოდა. ასეთები იყო: 1. კ ა რ ს უ კ ე ნ ა ა, 2. ს ე ნ ა ა, ანუ მ ა რ ა ნ ი და 3. ს ა მ ყ ო ფ ო. სამყოფო მოიცავდა სართულის წინა ნახევარს, რომელიც დღეს ორადაა გაყოფილი.

სენაში ინახებოდა პროდუქტები, ხოლო კარსუკენასა და სამყოფოში სხვადასხვა სახის საოჯახო ინვენტართან ერთად იდგა მარცვლეულის ჩასაყრელი ხარო და გოდრები. ხარო-გოდრების განლაგებისა და მე-



ორე სართულის თავდაპირველი დანაწილების სურათი მოცემულია რეკონსტრუქციის ქვეშეშე ნახევრებში (ტაბ. IV, სურ. 2). ამ ნახევრებში ერდოების ადგილიც. მე-8 ნომრით აღნიშნული ერდო გამოიყენებოდა ურდულაში ჩასასვლელად, ხოლო მე-5 ნომრით აღნიშნულ ერდოსთან მიდგმული ხის კიბით აღიოდნენ მესამე სართულზე. დაახლოებით ამ 50 წლის წინათ სახლის გვერდით კედელზე მიაშენეს ქვის კიბე, რომლის მეშვეობით აღიოდნენ მეორე სართულის ბანზე, ხოლო ბანიდან შედიოდნენ მესამე სართულის განყოფილებებში. ეს ბანი წარმოადგენს მესამე სართულის დერეფანს, რომელიც შემოღობილია დაბალი ყორით.

სახლის აღწერის მომენტში მესამე სართული ნახევრად დანგრეული იყო, მაგრამ მასზე დაკვირვებითა და ადგილზე გამოკითხვით მიხერხდა მისი პირვანდელი სახის ამსახველი სქემის შედგენა (ტაბ. III, სურ. 1). სართულს ეწოდება **ზ ა ი თ ს ა ხ ლ ი**, ისევე როგორც სართულების განლაგების შესაბამისად გეგვდება **ქ ო ი თ ს ა ხ ლ ი** (პირველი სართული) და **შ უ ა ს ა ხ ლ ი** (შუა სართული).


ზედა სართული, რომლის უკანა და გვერდითი კედლები ქვისაა, ხოლო წინა ფასადი ნეხვ-მიწით შელესილი ლასტისა, შედგებოდა სამი განყოფილებისაგან. ამათგან შედარებით მცირე ზომის შუა ოთახს ეწოდება **ს ე ნ ც ა ჯ**, ხოლო მის ორივე მხარეზე მდებარე ოთახებს — **ს ა ხ ლ ე ბ ი**. სენცა შუქს იღებდა კარებიდან, ოთახები კი წინა ფასადში (ლასტში) დატანებული სარკმლებიდან, რომლებიც ბოლოს დიდ ფანჯრებად გადააკეთეს. ქვის კედლებსა და კულაში გაკეთებულია შუკუნები (თახჩები) და განჯინები. თუ სახლებში (ოთახებში) ზაფხულობით ცხოვრობდნენ, სენცაში რძის პროდუქტების დამუშავება ხდებოდა. აქ დამზადებული ყველ-ერბო შემოდგომის მიწურულიდან უკვე მეორე სართულის სენაში საზამთროდ ინახებოდა.

ძირითადად ამ ნიშნების მქონე იყო ტერასული ფორმის მრავალსართულიანი ნაგებობა ხევში, რომელსაც ჩვენ ვავეცანით წიკლაურების სახლის ადგილზე აღწერისა და ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ნახაზების (ქერაშვილების სახლი) მიხედვით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი სახის ნაგებობა ხვესათვის არ წარმოადგენდა იშვიათობას, ისევე როგორც ანალოგიური ფორმის სახლები დღესაც საკმაო რაოდენობითაა შემორჩენილი ხვეის მეზობელ თრუსოს ხეობაში, მთიულეთ-გუდამაყარსა და ხევსურეთში.

აღწერილობამ გვიჩვენა, რომ ტერასული სახლი წარმოადგენდა სა-  
ცხოვრებელ, სამეურნეო და თავდასაცავ ნაგებობას. თავისი ამ ტიპის  
ციხებით ის არ განსხვავდება ორსართულიანი სახლისაგან, მაგრამ მათ  
შორის სხვაობას ვხედავთ ნაგებობის ფორმაში. თუ ორსართულიანი  
ნაგებობის კედლები ოთხივე მხრიდანაა ამოყვანილი და ერთი ბანიტაა  
დაგვირგვინებული, ს. ხურთისის სახლის სართულთა ტერასული გან-  
ლაგების გამო კედლების მშენებლობის ტექნიკაც და გადახურვაც სხვა-  
გვარადაა გადაწყვეტილი.

იმის მიუხედავად, რომ ეს სახლი სამსართულიანია, არც ერთი მისი  
კედელი სიმაღლით სამ სართულს არ აღწევს. მისი ყველაზე მაღალი კე-  
დელი წინა ფსადისა მხოლოდ ორსართულიანია. უკანა კედლების სი-  
მაღლე კი საძირკვლიდან სახურავამდე ჩვეულებისამებრ ერთსარ-  
თულიანია ფერდობზე მათი დაშენების გამო. ამიტომ გადახურვაც ორი  
ბანიტაა განხორციელებული; პირველსა და მეორე სართულს ფარავს  
ერთი ბანი, ხოლო მესამე სართულს—მეორე ბანი.

აღწერილობის შედეგად დავრწმუნდით იმაშიც, რომ ხურთისის სამ-  
სართულიანი სახლი საკმაოდ იყო გამაგრებული თავდაცვითი ხასიათის  
ისეთი ელემენტებით, როგორიცაა ურდულაჲ, სათოფურები, მაგარი  
კარები და სართულთა დამაკავშირებელი ერდოები. თავდაცვისათვის  
საჭირო ამგვარი საშუალებების არსებობის გამო მოხვედები ასეთი სა-  
ხის ნაგებობას ჩვეულებისამებრ უწოდებენ სახლსაც და ციხესაც.  
ხალხური ეტიმოლოგიისა და სათოფურების თუ სხვა ნიშნების მიხედ-  
ვით ჩვენც შეგვეძლო მისთვის გვეწოდებინა „ციხე-სახლი“ — მეცნიე-  
რებაში დამკვიდრებული ტერმინი თავდაცვითი ხასიათის საცხოვრებე-  
ლი ნაგებობისათვის, მაგრამ აქ ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ გა-  
რემობას: ციხე-სახლი ჩვეულებისამებრ წარმოადგენს ყველა მხრი-  
დან შეკრულ მრავალსართულიან ნაგებობას, რომელსაც ოთხივე  
კედელი საძირკვლიდან სახურავამდე აქვს ამოყვანილი და ერთი ბანით  
გვირგვინდება. ციხე-სახლის ბანზე ასვლა, ოთხივე კედლის სიმაღლის  
გამო, კედელზე აცოცების თუ მაღალი კიბეების გარეშე შეუძლებე-  
ლია, მაშინ, როდესაც ტერასული ნაგებობის ბანზე მოხვედრა ყოველ-  
გვარი დაბრკოლების გარეშე ხერხდება. ტერასული სახლი რამდენ  
სართულიანიც არ უნდა იყოს, მისი ზედა სართულის ბანი ფერდობთან  
მაინც იმდენადაა მიახლოებული, რომ კიბის გარეშე მასზე ასვლა ად-



ვილად შეიძლება. ასეთია თუნდაც ზემოთ აღწერილი ტერასული ნაგებობა ს. ხურთისში. როგორც ნახაზიდან ჩანს (ტაბ. II, სურ. 2) შევეთავისუფლად შეიძლებაოდა კლიდან მოხვედრა სოფელ ახალციხეში ძველად არსებული სამსართულიანი სახლის ბანზე. ბანზე მოხვედრა კი სახლს უკვე საფრთხეს უქმნიდა. მტერი თუ კარებს ვერ შეღწეწდა და ვერც სხვა გზით შეაღწეწვდა სახლის შიგნით, უკიდურეს შემთხვევაში მას შეეძლო ბანის აყრა და ისე ჩასვლა სახლის ზემო სართულში. ციხე-სახლის ყველა მხრიდან აღმართულ მაღალ კედლებზე ასვლა კი არ იყო ადვილი. მტერი თუ კედლებზე ასვლას გაბედავდა, სახლის შიგნით ჩასაფრებულნი სათოფურებიდან გაუჩინდნენ ცეცხლს ანდა ბანიდანვე დააყრიდნენ ქვებს მაინც, თუ სხვა სახის იარაღი არ ექნებოდათ.

ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ხევის ტერასული სახლები წარმოადგენენ ისეთ ნაგებობებს, რომლებსაც ორსართულიანი სახლების მსგავსად გააჩნდათ სამი ფუნქცია — საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი. ხურთისის სამსართულიანი სახლის მაგალითზე თავდაცვითი ფუნქციის მქონე ელემენტები ამ სახის ნაგებობაში უფრო მკვეთრად და ჭარბადაა მოცემული ორსართულიან სახლებთან შედარებით. მაგრამ იმის გამო, რომ ტერასული ნაგებობა ყოველმხრივ შეკრულ კომპლექსს არ წარმოადგენდა და მას ზოგიერთი სუსტი — მტრისაგან ადვილად ასაღები ადგილები ჰქონდა, არ იქნებოდა მართებული მისადმი ციხე-სახლის წოდება<sup>66</sup>. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ციხე-სახლისათვის ტიპურია ოთხივე მხრიდან ქვის კედლების ამოყვანა და ბანით დაგვირგვინება. ამის გამო ხურთისისა და ახალციხის სახლების მაგალითზე საჭიროდ ვსცანით ორსართულიანი საცხოვრებლებისა და მრავალსართულიანი ციხე-სახლებისაგან დამოუკიდებლად გაგვეჩილა და ცალკე გამოგვეყო სპეციფიკური ფორმის ნაგებობა, რომელსაც თავისი არქიტექტურული აღნაგობის მიხედვით შეიძლება ვუწოდოთ ტერასული სახლი.

**8. ციხე-სახლები**

ზემოთ განხილულ ნაგებობებს გარდა მოხვევები საცხოვრებლად, მარაგის შესანახად, საქონლის სადგომად და თავის დასაცავად იყენებდნენ კოშკური მოყვანილობის მრავალსართულიან სახლებსაც. ამგვა-



რი ფორმის ნაგებობათა აღსანიშნავად ხევში მოწმდება სამი სხვადასხვა სახელწოდება: ს ა ხ ლ ი, ც ი ხ ე, ქ ვ ი ტ კ ი რ ი; სამეცნიერო-ტერატურაში კი მის სახელწოდებად შემოღებულია ც ი ხ ე-ს ა ხ ლ ი.

ყველა ზემოთ აღწერილ ნაგებობებთან შედარებით ციხე-სახლის კომპლექსში უფრო მკვეთრადაა განვითარებული საბრძოლო-თავდაცვითი ფუნქციის მქონე ელემენტები. ციხე-სახლი წარმოადგენს ბევრად საიმედო სიმაგრეს, ვიდრე ორსართულიანი სახლი თუ ტერასული ნაგებობა. ამ ნიშნის მიხედვით ის განსხვავებული ფორმისა და ფუნქციის მქონე ნაგებობად წარმოგვიდგება, რის გამო მისი ცალკე გამოყოფა და განხილვაც საჭიროდ მიგვაჩნია.

როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ და ძველ ნასოფლარებსა თუ ნასახლარებზე დაკვირვებაც გვიჩვენებს, ციხე-სახლები ხევის ყველა სოფელში მდგარა. ეს ნაგებობანი ჩვეულებისამებრ ოთხკუთხი მოყვანილობისა და დღემდე კარგად შემონახული საფორტიფიკაციო ძეგლების ყაიდაზე ყოფილა აშენებული, ოღონდ უფრო ფართო და მრავალგანყოფილებიანი. მაგრამ რაკი გადმოცემაზე დაყრდნობით ნაგებობის სრულფასოვანი აღწერა შეუძლებელია, ჩვენ შევეცდებით მხოლოდ ბოლო დრომდე მეტ-ნაკლები სისრულით შემონახული ძეგლების დახასიათებას. ერთ-ერთ ასეთ ნაგებობად გვესახება სოფ. ფხელშეში 1962 წლამდე არსებული კოშკური სახლის კედლები (ტაბ. XII სურ. 1), რომელიც აღწერილია ვ. დოლიძის მიერ<sup>67</sup>.

ვინაიდან ამ სახლში ცხოვრობდნენ ერესტენი (ელოშვილების ერთ-ერთი შტო), მას ერქვა ერესტეთ ჭერხო. აღწერილობის მომენტში სახლის მხოლოდ ორი სართული იყო გადარჩენილი, რის გამო ის ორსართულიან ნაგებობად იქნა აღიარებული. სინამდვილეში კი ერესტეთ ჭერხო სამსართულიანი იყო და ოჯახის საცხოვრებელს, საქონლის სადგომსა და „ციხეს“ წარმოადგენდა. საქონლის სადგომად ჩვეულებისამებრ აქაც პირველ სართულს იყენებდნენ, ხოლო მეორე და მესამე სართულები საცხოვრებელისა და თავდაცვის ფუნქციას ასრულებდნენ.

ელოშვილების კოშკის სართულები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო როგორც ვარედან მიშენებული ქვის კიბით, ისე სართულშუა გადახურვაში დატანებული ერდოს მეშვეობით. ქვის კიბეს იყენებდნენ მშვიდობიანი ცხოვრების დროს. მტრიანობის შემთხვევაში კი სახლის ორივე სართულის კარები მაგრად იკეტებოდა და სართულთა შორის



კავშირი მყარდებოდა ერდოსთან მიდგმული ხის კიბის მშენებლობის  
 ერდოსვე იყენებდნენ ღამით ბოსელში ჩასასვლელად საქონლის მოვლ  
 პატრონობის მიზნით.

ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონია ციხის გადაკეთებას სა  
 ლად, რის გამო ამ უკანასკნელს კიდევ უფრო აშკარად ემჩნეოდა კონ  
 კური მოყვანილობა. ასეთი ვითარება დამახასიათებელია გვიანდელ  
 ეპოქისათვის, როდესაც კოშკმა დაკარგა თავდაცვის ფუნქცია და მშე  
 ღობიანი ცხოვრების პირობებში ის საცხოვრებლად იქნა გარდაქმნილ

მშვიდობიანმა ცხოვრებამ ასევე შეუცვალა სახე ციხე-სახლსაც. ამ  
 მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თანამედროვე მოთხოვნ  
 ლების შესაბამისად გადაკეთებული ითონიშვილების სახლი სოფ. ყ  
 ნობში, რომელსაც მოხვევები ეძახიან ქვიტკირს, ციხესა  
 სახლს, ხოლო ჩვენ მას ვუწოდებთ ციხე-სახლს, რამდენა  
 დაც სპეციალურ ლიტერატურაში ამ სახის ნაგებობის აღსანიშნავა  
 ეს სხელწოდებაა მიღებული.

გადმოცემის მიხედვით ეს სახლი აშენებულია ჯერ კიდევ მაშინ  
 როდესაც ხევს თავს ესხმოდნენ ჩრდილოკავკასიელი ხალხები და არაგ  
 ვის ერისთავები. სახლის აშენებიდან დღემდე მოხუცები 9—10 თაობა  
 ვარაუდობენ. თაობიდან თაობამდე კი საშუალოდ 30 წელი იანგარიშე  
 ბა, ხოლო ამასთან ერთად თუ იმ გარემოებასაც გავუწვევთ ანგარიშს  
 რომ ხალხური გადმოცემა სახლის აშენებას არაგვის ერისთავების მიერ  
 ხევის დამორჩილებისათვის ბრძოლის ეპოქას (XVII ს.) უკავშირებს  
 ეს ნაგებობა დაახლოებით 300 წლისა გამოდის.

თავდაპირველად იგი წარმოადგენდა ქვის მშრალი წყობით აშენე  
 ბულსა და ბანით გადახურულ სამსართულიან ქვიტკირს, გვერდით (და  
 სავლეთ) კედელზე მიშენებული ქვის კიბით (ტაბ. VII, სურ. 1). მის  
 კედლები გარედან შელესილი იყო კირნარევი ხსნარით, რომლის ნაწილ  
 ალაგ-ალაგ დღემდეა შემორჩენილი. სახლში შესასვლელად გამოიყენ  
 ნებოდა პირველსა და მეორე სართულზე დატანებული თაღიანი კარებ  
 სწორედ იმ მხარეზე, სადაც კიბე იყო მიშენებული. რკინის სალტეე  
 ბითა და ხარის ნალებით შეკრული სქელი მუხის კარები შიგნიდან იქ  
 ტებოდა მსხვილი ურდულით (კედით), რომლის თავი და ბოლო ღრმად  
 შედიოდა კედლებში (საკედურში). მესამე სართულს გარედან შესასვ  
 ლელი არ გააჩნდა და მეორე სართულიდან იქ მოხვედრა მხოლოდ ერდოსთ

იყო შესაძლებელი, ისევე როგორც ერდოს მეშვეობით ამყარებდნენ ქვედა სართულთანაც. შუქის შემოსასვლელად სართულს ჰქონდა ვიწრო სარკმლები, ხოლო მეორე და მესამე სართულს სარკმლებთან ერთად—სათოფურებიც.

100 წელზე მეტი ხნის წინათ სამსართულიან ქვიტიკის გვერდზე მიადგეს ქვის მშრალი წყობით აშენებული და ბანით დახურული ოთხსართულიანი კოშკი (ტაბ. VII, სურ. 2). მას ერთი ოთხკუთხი მოყვანილობის კარი გაუკეთეს პირველ სართულზე, ბოსლის კარის მოპირდაპირე მხარეს; მეორე თალიანი კარი წარმოადგენს წინა ფსადიდან მეორე სართულზე შესასვლელს, ხოლო მესამე კარი მას ჰქონდა მეოთხე სართულზე, აღმოსავლეთის მხრიდან, ქვიტიკის ბანზე გამოსასვლელად.

თუ კოშკის აშენებამდე ქვიტიკის მესამე სართულზე გარედან შესასვლელი კარი არ არსებობდა, კოშკის მიდგმის შემდეგ მესამე სართულზედაც ჩამოიღეს ოთხკუთხი კარი (ტაბ. VIII, სურ. 1). მესამე სართულზე ასასვლელად იყენებდნენ ხის კიბეს, რომელიც დღესაც ხმარებაშია (ტაბ VIII, სურ. 2). ასევე ხის ხვეული კიბე ჰქონდა მიდგმული მეოთხე სართულზე ასასვლელ ერდოსაც.

კოშკის მეორე და მესამე სართულს ანათებდა თითო სარკმელი, ხოლო მეოთხე სართულს თუ აღმოსავლეთ მხარეზე კარი ჰქონდა, დანარჩენ სამ კედელში თითო სარკმელი ყველა მხრიდან სათვალთვალოდ გამოიყენებოდა.

კოშკის ბანს ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა სიბები („სანაპიროები“) და ჩუქურთმიანი ქვის კარნიშები. ზოგიერთი ასეთი დღემდე შემორჩენილი ქვა დევს კიბესა და დერეფანზე (ტაბ. X, სურ. 1). ბანის ოთხივე „კანჭზე“ (კუთხეში) მდგარა ხელოვნურად გამოთლილი მრგვალთაფა ქვები და მთის ბროლის დიდი ნატეხები, ხოლო მათზე დაწყობილი იყო კირით შეთეთრებული ჯიხვის რქები. ხალხს სჯეროდა, რომ ბროლი ნაგებობას მეხისაგან იცავდა. საეჭვო არაა, რომ ბანის მთელი ეს შემკულობა, რაც სახლს საკულტო ნაგებობის იერს აძლევდა, შედეგია ცრუმორწმუნეობისა, ისევე, როგორც რომელიმე სალოცავის შეთეთრება და მორთვა.

როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, სახლზე კოშკის მიდგმა, ანდა პირიქით — კოშკზე სახლის მიშენება, ძველი ხევისათვის ნიშან-



დობლივ მოვლენას წარმოადგენდა, რაც ნაკარნახევი იყო თავდაცვის ინტერესებით. საცხოვრებელ ნაგებობასთან მიდგმული მდელი კოშკის ზედა სართული გამოიყენებოდა სათვალთვალოდაც და საჭირო შემთხვევაში თავდასაცავ სიმაგრედაც. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზემოთ აღწერილ ქვიტკირზე ოთხსართულიანი კოშკის მიდგმა უკვე მშვიდობიანობის პერიოდში ხდება, ჩვენ აქ უნდა დავინახოთ იმ ძველი სამშენებლო ტრადიციის გაგრძელება, რომელიც ადრე იყო დამახასიათებელი მტრის მომგერიებელი და ხშირ განსაცდელში მყოფი მოხვედრების ყოფა-ცხოვრებისათვის. თავისი ადრინდელი ფუნქცია ითონიშვილების კოშკს უკვე დაკარგული ჰქონდა. მისი გამოყენება მხოლოდ რაიმე მიზეზით გადამტერებული მეთემისაგან თავდაცვის მიზნით თუ შეიძლებოდა.

თავდაპირველად ქვიტკირის პირველი სართული ქვის კედლით გატხრული ორი ნაწილისაგან შედგებოდა. უკანა მხარე განკუთვნილი იყო ცხენების, ხარების, მოზვრებისა და ცხვრების სადგომად, ხოლო უფრო მოზრდილ წინა ნაწილში აყენებდნენ ძროხებს, დეკუთლებს და ხბოებს. საცხვრე და სახბოე მოღობილი იყო, საქონელი ებათ ბაგებზე, იატაკზე გაწყობილი იყო ბრტყელი ქვები.

კოშკის მიდგმის შემდეგ ამ ორ განყოფილებას მიემატა მესამე პატარა სათავსოც — ე. წ. ქოით დარიფანი, რომელიც საცხენედ გამოიყენეს. პირველი სართული დღემდე ამ სახითაა უცვლელად შემონახული.

ასევე კარგადაა შემონახული სახლის მეორე სართულიც (ტაბ. IX, სურ. 1), რომელიც ორი დიდ-პატარა ნაწილისაგან შედგება. ეს პატარა ნაწილი, რომელსაც ზაით დარიფანი ეწოდება და რომელიც სამეურნეო და სატრანსპორტო საგნების შესანახად გამოიყენებოდა, წარმოადგენს კოშკის მეორე სართულს. კოშკის მიშენებამდე კი ქვიტკირის მეორე სართული, რომელსაც შუასახლი ეწოდება, დაუნაწევრებელ დარბაზს წარმოადგენდა, სადაც ოჯახი ზამთრობით ცხოვრობდა. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედლის კუთხეში აქ მხოლოდ ორნამენტებიანი ხაროებითა და ფიცრულით მოღობილი მარანი (სენაჲ) მდებარეობდა, სადაც ინახავდნენ რძის ნაწარმს, ხორცს, ქონს ტყავეულს, მატყლს და სხვ. ეს მარანი ერთდროულად ასრულებდა ორ-სართულიანი სახლის მაგალითზე აღწერილი სენასა და კუთხის ფუნქ-



ცის, რაც ხევში იშვიათ გამოჩაყლისად შეიძლება ჩაითვალოს. მის კედლად გამოყენებული ხარობები იდგა პირველი სართულის სტრუქტურაზე. ამავე კედელზე იდგა მეორე სართულის ქერის საყრდენი ბოძები და ქვის კულა (ტაბ. VIII). შუასახლის წინა ნახევარში ენთოკერა, ქერში იყო ჩამობმული ხორცის ჩამოსაკიდი კ ა რ ა ხ ხ ე ბ ი (ტაბ. IX, სურ. 2), იდგა სკამები და სხვა საჭირო საოჯახო ნივთები. შუასახლის მოწყობილობა სადღეისოდ მოშლილია, გაუქმებულია ერდოეცი, მაგრამ მისი იატაკი, ქერი და კედლები თავისი 8 ვიწრო სარკმლითა და საომარი დანიშნულების მქონე 7 სათოფურით დღემდე უცვლელადაა შემონახული.

სახლის მესამე სართულაც კოშკის მიშენებამდე 72 კვ. მ. მოცულობის გაუტიხრავსა და შუაეცეცხლით გამართულ დარბაზს წარმოადგენდა. კოშკის მიშენების შემდეგ ეს ფართობი სამად გაიყო — კ ა რ ს უ კ ე ნ ა დ, ს ე ნ ა დ და ს ა მ ყ ო ფ ო დ. სამყოფოს დაეთმო მთელი ფართობის წინა ნახევარი, ხოლო მეორე ნაწილში გამოიყო სენა და კარსუკენა. ვიწრო სარკმლების ადგილას გაჩნდა მოზრდილი ფანჯრები, ხოლო ქერისა და იატაკის შეფაცვრას შემდეგ ცეცხლმა კერიდან გადაინაცვლა კარსუკენასა და სამყოფოს ბუხრებში (ტაბ. VIII, სურ. 2; ტაბ. X, სურ. 2). ასე მოწყობილ სართულს კოშკის მიდგმის შემდეგ მოემატა შესასვლელიც, ე. წ. კ ი ბ ი ს თ ა ვ ი.

ასე გამოიყურებოდა ეს სახლი 1914 წლამდე. ამ დროიდან კი, განსაკუთრებით ზედა სართულის გადაკეთების შედეგად, სახლი არსებითად შეიცვალა: მოშალეს კოშკის მეოთხე სართული, მთლიანად დახურეს ასტრახანის ხე-ტყითა და ვლადიკავკავიდან (ახლანდელი ქ. ორჯონიკიძე) მოტანილი თუნუქით, ერთ მხარეზე გააკეთეს ღია აივანი (ტაბ. XI).

დღეისათვის მესამე სართული შედგება ღია აივნის, შესასვლელი კიბისთავისა და ფიცრულით დატიხრული ოთხი ოთახისაგან.

აი ის ცვლილებები, რაც ყანობში დღემდე მდგარმა გადაკეთებულმა, მაგრამ ჯერ კიდევ ძველი ელემენტებით აღჭურვილმა ციხე-სახლმა გამოიარა თავისი არსებობის გრძელ პერიოდში.

ყოველივე ამის შემდეგ უმართებულოდ გვეჩვენება იმის აღიარება, თითქოს აღწერილი სახლის თავდაპირველ ფორმას წარმოადგენდა ერთ კომპლექსში მოქცეული ქვიტირი და კოშკი<sup>68</sup>.



როგორც დავინახეთ, ნაგებობა ამ სახეს იღებს მას შემდეგ, რაც მის  
 სამსართულიან ქვიტირზე ოთხსართულიანი კოშკი მიაშენეს. ეს ნაგებობა  
 რად შეიმჩნევა ნაგებობაზე დაკვირვებითაც. ვაცილებით კარგად არა  
 აშენებული ქვიტირი, ვიდრე კოშკი. სხვადასხვაგვარი, სხვადასხვა  
 დროინდელი და სხვადასხვა ადგილიდან არის მოტანილი თითოეულ  
 ნაწილისათვის გამოყენებული ხის მასალაც. ქვიტირის ხე-ჭერი და  
 თუღია ყანობის ტერიტორიაზე მოჭრილი ეკლით, ხოლო კოშკის სახლი  
 თუღები გადახურულია მთიულეთიდან გადმოტანილი წიფლის ხე  
 ბით, რადგან იმდროისათვის ხევში ტყე უკვე გაკაფული იყო.

აქვე კიდევ ერთხელ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი სხვადასხვა  
 დროინდელი ნაგებობის კედლები ერთმანეთთან გადაბმული არ არის.  
 კოშკის ერთ კედლად ქვიტირის გვერდითი (დასავ.) კედელი არის გა  
 მოყენებული, ხოლო სამი კედელი დამოუკიდებლადაა ამოყვანილ  
 ამგვარი ვითარება მოწმდება სხვა შემთხვევაშიც. ხევში არაერთი სა  
 ლი ყოფილა ციხეზე მიშენებული, მაგრამ ციხე და მასზე მიდგმულ  
 სახლი ერთი ეპოქის ნაგებობის მთლიან კომპლექსს როდი წარმოად  
 გენდა. ითონიშვილების ციხე-სახლის ის ფორმა, რომელიც ქვიტირ  
 სა და კოშკის მთლიანობას იძლევა, არის მეორადი, ნაგებობის ისტორი  
 შემდგომ ეტაპზე წარმოქმნილი, და არა პირველადი.

\* \* \*

მოტანილი ფაქტიური მონაცემების საფუძველზე აშკარად მოწ  
 დება ციხე-სახლების არსებობა ხევის წარსულში, რომელთა მშენე  
 ლობა ნაკარნახევი იყო თავდაცვის საჭიროებით. ამავე მიზეზით ხდ  
 ბოდა საცხოვრებელ ნაგებობაზე კოშკის მიშენება, ანდა კოშკზე სა  
 ლის მიდგმა. საცხოვრებელზე კოშკის მიშენების ძველ ტრადიციას თ  
 ს. ყანობის ციხე-სახლის მაგალითზე ვხედავთ, სამაგიეროდ ციხ  
 კოშკზე სახლის მიდგმის დამადასტურებელია ხევის სოფლებში შემ  
 ნახული სიძველენი. მაგალითად, სოფ. ფანშეტში დღემდე კარგად დ  
 ცულ ერთ-ერთ კოშკზე მიშენებულია საცხოვრებელი სახლი. ერთ  
 ერთი სახლი მიშენებული ყოფილა ამავე სოფლის მეორე უფრო მაღა  
 კოშკზე. სახლის მინაშენი კარგად ატყვია სოფ. სტეფანწმინდაში (ყა  
 ბეგი) ჩოფიკაშვილების საგვარეულო კოშკის კედელს. ნანგრევებ



მიხედვით ნაგებობის ასეთსავე სტრუქტურას ვამოწმებთ აჩხოტში, ცლოში, გაიბოტენში და ხევის სხვა სოფლებში. ციხე-კოშკზე საცხოვრებლის მიწენების მიზანი იყო მტრისაგან თავის უკეთესად დაცვა, ვიდრე ეს შეიძლებოდა ციხიდან საკმაო მანძილით დაშორებულ სახლში.

მტრიანობის დროს მოხევეები მრავალსართულიან კოშკებს დროებით საცხოვრებლად იყენებდნენ. მთხრობლების გადმოცემით, კოშკის სხვადასხვა სართულზე შეხიზნულნი კერაზე ცეცხლსაც ანთებდნენ და ნაცარში პურსაც აცხობდნენ. ასე იქცეოდნენ, მაგალითად, სოფ. ფან-შეტში მცხოვრები სამქანაშვილები. მათ სახიზარს წარმოადგენდა დღემდე შემონახული ყველაზე დიდი კოშკის მესამე სართული — კვადრატული ოთახი შუაცეცხლით, ხოლო მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ ისინი კვლავ ორსართულიან ქვიტკირში ჩამოდიოდნენ, რომელიც ხელოვნურად გამოჭრილ კლდეში იყო ჩადგმული და კოშკს დასავლეთის მხრიდან ეკვროდა.

მტრის შემოსევის დროს დროებით საცხოვრებლად საფორტიფიკაციო ნაგებობათა გამოყენების ტრადიცია არც საქართველოს სხვა კუთხეებისათვის ყოფილა უცხო<sup>69</sup>. რაც შეეხება თავდაცვითი ხასიათის მრავალსართულიან ციხე-სახლებს, საქართველოსა და კავკასიის სხვა რაიონებში მათი ფართოდ გავრცელების ფაქტი მრავალგზისაა დადასტურებული.

ხევსა და საქართველოს სხვა კუთხეებში არსებული ამ ტიპის სახლები რომ თავისი წარმოშობით ძველია, ამაში ეჭვის შეტანის საფუძველი არც არსებობს. მართალია, სათოფური ნაგებობაში თოფის შემოტანასთან დაკავშირებით XVI საუკუნიდან ჩნდება, მაგრამ ეს როდი გამორიცხავს თავდაცვის სხვაგვარი საშუალებებით (თუნდაც შვილდისრის სასროლი ან ქვის სატყორცნი საარკმლებით) აღჭურვილი ამავე დანიშნულების მქონე ნაგებობების ბევრად დიდ ხნოვანებას.

საქართველოს შორეულ წარსულში მრავალსართულიანი სახლები-სა და საცხოვრებლად გამოყენებული კოშკების არსებობა დასტურდება XI—XII საუკუნეების წერილობითი წყაროებით, რომელთა ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი გვაცნობს ნაგებობის ისეთ სახეობებს, როგორც იყო ქ ვ ი ტ კ ი რ ი, გ ო დ ო ლ ი, კ ო შ კ ი და სხვა<sup>70</sup>.

ქართველი ტომების მიერ საცხოვრებელ და თავდასაცავ საშუალებ-



ბად კოშკის გამოყენების შესახებ ჩვენ მოგვეპოვება კიდევ უფრო ძველი ისტორიული ცნობები. ბერძენი ისტორიკოსისა და მხედარმთავრის ქსენოფონტეს ცნობით, ერთ-ერთი ქართველი ტომის—მოსინიკების მეფე (ბასილევსი) ცხოვრობდა ხის კოშკში, რომელიც ქალაქის ყველაზე შემადლებულ ადგილას იყო აშენებული<sup>71</sup>.

ქსენოფონტეს ცნობაზე დაყრდნობით სტრაბონიც აღნიშნავს, რომ „ზოგიერთები ხეებზედაც კი ცხოვრობენ, ან კოშკებში. ამიტომაც, რომ ძველები მათ მოსინიკებს უწოდებდნენ, რადგანაც კოშკებს მოსინები ჰქვიათ<sup>72</sup>.

თუ ყოველივე ამასთან ერთად უძველესი ეპოქის ისეთ ქმნილებებსაც ვავითვალისწინებთ, როგორიცაა ქართული ხალხური ეპოსის ბრწყინვალე შედეგები („ამირანიანი“, „ეთერიანი“), სადაც არაერთგზის ვხვდებით საცხოვრებლად კოშკების გამოყენების ფაქტებს, დავრწმუნდებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი მრავალსართულიანი კოშკური სახლები შორეული წარსულიდან მომდინარე ტრადიციის ნიადაგზეა წარმოქმნილი.

ამგვარად, ძველი დროის ნაგებობანი ხევში საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვის ფუნქციის მქონე ელემენტებით აღჭურვილ კომპლექსებად წარმოგვიდგებიან.

თუ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ მკიდრო უბნებად დასახლებას იპირობებდა ადგილის სიმცირე და თავდაცვაზე ზრუნვა, ამ შემთხვევაშიც იგივე ფაქტორები უნდა მივიჩნიოთ მრავალსართულიანი სახლების მშენებლობისა და სხვადასხვა ფუნქციის მქონე სათავსოების ერთ ჰერქვეშ მოქცევის მიზეზად. ვერტიკალურ განზომილებაში სათავსოების განლაგებით მაქსიმალურად იყო ათვისებული ფართობი, რაც ასე უჭირდა სახნავ-სათესი ნაკვეთების ნაკლებობით შევიწროებულ მთიელს. ამ გეგმით სახლის მშენებლობა და პატრონიმიული უბნის მკიდროდ დასახლება აადვილებდა თავდაცვასა და ურთიერთდახმარებასაც. რაც შეეხება კლიმატურ პირობებსა და რელიეფს, ისიც ვარკვეულ როლს თამაშობდა ნაგებობის რიგი ელემენტის წარმოქმნა-განვითარების საქმეში, მაგრამ თვით სახლის სართულიანობა ამ ფაქტორებზე სრულებითაც არ იყო დამოკიდებული. ხევის გეოგრაფიული მდებარეობა და ჰავა კვლავინდებურად უცვლელია, მაგრამ სახლებმა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, არსებითი ცვლილებები განიცადეს.

მრავალსართულიანი ნაგებობის ფორმირების საქმეში რომ რელიეფსა და ჰავას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ თანამედროვე ხევაში ერთსართულიანი სახლების მშენებლობის პრაქტიკა კი არ გაბატონდებოდა, არამედ კვლავინდებურად მრავალსართულიანი საცხოვრებლების მშენებლობას ექნებოდა ადგილი.

ზემოთ აღწერილი სახლები და მათი მსგავსი ნაგებობანი ძირითადად გათვალისწინებული იყო საოჯახო თემების (დიდი ოჯახების) საცხოვრებლად, საოჯახო თემებისა, რომელთა არსებობა გადმონაშთური ფორმით ხევაში XIX საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა. მაგალითად, ერთი დიდი ოჯახი ცხოვრობდა ითონიშვილების ციხე-სახლში, რომლიდანაც შემდეგში 15 კომლი წარმოიშვა. ასევე 32 სულისაგან შედგებოდა ღუღუშუარების ის ოჯახი, რომელიც ზემოთ აღწერილ ორსართულიან სახლში ბინადრობდა და სხვა, მაგრამ ასეთი მაგალითების დასახელება შორს წაგვიყვანდა.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ წინაპრების ნამოსახლარს დღესაც კი „ერთობის სახლი“ ეწოდება. ხევაში ვერ დავასახელებთ ისეთ ოჯახს, რომელმაც თავისი „ერთობის სახლის“ მდებარეობაზე არ მიგვითითოს და თუ ცოცხალი მომსწრე აღარ ჰყავს, გადმოცემით მაინც არ იცოდეს ის ამბავი, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მათი მამა-პაპანი ერთ ჭერქვეშ ბინადრობდნენ და „ერთ კერას უსხდნენ“. თვით ახლო დამოკიდებულების აღმნიშვნელი გამოთქმა—„ერთ კერაზე დაზდილები ვართ“, ანდა „ერთ ცეცხლპირზე გავიყარენითო“—კვლავ ძველ მოხეურ სახლში დიდ ოჯახებად ცხოვრების ტრადიციაზე მიგვივითებს. მის შესახებ ყურადღებას ამახვილებს ალ. ყაზბეგი,<sup>73</sup> როგორც აღნიშნული საზოგადოებრივი ყოფის უშუალო მოწმე და დამკვირვებელი. ამაზევე მოგვითხრობენ მისივე თანამედროვე თუ ნაკლებ ხანდაზმული მოხუცები და ყოველივე ამას მჭერმეტყველურად ადასტურებენ ზემოთ აღწერილი ნაგებობანი.

### III. მოხეური სახლის შიდამოწყობილობა

სახლის მშენებლობის წესებთან და ნაგებობის არქიტექტურულ ფორმებთან ერთად ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არანაკლებად საყურადღებოა სახლის შიდამოწყობილობა. პირველ რიგში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ოჯახის ძირითადი საცხოვრებელი განყოფილება—სამყოფო, რომელიც საინტერესოა როგორც თავისი სტრუქტურით, ისე და კიდევ უფრო მეტად მისთვის დამახასიათებელი სოციალური და საკულტო მხარეებით.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ხევში არც ერთი ძველი სამყოფო აღარ არის შემონახული თავისი შიდამოწყობილობით. ამის გამო, ჩვენი მსჯელობის ძირითად წყაროს წარმოადგენს, ერთი მხრივ, ყოფაში აქა-იქ შემორჩენილი ნივთები და ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ექსპონატები, ხოლო, მეორე მხრივ, 1959 წელს ხევში მივლინების დროს ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალები.

როგორც ნაშრომის წინა ნაწილიდან გამოირკვა, სამყოფო კვადრატული ფორმის დიდ ოთახს წარმოადგენდა. მის მოწყობილობაში შედიოდა კერა, ავეჯი, ლოგინი და რიგი სხვა საოჯახო ნივთები.

თავისი ფუნქციებითა და საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი სოციალურ-სარწმუნოებრივი ნიშნებით სამყოფოს ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი იყო კერა, რომელიც ორ-სამსართულიანი სახლის ქვედა სართულზე სარკმლებთან ახლოს კეთდებოდა, რომ ბოლი უფრო ადვილად გასულიყო, ხოლო სულ ზედა სართულზე კერა ბანში ამოჭრილი ერდოს ქვეშ ეწყობოდა და ბოლიც არა მარტო კედელში დატანებული სარკმლებიდან გადიოდა, არამედ უფრო მეტად ერდოდან.

ვინაიდან ერდო ბოლის გასვლის უკეთეს საშუალებას წარმოადგენდა, ერდოიან განყოფილებაში მისი დაგროვებაც ნაკლებად ხდებოდა, ვიდრე იმ სართულზე, სადაც მხოლოდ სარკმლები ასრულებდნენ ამ



დანიშნულებას. მაგრამ საქმეს არც იმდენად ერღო შველოდა და კვანძის დანთების დროს კვამლი მაინც განუწყვეტლივ ტრიალებდა\*. სწორედ ამას თვლის ძველი მოხეური სახლის ერთ-ერთ ნაკლად ალ. ყაზბეგი, რომელიც ვაკვრით ეხება მაშინდელი საცხოვრებელი ნაგებობების ზოგიერთ თავისებურებას და სხვათა შორის აღნიშნავს: „სამწუხაროთ, ეს სახლები პატარა ფანჯრების გამო, რომლებიც ბოლის გასასვლელს ალაგსაც ასრულებენ, ძალიან ცოტა სინათლეს უშვებენ სახლში და ბოლიც ვერ გადის კარგად. ამის მიზეზით მოხვევების სახლი მუდამ ბნელია და გავსებული კომლით, რომელიც სწყინს თვლებს“ 74.

სახლის რომელ სართულზედაც უნდა ყოფილიყო მოწყობილი კერა, ის ერთი და იგივე ელემენტებისაგან შედგებოდა და დანიშნულების მიხედვითაც არ ვანიჩოვდა. ამასთან ერთად ისიც აღსანიშნავია, რომ კერა ეწოდებოდა, ერთი მხრივ, მის მთელ მოწყობილობას, ხოლო, მეორე მხრივ, მხოლოდ ცეცხლის დასანთებ ჩაღრმავებულ ადგილს.

კერის ჩაღრმავებული ადგილის გარშემო შემოწყობილი იყო რამდენიმე ქვა, რომ მასში დანთებული ცეცხლის ნაღვერდალი აქა-იქ არ გადაფანტულიყო. კერის შუაგულში იდო კერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი — კ ე ც ი, რომელიც ფიქალის, ბასრის ან თლილი ქვისა (ანდეზიტი) უნდა ყოფილიყო. ამათგან უპირატესობას ანიჭებდნენ ცეცხლგამძლე ანდეზიტს, რომლის საბადოები ხევის რამდენიმე ადგილას არსებობს (არშა, ქობთა და სხვა) და დღეს სამრეწველო მნიშვნელობისაა.

\* სხვათა შორის, საცხოვრებლად უვარგისი და ბოლიანი სახლის აღსანიშნავად ხევში გვხვდება ტერმინი ბ ა ჯ ა ე; „გონჯს ბაჭაჩი ვყრივართო“—ასე იტყოდა ხოლმე თავისი ბინით უკმაყოფილო მოხვეე.

ამის პარალელურად, მიწურბანიანი სახლის სახელწოდებად მიღებულია აგრეთვე ქ ო ხ ი. ჩვეულებისამებრ, მოხეური დიალექტით, ქოხი ეწოდება ერთი მხრივ საძოვრებზე მყოფ მწყემს-მწველავთათვის გაკეთებულ დროებით (სეზონურ) საცხოვრებელს, ხოლო, მეორე მხრივ, გამოქვაბულს- გადატანით კი ტერმინი ქოხი საცხოვრებელი ნაგებობის — სა ხ ლ ი ს აღმნიშვნელ ცნებადაც გვევლინება. ეს ნათლად ჩანს მოხეური ხალხური პოეზიის ნიმუშების მიხედვითაც:

„ყანა მაქვ ნადარბასეცსა, შიგ ქოხი გამაეთხაროა“.  
 ანდა:  
 „საწყალი კაცის ცხოვრებას რად უნდა ბევრი ხრიალიო—ერთაი ქოხი მიწური და ერთი კოკა წყლიანიო“. 75



კეტან და მის ირგვლივ შემოწყობილ ქვებთან ერთად კერძო სფეროში დებდნენ ოთხკუთხი მოყვანილობის ანდეზიტის მოზრდილ ქვას რომელსაც კერისთავის ქვა, ანუ ზგიდე ერქვა. ზოგიერთ შემთხვევაში კერაზე დგამდნენ რკინის ზგიდეს, რომელიც სადა ან ორნამენტით დამშვენებული იყო. ერთ-ერთი ასეთი ზგიდე ოთხფეხით და ოთხი კუჭით ექსპონირებულია ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამოფენაზე. მისი ორნამენტის ელემენტებს წარმოადგენენ რომბები, ხეული ხაზები და მზის გამოსახულებანი, რაც კერის კულტის ასტრალური ხასიათის მაჩვენებელია.

კერის მოწყობილობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად წარმოგვიდგება საკიდელი (ჯაჭვი), რომელიც ქერში იყო ჩამომული. მის კავზე დაკიდებულ ქვაბში იხარშებოდა საქმელი. ცეცხლთან ქვაბის მიახლოვების ან ცეცხლიდან მისი დაშორების მიზნით საკიდლის აწევ-დაწევა ხდებოდა მასში დაყოლებული კავის — ე. წ. საკიდლის სამართის მეშვეობით.

კერა-საკიდლის ასწვრივ, ერდოს ძირში, ქერზე მიმაგრებული იყო საშუალო აღამიანის მკლავის სიმსხო ოთხი ღირე, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება კვადრატს ქმნიდა. თითოეული ლატანის სიგრძე ერთი მეტრი ან ცოტა მეტი შეიძლება ყოფილიყო. მათზე ზემოდან დადებული იყო ბრტყელი ფიქალი, რომ ხე-ქერი ცეცხლიდან ავარდნილი ნაპერკწლებისაგან ყოფილიყო დაცული. ეს ფიქალი გამოიყენებოდა აგრეთვე სველი საგნების გასაშრობად.

აღსანიშნავია, რომ ამ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის სახელწოდება ხევში არ მოწმდება. როგორც ჩანს, მას არც ჰქონია თავისი სახელი, თორემ კერიან სახლებში ნაცხოვრებ მოხუცებს აუცილებლად ემახსოვრებოდათ. კერის ეს ნაწილი ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამოფენაზეც არის წარმოდგენილი, მაგრამ მისი სახელი არც მუზეუმის მუშაკებმა იციან. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში კი მის სახელწოდებად გვხვდება აყარი (მთიულეთი, ქართლი), სალე (ხევსურეთი), ოკვალე, საბერტყე, ოჯინჯელი (სამეგრელო), ოჯინჯალი, კაკიბერა (რაჭა-ლეჩხუმი), თავანი, სხვენეი, ოჯინჯალი (იმერეთი), სხვენეი (გურია), ჭერი (აჭარა), შვილ (სვანეთი)<sup>76</sup>.

აქ დასახელებულ ტერმინთაგან ხევში გვხვდება მხოლოდ აყა-



რი, ოღონდ განსხვავებული შინაარსით. მოხვევები აყარს სამყოფოში, კუთხში ან კარსუკენ გართულ ერთ ან ორ გრძელ ხეს. აყარზე ლურსმნები ან ხის სოლები იყო ჩარჭობილი მასზე ხორცის, ქონის და ღუმის ჩამოსაკიდად და ბოლში გამოსაყვანად. აყარზე ზოგჯერ აწყობდნენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებსაც.

კერა ერთდროულად ასრულებდა პურის ცხობის, ხორცის შეწვის, საჭმლის მოხარშვის, გათბობისა და ნაწილობრივად განათების ფუნქციას. პურს აცხობდნენ გახურებულ კეცზე. ფქვილმოყრილ კეცზე დაკრულ პურს ახვევდნენ ღვევრსა და ცხელ ნაცარში. ხორცის შეწვა ხდებოდა შამფურებით, ხოლო ხაბიზგინების (ხაჭაპურის მსგავსი ნამცხვარია) გამოსაცხობად გამოიყენებოდა საკიდელზე ჩამოკიდებული ტაფა — ე. წ. კ ა ი დ ა ნ ა რ ა ჯ მასში ჩადებული თხელი ბასრის კეცით.

კერის ამ მრავალმხრივი მნიშვნელობის გვერდით არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი ნაკლოვანებებიც: გარდა იმისა, რომ კერაზე ცეცხლის დანთება სახლში ბოლის დაგროვებას იწვევდა, ანტიჰიგიენური იყო ნაცარში პურის ცხობაც. ძველებური სახლისა და კერის ნაკლად სამართლიანადაა მიჩნეული ისიც, რომ ხევის მკაცრ ზამთარში ბინის გათბობა ვერ ხერხდებოდა<sup>77</sup>.

კერის პრაქტიკული მნიშვნელობის თუ ნაკლის პარალელურად ეთნოგრაფის ყურადღებას იქცევს მასთან დაკავშირებული სოციალური და სარწმუნოებრივი მომენტები. პირველი, რაც თვალში გვეცემა, არის კერის მიხედვით ოჯახის წევრთა უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა. როგორც წესი, კერის თავში ოჯახის უფროსი იჯდა მისთვის განკუთვნილ ზურგიანსა და ორნამენტირებულ სავარძელში, რომელიც თავისი ფორმითა და დანიშნულებით მოგვაგონებს სვანურ სკურცხვილს<sup>78</sup>. თვით მისი სახელწოდებებიც — ს ა მ ა რ ტ ო შ კ ა მ ი, მ ა რ ტ ო შ კ ა მ ა ჯ ა ნ ს ა უ ფ რ ო ს ო შ კ ა მ ი იმის მაჩვენებელია, რომ ეს სავარძელი ხევში ერთი კაცისათვის და ისიც მხოლოდ ხნით უფროსისათვის იყო განკუთვნილი. საუფროსო სკამის ამავე ფუნქციაზე მიუთითებს მოხვევთა ყოფა-ცხოვრების უბაღლო მცოდნე ალ. ყაზბეგი<sup>79</sup>.

თუ საუფროსო სკამი კერის თავში იდგა, მის მარჯვენა მხარეზე კერასთანავე მდგარ ერთ ან რამდენიმე გრძელ სკამზე ჯდებოდნენ და-



ნარჩენი მამაკაცები უფროს-უმცროსობის მიხედვით. გრძელსაკამზე საუფროსო ადგილად (თავად) ითვლებოდა სამარტო სკამისაკენ მიქცეული მხარე.

კერის იმ მხარეს, სადაც მამაკაცისთვის განკუთვნილი სკამები იდგა, ხევში ერქვა ს ა კ ა ც ო, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს— ს ა დ ე - დ ა კ ა ც ო. საკაცო მხარეს დედაკაცების ყოფნა და მითუმეტეს მამაკაცთა სკამებზე მათი დაჯდომა სასტიკად იყო აკრძალული. ქალები ჯდებოდნენ სადედაკაცო მხარეზე მდგარ უზუერვო სამფეხა სკამებსა და ქ უ ნ თ ე ბ ზ ე (ბალიშებზე). თვით ქალთა შორის ყველაზე უფროს-საც კი არ ჰქონდა ცოტად თუ ბევრად უკეთესი სკამი.

კერასთან საკაცო და სადედაკაცო ადგილების გაყოფის რეჟიმი მკაცრად იყო დაცული ჭამის დროსაც. მამაკაცები იქვე წინ დადგმულ ტაბლას შემოუსხდებოდნენ, ხოლო ქალები ამის შემდეგ თავიანთ დაბალ სამფეხა მაგიდაზე შეეჭკეოდნენ საჭმელს.

სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნის მიხედვით ხდებოდა ადგილების ამავე პრინციპით განაწილება სტუმრიანობის დროსაც. სტუმრად მყოფი მამაკაცი უნდა დამჯდარიყო გრძელ საკაცო სკამზე, ხოლო ქალი მასპინძელ ქალებთან ერთად—დაბალ სამფეხა სკამზე ან ქუნთაზე. სტუმრად მისული ხანდაზმული და საბატოო კაცისთვის კერასთანავე იდგა მეორე ზურვიანი სავარძელი, ხოლო თუ სტუმარი ამ ოჯახში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა და ოჯახის უფროსზედაც ხანდაზმული იყო, ოჯახის უფროსი მას პატივისცემის ნიშნად თავის სკამს უთმობდა.

როგორც ვხედავთ, კერასთან მკაცრად იყო დაცული სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპი, რაც კარგად ჩანს თუნდაც იმაში, რომ კერის მარჯვენა (საკაცო) მხარეს მეორენაირად ერქვა ს ა უ ფ რ ო ს ო, ხოლო კერის მარცხენა (სადედაკაცო) ნაწილს — ს ა მ უ ც რ ო ს ო (საუმცროსო).

ყოველივე ამასთან ერთად საინტერესოა კერასთან დაკავშირებული ხალხური ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები. ეს ეხება საქორწილო რიტუალს, სახალწლო ზეიმს და მთელ რიგ სხვა მომენტებს.

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ხევშიც კერა განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა საქორწილო რიტუალში, რაც დეტალურადაა აღწერილი ჩვენს სპეციალურ მონოგრაფიაში<sup>80</sup>.

კერა-საკიდლის სოციალურსა და საკულტო მნიშვნელობასზე მსჯელობისას ყურადღებას იქცევს რიგი სხვა მოვლენაც. ასეთად წარმოგვიდგება, მაგალითად, საახალწლო ჩვეულება, როდესაც მეკვლე დილით სამყოფოში შემოვიდოდა, ოჯახს დალოცავდა და საკვლევ პურს კერისაკენ შემოაგორებდა. თუ კერასთან დაცემულ პურს მასზე გამოყვანილი ჯვარი ზემოდან მოექცეოდა, იმ წელს ოჯახს ბედნიერებას უწინასწარმეტყველებდნენ. კერასთან პურის შებრუნებით დაცემის შემთხვევაში ოჯახი ზარალსა და რაიმე უსიამოვნებას მოელოდა.

ზემოთქმულს ისიც უნდა დავძინოთ, რომ კერის ზოგიერთი ელემენტი, სახელდობრ საკიდელი, საკულტო მნიშვნელობის მქონე საგნად ჩანს მოხეური ხალხური გადმოცემების მიხედვითაც. ჩვენ მხედველობაში ვვაქვს ბეთლემის უდაბნოს გარშემო შექმნილი ლეგენდები მამუკა ბერის მიერ სიზმრის მეშვეობით მიღებული სასწაულთმოქმედი სანახაობისა<sup>81</sup> და ე. წ. „ამირანის ქოხის“<sup>82</sup> შესახებ. როგორც ერთი, ისე მეორე ლეგენდის მიხედვით საკიდელი საიდუმლოებით მოცული ნივთის ფუნქციას ასრულებს. პირველ შემთხვევაში იგი „წმინდა ადგილას“ მოხვედრისა და ღვთაებათა საბრძანებელის აღმოჩენა-შეცნობის საშუალებადაა აღიარებული, ხოლო ამირანის თქმულებაში ამ ტანჯული გმირის დახსნის იარაღადაა მიჩნეული. წინააღმდეგ შემთხვევაში საკიდლის მაგივრად უფრო გრძელ ჯაჭვზე ან თოკზე იქნებოდა ლაპარაკი, თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ ამირანს ის სჭირდებოდა შორიახლო მდებარე ხმლის მისათრევად, ხოლო მამუკას — ყინულოვან უფსკრულში ჩასაშვებად.

საკიდლისადმი თაყვანისცემა ვლინდება იმ წესის არსებობაშიც, რომ მისი გაქანება სასტიკად იყო აკრძალული. ბავშვებს ამის უფლებას არ აძლევდნენ იმის შიშით, რომ სახლში მოსალოდნელი იყო უბარაქობა და კლდიდან საქონლის გადაჩეხვა.

მოსალოდნელი უბარაქობის შიშითვე მიუღებლად თვლიდნენ კერის ცეცხლზე თუ ცხელ საკმელზე შებერვას, რადგან სჯეროდათ, რომ ოჯახის ბარაქას ნიავი ვაფანტავსო. განსაკუთრებით მკაცრად იკრძალებოდა კერაზე ფეხის დადგმა ან გადაბიჯება „სახლის ანგელოზის“ შიშით, რომელსაც ვითომც მათი დამიზნეუბა და კერის სამუდამოდ გაცივება, ე. ი. ოჯახის ამოწყვეტა შეეძლო.

კიდევ უფრო მიუღებელი იყო კერა-საკიდლის ადგილიდან დაძვრა



და აშლა ოჯახის გაყრის დროს. როგორც ძველი სახლი, ისე მასში მყოფი საკიდელი ოჯახის ყველაზე უფროს წევრს რჩებოდა, როგორც მათი ოდინდელი ერთობის ემბლემა. მოხევის რწმენით, ძველი სახლიდან კერის აშლა განაყართა შორის არსებული კეთილსასურველი ურთიერთობის დარღვევას გამოიწვევდა, ხოლო როდესაც კერა თავის ადგილზევე რჩებოდა, გაყრილ ოჯახებს შორისაც თითქოს ჯანსაღი დამოკიდებულება სუფევდა.

საუფროსოდ მიჩნეული ამ ნივთების გამოყენების, მათი გაუყოფლობისა და კერის კულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ ანალოგიური ვითარებაა დამოწმებული მთიულეთშიც<sup>83</sup>.

როგორც ვხედავთ, კერა არა მარტო პრაქტიკული დანიშნულების მქონე იყო, არამედ მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა სოციალური და საკულტო ურთიერთობის სფეროშიც. იგი წარმოგვიდგება ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ოჯახის ერთობისა და ტრადიციის ცენტრად, რაც მოხევის მეტყველებაშიც თავისებურად არის ასახული. როდესაც მოხევეს სურს გაგვაგებინოს, თუ თავის გვარის წევრთა შორის რომელი უფრო ახლო ნათესავია მისი, გვეტყვის: „ერთ კერას ვუსხედით“, „ერთ კერაზე დავიზარდენითო“, ანდა „ერთ ცეცხლპირზე გავიყარენითო“. ეს ვითარება თავს იჩენს დალოცვასა თუ დაწყევლაშიც („გაინხარას შენმა მამის კერამა“, „გაგიცივდეს მამის კერაჲ“ და ა. შ.), სადაც კერა ს ა ხ ლ ი ს, ო ჯ ა ხ ი ს სინონიმურ ცნებად გვევლინება.

კერის კულტზე მსჯელობისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ დედაბოძს, რომელიც სახლის შიდამოწყობილობის მნიშვნელოვან ელემენტად წარმოგვიდგება მოჩუქურთმებული ბალიშით (თ ა ვ ქ უ დ ი) და ზედ მიკრული ჯიხვის რქებით. როგორც ზემოთ ითქვა, დედაბოძი დიდ როლს თამაშობდა სახლის კონსტრუქციაში და ის გადაბურვის საყრდენად გამოიყენებოდა. დედაბოძი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ის კერასთან ერთად „წმინდა“ ელემენტად იყო მიჩნეული. ოჯახის უფროსი „დედაბოძის მადლზე“ ფაცულობდა და რომელამე დღეობაზე, ქორწილში თუ შაბათ-კვირას მასზე მიმაგრებულ რქებზე მიკრულ სანთლებს ანთებდა. არც ერთი ასაკის ქალს ამ რიტუალში მონაწილეობის მიღებისა და დედაბოძთან ახლო დგომის უფლება არ ჰქონდა.

სახლის კონსტრუქციის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ დედაბოძი პირველიდან მეორე, ხოლო ზოგჯერ მესამე სართულის ჭერამდე იყო აღ-

მართული. არაიშვიათად სამყოფოს ფართობზე ერთზე მეტი დედაბო-  
ძი იღვა, მაგრამ აქედან რიტუალური მნიშვნელობის მქონე იყო ცენტრალური  
რში მდგომი დედაბოძი, რომლის თ ა ვ ქ უ დ ი მოჭრელებულ ღერებზე  
ჯვრებისა და მზის დისკოების გამოსახულებებით. ასეთი დედაბოძე-  
ბი ძველ სახლებთან ერთად მოისპო. ყოფილი მისი ფიქსაცია წილად  
ხვდა ს. მაკალათიას, რომელიც ე. წ. „ხარატულიანი“ დედაბოძის ჩუ-  
ქურთმის ხასიათს გვაცნობს<sup>84</sup> (ტაბ. VI, სურ. 1).

კერასთან ერთად სამყოფოში ზოგჯერ ღუმელიც იყო მოწყობილი.  
ღუმელს ხევში ადგილობრივი დიალექტით - ლ ო მ ე ლ ი ეწოდება და  
მისთვის განკუთვნილ ადგილს უმთავრესად კარსუქენა, დერეფანი ან  
ეზო წარმოადგენდა.

ამავე სახელწოდებითაა ცნობილი ღუმელი მთიულეთ-გუდამაყარ-  
ში და ხევსურეთში. მთიულეთ-გუდამაყარში ღუმელი დერეფანში,  
ეზოში და კალოზე გვხვდება, ხოლო ხევსურეთში საცხოვრებლად გან-  
კუთვნილ განყოფილებაში — „შინაში“ „ყვერფის“ (კერის) მეზობლად  
არის მოწყობილი და პურის საცხოზადაა გამოყენებული<sup>85</sup>.

სამყოფოში ან კარსუქენ ღუმელისთვის გამოყოფილ ადგილს ხევში  
ეწოდება ს ა ლ ო მ ლ ე კ უ თ ხ ე, ხოლო დერეფანში ან ეზოში მის-  
თვის განკუთვნილ ადგილს ს ა ლ ო მ ლ ი ა ს ეძახიან.

ღუმელი ხევში მარტივი აგებულების პურის საცხოზია, რომელსაც  
ჩვეულებისამებრ სახლის თუ ეზოს კედელთან აშენებენ. ამის გამო  
მას ზურგის კედელი აღარ უკეთდება და მხოლოდ გვერდითი კედლების  
ამოშენებით კმაყოფილდებიან. მშრალი ქვის წყობით აშენებული კედ-  
ლების სიმაღლე საშუალოდ ერთ მეტრს აღწევს, სიგრძეც ამდენივეა,  
ხოლო კედლის სიგანე 40—50 სანტიმეტრს არ აღემატება. ზოგიერთ  
შემთხვევაში კედლები ორივე მხრიდან თიხით არის შეღესილი, უმთავ-  
რესად კი შეუღესავია. არაიშვიათად ღუმელის თითოეულ გვერდით  
კედელში საშენ მასალად მხოლოდ ორი ერთმანეთზე დადებული თლი-  
ლი ქვა არის გამოყენებული.

კედლებზე გარდიგარდმო გართულია გრძელი ქვა, ან რკინა, რასაც  
ხევის სხვადასხვა სოფლებში ლ ო მ ლ ი ს ლ ი ჯ ი რ ო, ღ ე ჯ უ რ ა ზ  
ან ლ ი ჯ უ რ ო ეწოდება. კედლებსა და ამ ლიჯიროებზე დებენ კეცს,  
რომელიც ღუმელს ორ სართულად ყოფს. პირველ სართულში ცეცხ-  
ლია დანთებული და მით კეცი ხურდება. კედლებზე კი ზემოდან ბრტყე-  
ლი ქვის ფილებია დართული, რასაც ლ ო მ ლ ი ს ს ა რ ქ ვ ე ლ ი  
ეწოდება.



ლუმელის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია კეცი, რომლის დამზადება, ისევე როგორც კერის კეცისა, უმთავრესად ანდუზის რეგიონში ხდებოდა, ზოგიერთ შემთხვევაში ლუმელის კეცად ბასრი და „ჭ ა ჭ ი ც“ გამოიყენებოდა.

ლუმელი მხოლოდ საცხობად იყო მოხმარებული. საჭმლის ხარშვისათვის ის არ ყოფილა გამოყენებული. პურისა თუ სხვა რამის გამოცხობაც მასში მარტოოდენ მაშინ ხდებოდა, როდესაც გათბობის მიზნით კერაზე ცეცხლის დანთებას წყვეტდნენ. საწვავის დაზოგვის მიზნით ზამთრის პერიოდში პური კერაზე ცხვებოდა, თუნდაც კერასთან ერთად სამყოფოში ლუმელიც ყოფილიყო გამართული.

საჭიროა ისიც ითქვას, რომ სამყოფოში ლუმელი იშვიათად იყო მოწყობილი. მას ცალკეული ოჯახები თავის საჭიროებისათვის უმთავრესად კარსუკენ და დერეფანში აკეთებდნენ. მაგრამ საოჯახო ლუმელებს გარდა ხევში მოწმდება აგრეთვე ს ა ზ ი ა რ ო და ს ა უ ბ ნ ო ლ ო მ ე ბ ი ც.

იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი ოჯახი რამდენიმე დამოუკიდებელ კომლად იყრებოდა და განაყრების ცხოვრება კვლავ ერთობის სახელში გრძელდებოდა, ხოლო ლუმელი ყველა იმ ოჯახებისთვის ადვილად მოსახმარებელ ადგილას (საერთო კარსუკენაში ან დერეფანში) იყო გამართული, ლუმელის გაყოფა არ ხდებოდა და განაყართა საზოგადო საკუთრებაში რჩებოდა. ასეთ ლუმელს მოხვევები ს ა ზ ი ა რ ო ლ ო მ ე ლ ს უწოდებენ და მას ძმა-ბიძაშვილები რიგით ხმარობენ.

კიდევ უფრო დიდი მოცულობისა იყო ე. წ. ს ა უ ბ ნ ო ლ ო მ ე ლ ი, რასაც ერთ უბნად დასახლებული მოგვარეები თუ მეზობლები იყენებდნენ. როგორც საუბნო ლომელს, ისე სალომლიას (ბანით დახურული ღია ნაგებობა თანაუბნელთა ერთ-ერთ ეზოში) უბანი აშენებდა საერთო ძალით და მორიგეობით ახურებდნენ.

თუ სალომლიისა და ლუმელის აშენება მამაკაცებს ევალებოდათ, მისი გახურება და პურის ცხობა მხოლოდ დედაკაცებს ეკისრებოდათ. განსაკუთრებით დიდი ჯაფა ადგებოდათ მათ რიტუალური პურისა (ქ ო ბ ო ბ ი) და ს ა უ ბ ნ ო ქ ა დ ი ს გამოცხობისას, რომელთა წონა ერთ ფუტს აღწევდა<sup>86</sup>.

ზემოთქმულს ისიც უნდა დაემატოს, რომ ლუმელთან მამაკაცის



ჩამოჯდომა სამარცხვინოდ ითვლებოდა. თუ ის კერასთან და ბუხარის საპატიო ადგილს იკავებდა, ღუმელთან დაჯდომის შემთხვევაში მას გალექსავდნენ და ღომლის კაცი-ს დამამცირებელი სახელით მონათლავდნენ. ღომელთკარი მართოდენ ქალების შესაკრებსა და ერთგვარ თავშესაქცევ ადგილს წარმოადგენდა. ეს ტრადიცია მტკიცედ არის დაცული თანამედროვე ხევშიც.

მოხეური სახლის შიდა მოწყობილობაში შედარებით იშვიათი გამოწკნისების სახით გვხვდება ბუხარის, რაც მთხრობელთა ცნობების თანახმად, ხევში გვიან შემოსულა და მხოლოდ ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურებული ოჯახების კუთვნილებას წარმოადგენდა. ასეთებად ასახელებენ აზნაურ ყაზბეგებს (სოფ. სტეფანწმინდა), ვაჭრობის მიმდევარ ბედოშვილებს (სოფ. არშა) და სოფ. ყანობის ციხე-სახლში მცხოვრებ ითონიშვილებს (რომელთაგან ზოგიერთი საეკლესიო სამსახურში იდგა). მაგრამ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ბუხარი უფრო ფართოდ ყოფილიყო გავრცელებული ხევში და დასახელებულთ გარდა სხვა ოჯახებშიც შენაცვლებოდა კერას. ეს სავარაუდებელია თუნდაც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ბინების კეთილმოწყობას უკვე თანდათანობით ყურადღება ექცევა.

ამავე გარემოებაზე უნდა მიუთითებდეს ერთი მოხეური ხალხური ლექსიც, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებში მომხდარ ამბავს ეხება. ლექსში მოთხრობილია სოფ. კარკუჩიდან პატარძლის წაყვანის ამბავი და სხვათა შორის ისიც არის აღნიშნული, რომ კარკუჩელ მაიკოს „ზამთრის უყორდა ბუხარი, ზაფხულის გრილი ნიავი“-ო<sup>87</sup> და ა. შ. ხევში 1876 წ. ჩაწერილ ლექსშიც არის მოხსენებული ბუხარი: „ჩამაჰდგამს ბუხართან ფეხსა, ელექსებოდა ქალებსა“<sup>88</sup>.

ცხადია, ვერც მაიკო შეიყვარებდა ბუხარს, თუ ის მოხეურ სახლში არ იქნებოდა, უბუხრო სახლში ბუხართან ჯდომა და ლექსაობაც წარმოუდგენელია და ხსენებული ხალხური ლექსების ავტორებიც ბუხარის შესახებ არაფერს იტყოდნენ, ასეთი რამ იმდროინდელ ხევში რომ არ ჰგულებოდათ.

ბუხრები და მისი ზოგიერთი ნაწილი დღეისათვის შემორჩენილია ითონიშვილების ციხე-სახლში. ერთი მათგანი წარმოადგენს ქვიტკირის წინა კედელში დატანებულ თაღისებურ ცეცხლსანთებს თავისი საკვა-

მურით. ეს ბუხარი თავიდანვე კერასთან ერთად ყოფილა მოქმედებაში, რაც ხევის ეთნოგრაფიულ ყოფაში გამონაკლის მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ამავე ქვიტკირის უკანა და გვერდითი კედლების კუთხეში დღემდე შემონახული მეორე ბუხარიც (ტაბ. VIII, სურ. 2; ტაბ. X, სურ. 2), რომელიც სახლის რეკონსტრუქციის შემდეგ 100 წელზე მეტი ხნის წინათ გააკეთებინა გიორგი ნინიას ძე ითონიშვილმა (ბლალოჩინმა). გიორგი დაახლოებით ამავე დროს აკეთებინებს მეორე ბუხარს ქვიტკირის წინა და გვერდითი კედლების კუთხეში. ეს ბუხარი აშენებული ყოფილა წითელი ფერის თლილი ქვით. დღეს შემონახულია და კიბის საფეხურადაა გამოყენებული ერთადერთი ქვა ზედ ამოკვეთილი მზის გამოსახულებებით, გეომეტრიული ორნამენტით და ბუხარის აშენების თარიღით (ტაბ. X, სურ. 3).

როგორც ვხედავთ, ბუხარი ხევისათვის ნაკლებად დამახასიათებელსა და კულტურის გვიანდელ ელემენტს წარმოადგენდა. ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით ხევში ბუხრის გაჩენის ყველაზე ძველ თარიღად შეიძლება ჩაითვალოს XVII საუკუნე, როდესაც ითონიშვილების ციხე-სახლში ის კერასთან ერთად არის მოქმედებაში. რაც შეეხება ამავე ნაგებობის ორ დანარჩენ ბუხარს, ისინი 1866 წელსა და მასზე ცოტა ხნით ადრეა გაკეთებული. დაახლოებით ამავე პერიოდისაა ყაზბეგებისა და ბედოშვილების სახლებში არსებული ბუხრები, ხოლო ხალხური პოეზიის ზემოთ მოტანილი ნიმუშებიც ვასული საუკუნის 70-იანი წლების ვითარებას უნდა გვაცნობდნენ.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ XIX საუკუნის ხევში საოჯახო კულტის ცენტრად კვლავ კერა ან კერის ადგილი რჩება. სოციალური და რელიგიური მომენტები ბუხართან არ აღინიშნებოდა. ამის მიზეზად გამოიყურება ბუხრის იშვიათობა და კერის კულტის ხანგრძლივად შემონახულობა. ამ მხრივ სულ სხვაგვარ გარემოებასთან გვაქვს საქმე იქ, სადაც კერა მთლიანად ბუხარმა შეცვალა და კერასთან შესასრულებელმა საოჯახო წესებმაც ბუხრის პირად გადაინაცვლა<sup>89</sup>.

ხევში ერთადერთი მხოლოდ ის შეინიშნება, რომ ბუხრის ქვა მოჭრებული იყო. ეს თავისთავად საგულისხმო ჩანს იმდენად, რამდენადაც ბუხარში ცეცხლის დანთებასთან ერთად ცეცხლის კულტისადმი თავგანისცემის ამსახველი ორნამენტი ბუხართანაც გაჩნდა. განსაკუთრე-



ბით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბუხრის ქვაზე მზის დისკოს მხარეს ამოკვეთილი, რაც ამ ორნამენტის ასტრალურ ხასიათზე ლაპარაკობს, ისევე, როგორც ცეცხლის კულტთან დაკავშირებული ორნამენტების უმრავლესობა ქართლსა და მესხეთშიც ასტრალური ხასიათისანი არიან.

კერა-საკიდლის გვერდით ჭერში ღვედით ან თოკით ეკიდა 70—80 სმ სიგრძის ხის ნაჭერი. მას ბოლოში ჰორიზონტალურად ჰქონდა გაყრილი ასეთივე ზომის ხე, ხოლო ჭერიდან ჩამოშვებულ დირეზე ჩამოცმული იყო გახვრეტილი ფიქალი, რომელიც იდო ჰორიზონტალურად გაყრილი ხის ნაჭერზე. ამ მარტივი აგებულების საგანს ერქვა კონხლო, რომელიც გამოიყენებოდა როგორც ჩირალის (კვარის) დასადებად სახლის განათების მიზნით, ისე სველი საგნების გასაშრობად, რამდენადაც კონხლო კერის ცეცხლთან ახლოს იყო დაკიდებული.

შემდგომში კონხლო შეცვალა საჩირალემ, რომელიც შედგებოდა ჯოხზე მიმაგრებული სამი ფეხისა და ჯოხისავე თავზე გაკეთებული რკინის სამი კაპისაგან. ამ კაპების ნახვრეტებში ამაგრებდნენ ჩირალის ღერებს.

ამავე დანიშნულებას ასრულებდა ხევში აგრეთვე მახხალაჲ (მაშხალა) — ფეხებიანი რკინის შანდალი. მის თავზე მიმაგრებულ თუნუქის პატარა ჯამში ჩირალს ან ქონში ამოვლებულ ბამბის გრეხილს დებდნენ და მით აშუქებდნენ საჯალაბო სახლს.

სამივე სახის აქ დასახელებული სანათური მოწყობილი იყო საუმცროსო ადგილას, ვინაიდან მათი ანთება და თვალყურის დევნება ოჯახში საუმცროსო საქმის შემსრულებელ პატარძალს ევალებოდა. მასვე უკისრებოდა ჩირალის დაჭერა და ფეხზე დგომა მამაკაცების ვახშმობის დამთავრებამდე. სანათური რომ საკაცო ანუ საუფროსო ადგილზე ყოფილიყო, პატარძალს თავისი მოვალეობის შესრულება გაუჭირდებოდა, რამდენადაც მამაკაცების იქ ყოფნის დროს საუფროსო ადგილზე მას (და საერთოდ ქალს) მისვლის უფლება არ ჰქონდა.

საუმცროსო ადგილზე დებდნენ ნავთის ლამპასაც, რაც ხევში XIX საუკუნის ბოლოს ცვლის მაშხალას და პატარძლის მდგომარეობაც ამ მხრივ უმჯობესდება, მაგრამ ამ მოვალეობისაგან ის სრულიად თავისუფლდება მხოლოდ ყაზბეგის რაიონის ელექტროფიკაციის შედეგად, რაც საბჭოთა პერიოდში განხორციელდა.

კონხლოს ახლოს ან კარსუკენ ჭერში ეკიდა მუხის ან წიფლის ხი-



სგან დამზადებული კარახხაე, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ  
ში გამოსაყვანი ხორცისა და ქონის ჩამოსაყიდად. ერთ-ერთი ასეთი კარ-  
ახხა ეკიდა ითონიშვილების ციხე-სახლის მეორე სართულის ჭერში  
(ტაბ. IX, სურ. 2) და ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუ-  
ზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ხის ფონდში  $(\text{№ } \frac{4-58}{1})$ .

კონხლოსა და კარახხას გარდა ჭერში იყო ჩამოკიდებული აყარი  
და ქანდარი. შემთ უკვე ითქვა, რომ აყარი სამყოფოში, კუთ-  
ხში ან კარსუკენ იყო გადებული. რაც შეეხება ქანდარს, რომელიც  
აყარივით გრძელ, ოღონდ უფრო წვრილ დირეს წარმოადგენდა და  
ტყავ-ნაბადისა და ტანსაცმლის დასაყიდად გამოიყენებოდა, მხოლოდ  
კარსუკენას ჭერში უნდა ყოფილიყო ჩამოკიდებული.

ტანსაცმლის დასაყიდებლად ქანდარსთან ერთად ზოგჯერ ფსიტის  
(არჩვის) ან ჯიხვის რქებიც იყო გამოყენებული, რომლებსაც კარსუკენა-  
სამყოფოს მტიხრავ ფიცრულზე ამაგრებდნენ. კარსუკენაშივე აწყობ-  
დნენ ე. წ. „ჭმელ იარაღს“ (სასოფლო-სამეურნეო იარაღი, სა-  
ტრანსპორტო მოწყობილობა და სხვა), ხოლო მის ერთ-ერთ კედელთან  
დგამდნენ სამამაკაცოდ განკუთვნილ გრძელ სკამს. ზოგჯერ მის მაგივ-  
რად დებდნენ დიდ მორს — ე. წ. ხის ყადეს (ქვის ყადე კი  
დარიფანზე გვხვდება), რომელსაც ზაფხულში იყენებდნენ ჩამოსაყ-  
დომად. კარსუკენაშივე იდგა ტყავის საზელი ხელსაწყო — ხის სა-  
ღენქელი, რომელსაც ზამთარში ხმარობდნენ. ზაფხულში კი  
ტყავის ზელა უმთავრესად „ერობაში“ (ხალხის შესაკრებ ადგილას)  
მოთავსებულ ქვის საღენქელზე ხდებოდა და იქ მყოფნი  
ერთმანეთს მორიგეობით შველოდნენ.

ტანსაცმლისა და რიგი სხვა ნივთების ჩასაწყობად იყენებდნენ სამ-  
ყოფოს სხვადასხვა ადგილას განლაგებულ ან ერთმანეთზე შედგმულ  
სკივრებსა და კიღობნებს. სამყოფოში იმდენი სკივრი  
და კიღობანი იდგა, რამდენი სხვადასხვა ასაკის რძალსაც ოჯახში ირიცხე-  
ბოდა, ვინაიდან ორივე ეს ყველა ქალს მზითვად მიყვებოდა და სიკვ-  
დილამდე რძლის პირად საკუთრებას წარმოადგენდა<sup>91</sup>.

სამყოფოს კედლებთან განლაგებული იყო საწოლად გამოყენებული  
ხის რამდენიმე ტახტი — ე. წ. პანდარი, რომლის ეტიმოლოგიუ-  
რი შესატყვისი ჩანს სვანური ბანდარი, რაც გრძელ სკამს ნიშ-



ნავს<sup>92</sup>. პანდრების რაოდენობა განისაზღვრებოდა ოჯახის წევრთა მდგენლობით. საოჯახო თემში ერთად მცხოვრებ თითოეულ ძმასა და ბიძაშვილს თავისი პანდარი ჰქონდა, რომელზედაც გარდიგარდმო გაშლილ ლოგინში მისი ცოლშვილი იძინებდა. პანდართან ერთად არსებობდა ოვალური ფორმის მოწნული საწოლი (რომელსაც ერქვა ძ ა რ ი, ჯ ი ნ ი ან ჩ ა ფ ი) და იატაკზე დაგებული ლასტი.

საწოლებთან ახლოს კედელზე აკრავდნენ სხვადასხვა სახეებით მორთულსა და შავი ან წითელი ფერის მატყლისაგან დამზადებულ ნ ა ბ დ ე ბ ს, ხოლო სამყოფოსა და კარსუკენას გამტიხრავ ფიცრულზე წესად იყო მიღებული ჯიხვის ტყავის ვაკვრა თავის რქებიანად. იქვე, დედაბოძზე ან დამხმარე ბოძზე ამაგრებდნენ ირმის ან ჯიხვისავე რქებს, რომელზედაც თოფები და ხმლები იყო გადებული, ხოლო ტყავსა და რქებზე ჰკიდებდნენ შვილდ-ისარს, ხანჯალს, დამბაჩას, საპირისწამლეს, ყინულზე სასიარულო წრიაპებს, თოვლში სასიარულო მოწნულ თხილამურებს, ფანდურს და ა. შ. ქალთაგან აქ მხოლოდ ქვრივი დედააკაცის მისვლა იყო შესაძლებელი, რომელსაც გარდაცვლილი ქმრის იარაღის მოვლა (დაწმენდა) აუგად არ ეთვლებოდა, ხოლო თუ იარაღის პატრონი ცოცხალი იყო, დედააკაცს იქ არაფერი ესაქმებოდა.

მოხეური სახლის მოწყობილობაში გარკვეული ადგილი ჰქონდა მიჩენილი პურეულის შესანახ გ ო დ რ ე ბ ს ა და ჯ ა რ ო ე ბ ს. მათ დგამდნენ როგორც სამყოფოში, ისე და კიდევ უფრო ხშირად კარსუკენ. სამყოფოში მათი დადგმა მაშინ ხდებოდა, როდესაც კუთხი საცხოვრებელი ფართობისაგან ლასტის ტიხარით ან ფიცრულით არ იყო გამოყოფილი. სამყოფოსა და კუთხის საზღვარზე დადგმული ხარო-გოდრები კი ასეთ შემთხვევაში ტიხარის როლსაც ასრულებდნენ. მათი დადგმა ისე ხდებოდა, რომ შუაში გასავლელი ადგილი რჩებოდა, ხოლო ხაროს ერთ მხარეზე შებმული ფიცრის ან ლასტის კარების დახურვით სამყოფოსაგან კუთხის იზოლირებაც ხერხდებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში კი ხაროებსა და გოდრებს თვით სამყოფოს შუა ადგილას დგამდნენ (ტაბ. IV, სურ. 2; ტაბ. V, სურ. 1).

ხაროები და გოდრები ოჯახის უფროსი მამაკაცის განკარგულებაში იყო და იქ შენახული მარცვლეული მისი მეთვალყურეობით იხარჯებოდა. სამაგიეროდ სენასთან ერთად დიასახლისს ჰქონდა ჩაბარებული ხარო-გოდრების ახლოს დადგმული და გამომცხვარი პურისა თუ მშრა-



ლი სურსათის შესანახად განკუთვნილი ხის ყუთები დები. ამვე მხარეს ჭერში ეკიდა საბაკნიაჲ, რომელიც წყლის ოვალურ კალათს წარმოადგენდა ხის პატარა კართ. მასში ინახავდნენ ბაქნებს (ჯამებს), კოვზებს და სხვა წვრილმან ჭურჭელს. ვინაიან ჯამ-ჭურჭლის რეცხვა საუმცროსო საქმედ ითვლებოდა, ეს მოვალეობა პატარძალს ეკისრებოდა და საბაკნიაც საუმცროსო მხარეზე უნდა ყოფილიყო ჩამოკიდებული. ამვე მხარეზე დგამდნენ წყლის საზიდ ხიტაგანას (კასრს), სათიბზე წასაღებ საწყლეს — ე. წ. ორძირას თუ სპილენძის თუნგსა და თულუხს, რამდენადაც წყლის ზიდვაც პატარძლის საქმიანობათა სფეროს განეკუთვნებოდა<sup>93</sup>.

საოჯახო ნივთების შესანახად მოხვევები იყენებდნენ ბრტყელ ქვებსა და თახჩებსაც. სამყოფოს კუთხეებში გაკეთებულ ასეთ ქვებს ერქვა კორთები (კორთაჲ) და ის გამოიყენებოდა ტოლის (შალის) გორგალებისა, ნართებისა და სართავი იარაღების დასადებად. სახელოსნო იარაღების შესანახად ხმარობდნენ შუკუნას (მცირე ზომის თახჩას), რომელსაც ერთი-ორი თარო თუ ექნებოდა, ხოლო რამდენიმე თაროს მქონე მოზრდილ განჯინას საკუთრივ თახჩა ეწოდებოდა, რომელიც ჭურჭლეულისა და საკმელ-სასმელისთვის იყო განკუთვნილი და თავისი ფუნქციით ის ზოგჯერ პურის კარადასაც ენაცვლებოდა.

უშუკუნო და უგანჯინო სახლი ხევის წარსულში არც დასტურდება. ორივე ეს ძველი საცხოვრებელი ნაგებობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა და სახლის შიდამოწყობილობაში გარკვეულ როლსაც თამაშობდა. მაგრამ ეთნოგრაფის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამყოფოს ერთ-ერთი უშუკუნაჲ, რომელიც აღმოსავლეთისაკენ მდგარ კედელში იყო დატანებული და „საწმინდო“ და „წმინდა კუთხის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

„წმინდა კუთხე“ სახლის უფროსის განკარგულებაში იყო და იქ ჩვეულებებისამებრ ხატი (ჯვარი) და სანთლები ინახებოდა. ყოველ შაბათ საღამოს — „შაბათ შამომავალს“ სახლის უფროსი სანთლებს აანთებდა, იქვე კედელში დამაგრებულ ქვაზე ან დედაბოძზე მიაკრავდა და „ფუძის ანგელოზის“ სახელზე სათანადო ლოცვებს შეასრულებდა. რაკი ეს უშუკუნა „ფუძის ანგელოზის“ საბრძანისს წარმოადგენდა, ამის გამო მას სხვაგვარად „ფუძის ანგელოზის საბზანისი“ ან „ფუძის ანგელოზის კუთხე“ ერქვა.



მოხევეების რწმენით, „ფუძის ანგელოზი“ ოჯახისა და იმ გვარის (მოდგმის, ჩამომავლობის, ფუძის) მფარველად ითვლებოდა, რომლის შემადგენლობაში ეს ოჯახიც შედიოდა. მისადმი „ფუძის ანგელოზის“ წოდებაც სწორედ იმით არის მოტივირებული, რომ სიტყვა ფუძე თავისთავად გვარსა და ჩამომავლობასაც ნიშნავს. ეს კარგად ჩანს ერთი მოდგმა-ჩამომავლობის აღმნიშვნელ გამოთქმებშიც („ერთი ფუძისანი ვართ“, „ერთ ფუძეზე, ან ერთ ძირზე მოვდივართ“ და ა. შ.).

ვინაიდან „ფუძის ანგელოზი“ ოჯახთან ერთად გვარ-ჩამომავლობის მფარველ ძალადაც იყო მიჩნეული, რელიგიურ დღესასწაულებზე გვარში შემავალ ყველა ოჯახში „ფუძის ანგელოზს“ სანთლებს უნთებდა და ოჯახებს ამწყალობებდა გორის უფროსი (გვარში უხუცესი კაცი). სხვა დროს კი (მაბათობით), როგორც უკვე ითქვა, „ფუძის ანგელოზის“ სახელზე ლოცვა გვარის ხუცესს აღარ ევალებოდა და „მოსანთლე - მოწმინდარის“ როლში ოჯახის მეთაური გამოდიოდა.

თუ „ფუძის ანგელოზი“ ოჯახისა და ოჯახების გამაერთიანებელი სოციალური ერთეულის — გვარის მფარველად ითვლებოდა, საკუთრივ ოჯახის მფარველ ღვთაებად მიჩნეული იყო „სახლის ანგელოზი“, რომელიც, მოხევეთა რწმენით, „ღვთიშობლის“ ამხანაგად აღიარებულ მღვდრობითი სქესის „წმინდანს“ წარმოადგენდა. „სახლის ანგელოზს“ ხევში სხვა სახელებითაც მოიხსენიებენ ხოლმე („სახლთანგელოზი“, „სახლის ბედანგელოზი“, „კარის ანგელოზი“, „ღედათანგელოზი“ და „ადგილის დედა“). უკანასკნელი ორი სახელი — „ღედათანგელოზი“ და „ადგილის დედა“ — სწორედ მისი მღვდრობითობის შესახებ ხალხში არსებული რწმენის გამომხატველია.

„სახლის ანგელოზის“ სამყოფელად მიჩნეული იყო პროდუქტების შესანახი სენა, სადაც სათანადო წესების შესრულება და ლოცვა-ვედრება დედაკაცთა შორის ყველაზე მაღალი უფლებების მქონე პირის — დისახლისის ფუნქციებში შედიოდა. ამ „წმინდანისადმი“ მიძღვნილ ლოცვაში არც ერთი ასაკის მამაკაცი არ მონაწილეობდა, ისევე, როგორც „ფუძის ანგელოზის საბრძანისთან დედაკაცთა მისვლაც მიუღებელი იყო.

როგორც ვხედავთ, სახლის და ფუძის „ანგელოზი“ ერთნაირი ფუნქციის მქონე, ოღონდ სხვადასხვა სიდიდის სოციალური ერთეულების



მფარველ ღვთაებებად წარმოგვიდგებიან. პირველი მათგანს მინდობა იყო ერთი ოჯახისა და მისი საცხოვრისის დაცვა, ხოლო მეორისა მთელი საგვარეულოს მოდგმისა (ფუძის, ძირის) და შთამომავლობის (გვარის ფარგლებში შემავალი ოჯახების) მფარველობა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი გარემოებაც. მოხვევს ძველად სჯეროდა, რომ სახლს მფარველობდა აგრეთვე ე. წ. „ფუძის გველი“, რომელიც თითქოს ქვედა სართულში საძირკველთან ბინადრობდა და უშუალოდ მას (საძირკველს, საფუძველს) იცავდა. ამაში დარწმუნებულნი ძველად თუ გველს ბოსელში ან ქვედა სართულის საცხოვრებელში ნახავდნენ და მასში „ალალი“ გველის (ე. ი. შხამის არმქონე) თვისებებს შენიშნავდნენ, მოთვინიერებისა და გულის მოგების მიზნით მას რძეს უდგამდნენ. ასეთ გველს ხალხი „ანგელოზიანს“ (ე. ი. კეთილი თვისების მქონეს) უწოდებს, მაგრამ რაკი ის სახლის ფუძეს (საძირკველს) იცავდა, ზოგჯერ მას შეცდომით ფუძის ანგელოზსაც ეძახდნენ. „ფუძის გველის“ აღრევა-გათანაბრება „ფუძის ანგელოზთან“ გამოწვეული ჩანს სიტყვა „ფუძის“ ხმარებით. სინამდვილეში ცნება „ფუძე“ ერთ შემთხვევაში მხოლოდ „საძირკველის“ იდენტურია, ხოლო მეორე შემთხვევაში შედარებით ფართო შინაარსის მომცველია და ნათესაური გაერთიანების აღსანიშნავადაა ნახმარი.)

ამგვარად, სახლის „წმინდა კუთხე“ ითვლებოდა ოჯახისა და გვარეულობის მფარველი ღვთაების — „ფუძის ანგელოზის“ საბრძანებლად, „სახლის ანგელოზის“ ადგილ-სამყოფელს წარმოადგენდა სენა, ხოლო „ფუძის გველის“ სამყოფად მიჩნეული იყო სახლის საძირკველი. ხალხის რწმენით მათი ფუნქციები განსაზღვრული იყო. ამიტომ „ფუძის ანგელოზთან“, „ფუძის გველის“, ანუ „ანგელოზიანი გველის“ გაიგივება მხოლოდ ტერმინების აღრევისა და მათი მნიშვნელობის დავიწყებითაა გამოწვეული. რაც შეეხება გველისადმი ზემოხსენებული თვისებების მიწერას, ეს ღრმად დაკავშირებული გველის კულტის არსებობასთან, რაც საქართველოს სხვა კუთხეების წარსულისთვისაც იყო დამახასიათებელი და მთელ მსოფლიოში გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა. ამ საკითხის თუნდ მოკლე განხილვაც კი ნაშრომის განსაზღვრული მოცულობის გამო ამჟამად შეუძლებელია. ამავე მიზეზით გვერდი უნდა ავუაროთ ფუძისა და სახლის „ანგელოზის“

შესახებ ჩვენ ხელთ არსებული ფრიად საინტერესო მასალის მიმოხილვას. მაგრამ რაკი საცხოვრებელ ნაგებობებზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ხევის წარსულში გველისადმი თაყვანისცემის დამადასტურებელი უტყუარი ფაქტი თვით მოხეურმა სახლმა შემოგვინახა. დღემდე არსებულ ერთადერთ იშვიათ ეგზემპლარზე სოფ. გერგეტში, სუჯაშვილების სახლის კარის თავზე (წირთხალზე) გამოკვეთილია ერთმანეთზე თავებმიდებული და კუდებშემოხვეული ორი გველი (ტაბ. XIV, სურ. 2). ამ საინტერესო რელიეფურ გამოსახულებას დღესაც „ფუძის გველი“ ეწოდება და ყოფა-ცხოვრებაში ძველად გავრცელებული რწმენის მატერიალურ საბუთს წარმოადგენს.

#### IV. ახალი ეპოქის საცხოვრებელი ნაგებობანი

დროთა ვითარებაში სახე იცვალა ხევის სოფელმა. ოდინდელი გამოყენებითი მნიშვნელობა დაკარგა კონცხებსა და ფერდობებზე თავდაცვისათვის ხელსაყრელმა მჭიდრო დასახლებამ, ხელოვნურმა თუ ბუნებრივმა სიმაგრემ და ძველი სახეობის სახლმა. მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში შეწყდა კოშკების, ციხეების, სამალავი გვირაბების, რიგი სხვა სახეობის თავშესაფარი ნაგებობებისა და ციხე-სახლების მშენებლობა. სოფელმა მაღლობიდან ვაკე ადგილზე გადმოინაცვლა და თანდათანობით ფართო ტერიტორიაზე განსახლდა. ნასოფლარები, ნასახლარები და სიმაგრეთა ნანგრევები სალოცავებად და „წმინდა“ ადგილებად იქცა, სადაც წინაპართა მოსაგონრად შთამომავლობა სათანადო რიტუალს ასრულებდა.

დასახლების ფორმასთან ერთად ცვლილებები შეეხო საცხოვრებელ ნაგებობებსაც, რაც ძირითადად ორი ვხით მიმდინარეობდა—ძველი საცხოვრებლების გადაკეთებითა და ახალი სახლების აშენებით. ეს პროცესი არსებითად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და თანდათანობით ღრმავდება. აღნიშნული გარემოება თავისთავად უკავშირდება მეცხვარეობის ინტენსიურად განვითარებას, რამაც უდიდესი როლი შეასრულა საკვლევი რაიონის მკვიდრთა ეკონომიური დონის ამაღლების საქმეში. ამასთან ერთად, საზამთრო საძოვრების საჭიროებამ მოხვევე ძალაუნებურად საკუთარი კუთხის ფარგლებს გარეთ გაიყვანა და მას ცხოვრების ახლებურად ვარდამქმნის სტიმული მისცა.

ძველი დროიდან შემორჩენილ სახლებში მომხდარი ცვლილებები თავდაპირველად გარეგნული ხასიათისა იყო (თალიანი კარების შეცვლა ოთხკუთხი ფორმის კარებით, ვიწრო სარკმლების გაფართოება და ა. შ. (იხ. ტაბ. XIV, სურ. 1), ხოლო შემდეგ ნაგებობის გეგმაც იცვლება და მასში მთელი რიგი ახალი ელემენტიც ჩნდება.



XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოხეური სახლის კონსტრუქციის ში ზშირად გვხვდება ღია აივანი, რომლის წინამორბედად გამოიყენებოდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის აივნისანი სახლი (ტაბ. XII, სურ. 2). თუ აღრე ღია აივანი მხოლოდ ფსადის ერთ რომელიმე მხარეზე კეთდებოდა და ისიც ძალზე იშვიათად, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აშენებულ სახლებში მას უკვე წინა ფსადის მთელ სიგრძეზე გაჭიმულს ვხედავთ (ტაბ. XIII).

აივნების შემდგომ სრულყოფას ადგილი აქვს ჩვენს ეპოქაში, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ცვლილებების დადგენის თვალსაზრისით კიდევ უფრო საყურადღებოა სახლის შინაგანი გეგმა. ამ მხრივ აღრინდელსა და XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აშენებულ სახლებს შორის არსებით განსხვავებას ვხედავთ. თუ ძველ სახლში საცხოვრებელი ფართობი დიდი მოცულობის გაუტიხრავ სამყოფს წარმოადგენდა, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით ღრმავდება მისი სეგმენტაციის პროცესი. ეს პროცესი თავის მხრივ დაკავშირებულია არსებულ სოციალურ ყოფასთან. კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებში თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდნენ ხევში ხანგრძლივად შემონახული თემური წყობის გადმონაშთები. ამ რიგის ინსტიტუტებთან ერთად საბოლოოდ პატარა ოჯახებად იშლებოდა ასევე გადმონაშთური ფორმით სპორადულად შემორჩენილი საოჯახო თემი. ასეთ ვითარებაში, ერთი ოჯახიდან გამოსული ძმები სახლს საერთო ძალით იშენებენ, მაგრამ ძველებურად ერთ სამყოფოში კი აღარ ცხოვრობენ, არამედ საცხოვრებელ ფართობს თავიანთი ოჯახების რაოდენობის შესაბამისად ტიხარებით ანაწილებენ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ეპოქისათვის სახლმა დიდი კონსტრუქციული ცვლილებები განიცადა, ძველი ტრადიციის გავლენით კვლავ ორსართულიანი ნაგებობების მშენებლობა გრძელდებოდა. პირველი სართული საქონლის სადგომს წარმოადგენდა; ზოგიერთ შემთხვევაში მისი ერთი ნაწილი ბოსლისაგან იზოლირებულ საზამთრო ბინადაც მოიხმარებოდა, ხოლო მეორე სართულზე თითოეულ ოჯახს ჰქონდა, თუ მეტი არა, თითო ოთახი, კუთხი და მარანი (სენა) მაინც.



მნიშვნელობა დაკარგა ერდომ და მის ნაცვლად იყენებდნენ სახლიან ან თითოეული ოჯახისათვის ცალკე გაკეთებულ ქვის კიბეს.

მშენებლობის განვითარებისა და ბინების კეთილმოწყობის შემდგომ ეტაპზე, კერძოდ XIX საუკუნის ბოლოსათვის, ნიშანდობლივია საცხოვრებელი ნაგებობის ორივე სართულის გამოყენება ოჯახის სამყოფად და სახლის კომპლექსიდან ბოსლის „გამოძევება“. ამასთან ერთად სახლს უკეთდება პატარა ეზოც, რაც ცხვრის წველისა და პარსევისთვის იყო საჭირო. ეს გარემოება თავის მხრივ იმის მაჩვენებელია, რომ მეცხვარეობის განვითარებამ გარკვეული ვაგლენა მოახდინა ნაგებობის სტრუქტურაზე და ხელი შეუწყო მჭიდროდ დასახლებული სოფლის შედარებით ფართოდ განსახლებას.

მეცხვარეობის ინტენსიურად განვითარებასთან დაკავშირებით ეზოში ჩნდება აგრეთვე მანამდე უცნობი ნაგებობა—ე. წ. ს ა რ ა ე, რომელიც ორი ან სამი მხრიდან შემოკედლილია და ზემოდან ბანითაა დახურული. მის შიგნით აკეთებენ ცხვრისათვის ვიწრო და გრძელ საწველელასაც, რომელსაც მთიულეთ-გუდამაყარში ბერა ეწოდება, ხოლო ხევში ბერა მარტო თხების საწველს ჰქვია. მისი გაღობვა ხდება ერთმანეთზე სიგრძივ დაწყობილი ხეებით, ქვებით და ფიცრებით. ასეთსავე გრძელსა და ვიწრო საწველელებს აკეთებდნენ და ღღესაც აკეთებენ მეცხვარეები საზაფხულო საძოვრებზე. იქვე ღობევენ ცხვრისთვის ღამით სადგომ ბაკებს, ხოლო მწყემს-მწველავთათვის ქოხებს და წველის მთელ სეზონს (5—6 კვირას) მთაში ატარებენ.

XIX საუკუნე ისე დასრულდა, რომ ხევში არც ერთი კრამიტინი ან თუნუქით დახურული საცხოვრებელი სახლი არ მოიპოვებოდა. XX საუკუნის დასაწყისშიც მაინცდამაინც დიდი ცვლილება არ მომხდარა; მხოლოდ ზოგიერთ სოფელში თუ შეინიშნებოდა თითო-ოროლა სახლი ამგვარი სახურავით. ოქტომბრის რევოლუციამდე და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ ხანებშიც ხევში ჯერ კიდევ ბანიანი სახლების რაოდენობა ბევრად ჭარბობდა კრამიტითა და თუნუქით გადახურულ ბინებს. 1930-იანი წლებისათვის ბანიანი სახლების რიცხვი თითქმის განახევრდა. 1940 წლისათვის ახალი საცხოვრებელი სახლების

რიცხვმა ნაგებობათა საერთო რაოდენობის 70 პროცენტს მიჰყვება, ხოლო დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან დღემდე ისეთი ტემპით წავიდა წინ ძველის ნგრევა და ახლის შენება, რომ ბანიანი სახლები თანამედროვე ხევში თითქმის აღარც არსებობს.

როგორც ზემოთ ითქვა, გარეგნულ ფორმასთან ერთად იცვლებოდა სახლის შიდა კონსტრუქცია და ახალი ცხოვრების პირობების შესაბამისად ხდებოდა არსებული სათავსოების ან დამატებით წარმოქმნილი ელემენტების გამოყენება. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისისათვის კვლავ დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა გაყრილი ძმების მიერ სახლის საზიაროდ მშენებლობა და ოჯახების რაოდენობის მიხედვით საცხოვრებელი და სამეურნეო ფართობის თანაბრად დანაწილება. თუ ორი ძმა უმთავრესად გრძელი ფორმის ერთ-სართულიანი ნაგებობით კმაყოფილდებოდა, ოთხი ძმა უსათუოდ ორსართულიან სახლს იშენებდა იმ ვარაუდით, რომ თითოეულ ოჯახს ჰქონოდა ორ-ორი დიდ-პატარა ოთახი და ერთი საკუთარი სენა მაინც. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში უპირატესობა მეორე სართულს ენიჭებოდა, ფართობის განაწილება წილის ყრით ხდებოდა. ამის შესაბამისად, ორი ძმა სახლდებოდა პირველ სართულზე და ორიც მეორეზე. მაგრამ როდესაც სამი ძმა იშენებდა სახლს, უფრო ადვილად ხერხდებოდა თანასწორობის დაცვა, ვინაიდან მათი სახლის ორივე სართული სამ თანაბარ ნაწილად იყოფოდა.

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში გრძელი ფორმის სახლს დგამდნენ, საზიარო ან ორივე მხრიდან მიშენებული ქვის კიბით. რაც შეეხება სამეურნეო ნაგებობებს — ბოსელს, საწყობს და სენას, მას ეზოში ან საზიაროდ იშენებდნენ და სახლივით თანაბრად ინაწილებდნენ, ანდა ცალ-ცალკე იკეთებდნენ.

XX საუკუნის დასაწყისში ძმების მიერ საზიაროდ აშენებულ სახლს ზოგჯერ თუნუქით ან კრამიტით ხურავდნენ და ორივე სართულზე ყველა ოჯახისათვის საერთო ღია აივანსაც აკეთებდნენ. ღუღუშაურების მიერ აშენებული ერთ-ერთი ასეთი სახლი დგას სოფ. სნოში (ტაბ. XV, სურ. 1).

ხევში ადგილი ჰქონდა გაყრილი ძმების მიერ სახლების ცალ-ცალკე აშენების შემთხვევებსაც, მაგრამ XIX—XX სს. მასალების მიხედვით



საზიარო მშენებლობის გვერდით ეს შედარებით ნაკლებად განვითარებული წესი ჩანს. ეს გარემოება იმიტით უნდა აიხსნებოდეს, რომ ხევში გადმონაშთური ფორმით დიდხანს შემონახული საოჯახო თემის დაშლის შემდეგაც განაყრები ოდინდელი ერთად ცხოვრების ტრადიციას ცალ-ცალკე ოჯახებისთვის დაყოფილ, მაგრამ საერთო ძალით აშენებულ ერთ სახლში ყოფნით აგრძელებდნენ.

დამოუკიდებელ ოჯახებად გაყრილი ძმების მიერ სახლის საზიაროდ აშენების ტრადიცია არც თანამედროვე ხევისათვის არის უცხო, მაგრამ დამახასიათებელ მოვლენად ეს უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს. 1930-იანი წლებიდან ინდივიდუალური ბინთაშენებლობა თანდათანობით სჭარბობს ძმების მიერ საზიაროდ აშენების ძველიდან მომდინარე ჩვეულებას და დღეისათვის საყოველთაოდ დანერგილ წესად არის განმტკიცებული.

ცალკეული პატარა ოჯახებისათვის თავდაპირველად (XX ს. დასაწყისში) ჯერ კიდევ ბანიანი სახლები კეთდებოდა. შემდგომში მისი შინაგანი გეგმა უცვლელი რჩება, ხოლო ადგილი აქვს გარეგნულ გალამაზებას და ბანის მაგივრად ორფერდა, სამფერდა და ოთხფერდა სახურავის გაკეთებას. ამ მხრივ ტიპურად შეიძლება ჩავთვალოთ სოფ. ახალციხეში 1923 წელს ალექსი ბუჩუკურის მიერ აშენებული და 1950 წელს კოლა ჩაბაიძის მიერ მისგან ნაყიდი სახლი (ტაბ. XVII, სურ. 1). ქვის მშრალი წყობით აშენებული მისი კედლები ორივე მხრიდან ლამკირით შელესილი და კირით შეთეთრებულია. იატაკი და ჭერი ფიცრისა აქვს, ფანჯრები კარგად გაწყობილი, ხოლო მის ოთხფერდა სახურავს კრამიტი ფარავს. სახლი შედგება სამი განყოფილებისაგან. შუაში მდებარეობს ზომით სხვა ოთახებზე პატარა ს ე ნ ც ა ე, რომლის ჩრდილო მხარეზე მოქცეულია ს ა მ ყ ო ფ ო ო თ ა ხ ი, ხოლო სამხრეთიდან სენცას აკრავს სასტუმროდ გამოყენებული „ზალაჲ“.

სახლის სამხრეთ მხარეზე მიშენებულია კრამიტით დახურული და წინა მხრიდან შეფიცრული მარანი, სადაც ინახავენ პროდუქტებს, მატყლს, ტყავსა და სხვადასხვა ნივთებს. ის ერთდროულად ასრულებს ძველ სახლში არსებული კუთხისა და სენას ფუნქციებს.

მარნის წინ ეზოში დგას დახურული ნაგებობა ორი კედლით (სარაე), სადაც ზაფხულობით დანთებულ კერაზე ამზადებენ საქმელს, ხოლო წვიმიან ამინდში აყენებენ ცხვარს.



საკმაოდ მოზრდილი ეზოს ერთ კუთხეში გაკეთებულია სალონი, ხოლო ბოსელი კვლავ ამ სახლის ამშენებლის ძველ საცხოვრებელ კომპლექსშია მოთავსებული.

ამგვარი ტიპის სახლების მშენებლობა განსაკუთრებით დამახასიათებელია 1940-იან წლებამდე. ის ბანით იქნებოდა დახურული თუ კრამიტით, სულერთია ოთახები მაინც ერთ მწკრივში იყო განლაგებული და სენცაჲ შუაში ან ნაპირზე მდებარეობდა. მაგრამ ოჯახი ამგვარი ტიპის სახლს ზოგჯერ განსხვავებულ იერს აძლევდა და მას წინ სავსებით ღია ან მოაჯირიან აივანს უკეთებდა. აივნის ბოძები ერთ შემთხვევაში გაკუთხული ხეების სახით წარმოგვიდგება და მოაჯირიც სადაღათილი ფიცრითაა გაწყობილი. მეორე შემთხვევაში მოაჯირი გაკეთებულია სხვადასხვაგვარ ფიგურებად გამოჭრილი ფიცრებისაგან, ხოლო ბოძის თავები აქურული ორნამენტებითაა დამშვენებული (ტაბ. XV).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხერხი სახლის აივანს კიდევ ერთი ახალი ელემენტი უჩნდება შუშაბანდის სახით, რაც დაახლოებით 1935 წლიდან შემოდის და თანდათანობით ვრცელდება (ტაბ. XVI, XVII, XVIII, XIX). შუშაბანდის შემოღებამ სახლის კომპლექსიდან გამოდევნა, აივნის ორნამენტური ბოძები და მოაჯირები.

ამ გრძელ გაჭიმული სახლების აივნებთან ერთად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი სახურავებიც. გარდა იმისა, რომ სახლები კრამიტით ან თუნუქითაა დახურული, თითოეული სახურავიც ორფერდა, სამფერდა ან ოთხფერდაა. ასეთი სხვადასხვაობაც მხოლოდ გრძელი ერთსართულიანი ან ორსართულიანი სახლებისათვის არის ნიშანდობლივი, რაც აღარ შეინიშნება უახლესი ტიპის სახლებში, რომლებსაც ქვემოთ შევეხებით.

თუ სახლს ორფერდა სახურავი აქვს, ნაგებობის გვერდითი კედლები სახურავის სიმაღლემდე არის ამოყვანილი, ხოლო ერთ-ერთ კედელში კარებია გამოყვანილი. კედელზე მიადგამდნენ რა ხის კიბეს, ამ კარებით სახურავქვეშ („ჩარდახში“) შედიან, სადაც სხვადასხვა ნივთები ინახება. ამგვარადვე არის „ჩარდახთან“ კავშირი განხორციელებული იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახურავი სამფერდაა, ხოლო ოთხფერდა სახურავქვეშ მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ ჭერში ამოჭრილ ერდოსთან მიყუდებული კიბის მეშვეობით. აივნის თუ შუშაბან-



დის ქერში ამოჭრილი ერთი ადიან „ჩარდახში“, მაშინვე წაიღეს და  
საც სახურავი ორფერდა ან სამფერდაა, მაგრამ მას კედელში კარები  
არა აქვს დატანებული.

ასეთი სახის ნაგებობა წარმოადგენდა იმ დიდ სიახლეს, რომელმაც  
ხევში შეცვალა ბანიანი სახლი და თანდათანობით შეამცირა მათი რაოდენობა.  
მაგრამ თავის დროისათვის არსებული ეს დიდი სიახლე ხევში მალე მოაძველა  
ნაგებობის კიდევ უფრო ახალმა ფორმამ, რომლის გავრცელება 1940-იან წლებიდან იწყება და განსაკუთრებით სამამულო  
ომის შემდგომ პერიოდში ვითარდება.

უახლესი ტიპის სახლების მშენებლობას პირველ ხანებში საქართველოს  
სამხედრო გზის პირად მდებარე სოფლებში (ყაზბეგი, სიონი...) მისდევდნენ,  
ხოლო შემდეგ ფართოდ შეიჭრა ის გზიდან მოშორებულ სოფლებში (გორისციხე,  
ხურთისი, ყანობი...). მის გასაცნობად შეიძლება დავკმაყოფილდეთ ერთი-ორი  
სახლის მოკლე აღწერილობით.

სოფ. სიონში 1950 წელს დაამთავრა სახლის მშენებლობა კოლწევრმა  
ციცკა იოსების ძე სისაურმა (ტაბ. XVII, სურ. 2; ტაბ. XVIII). პირველ  
სართულზე, რომელიც მეორე სართულზე უფრო პატარა და დაბალია,  
მოთავსებულია ს ე ნ ც ა ჯ (შესასვლელი), ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო ,  
ს ა მ ყ ო ფ ო და მ ა რ ა ნ ი. პატარა ბეჭობზე სახლის დადგმის გამო  
მისი პირველი სართულის დიდი ნაწილი აუთვისებელია.

კარგად გათლილი ქვის კიბით ეზოდან ავდივართ სახლის მეორე სართულზე,  
რომლის პირველი განყოფილებაა დიდი ზომის (25 კვ. მ.) შუშაბანდი.  
შუშაბანდის პირდაპირ მდებარეობს ე. წ. „ზალაჟ“, რომელიც შუშაბანდისაგან  
ქვის ფუნდამენტური კედლითაა გამოყოფილი და ამავე კედელში დატანებული  
კარებითაა დაკავშირებული. შუშაბანდში გამოდის აგრეთვე აღნიშნულ  
კედელში გამოჭრილი „ზალაჟ“-ს ორი ფანჯარა.

ზემო სართულის მეორე ნახევარი ერთმანეთის გვერდით მდებარე  
ორი ოთახისაგან შედგება. როგორც შუშაბანდისა და „ზალაჟისაგან“, ისე  
ერთმანეთისაგან მათი იზოლირება განხორციელებულია ლასტის  
კარგად შეღესილი ტიხარით, ხოლო ოთახების ურთიერთაკავშირისათვის  
ყველა ტიხარში დატანებულია კარები.

ანალოგიური, ოღონდ კიდევ ურო კომფორტაბელურია დიმიტრი და ვახტანგ  
დავითაშვილების სახლი (ტაბ. XVII, სურ. 3) იმავე სოფელ-



ში, რომლის მშენებლობა 1954 წელს დაიწყო და 1957 წელს დასრულდა.

სახლი ორსართულიანია. პირველი სართული ნახევრად მიწაში ჩამჯდარ სარდაფს წარმოადგენს და შედგება შესასვლელის („ს ე ნ ც ა მ“), სამზარეულოს, სენასა, და საწყობისაგან. პირველი სართულის ეს განყოფილება ქვის კედლებითაა გატიხრული, სენასა და სამზარეულოს გარდა, რომელთა შორის ლასტია გაკეთებულია.

მეორე სართულზე შესასვლელს წინა ფასადის ერთ მხარეზე გაკეთებული შუშბანდი წარმოადგენს. შუშბანდის პირდაპირ აქაც „ზალა“ მოთავსებული, ხოლო სახლის მეორე ნახევრის ფართობი ორი დიდ-ბატარა ოთახის სახითაა წარმოდგენილი.

სისაურების ზემოთ აღწერილი სახლისაგან განსხვავებით, რომლის პირველი სართული ერთდროულად საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულებისაა, დავითაშვილების სახლის ქვედა სართული არსებითად სამეურნეო სათავსოების კომპლექსს წარმოადგენს.

დავითაშვილების სახლის შუშბანდის კუთხეში ქვის კულაა ამოყვანილი, რაც მეტ სიმაგრესა და სილამაზეს მატებს ნაგებობას, მაშინ როდესაც სისაურების სახლის ამ ადგილას ხის ბოძი დგას. ამასთან ერთად, დავითაშვილების სახლის ცენტრში ამოშენებულია ცენტრალური კულაც. მასში საკვამლე მილია მოთავსებული და ნებისმიერ ოთახში დადგმული ღუმელის საკვამლე მილის მასთან დაკავშირებაა შესაძლებელი; ეს არ არის ზოგჯერ გათვალისწინებული ახალი ხევის ამავ ტიპის სხვა ნაგებობებში.

დავითაშვილების სახლი არის თანამედროვე ხევაში გავრცელებული უახლესი საცხოვრებელი ნაგებობის ტიპური ნიმუში, როგორც გარეგნული გაფორმების, ისე მისი შიდაკონსტრუქციის თვალსაზრისით. მისი ფართო და მწვანე ეზოც, სადაც სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა ნაგებობის გაკეთებაა გათვალისწინებული, ამის ერთ-ერთ ილუსტრაციად შეიძლება ჩაითვალოს.

თუ ამ უახლესი სახეობის ნაგებობებს ზემოთ აღწერილ გრძელ სახლებს შევადარებთ, მათ შორის უდავოდ მკვეთრ განსხვავებას დავინახავთ. გრძელი სახლი ძირითადად საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო მარანი და საქონლის სადგომი მის ეზოში არის გამოტანილი. უახლესი ტიპის ნაგებობის კომპლექსში კი საცხოვრებელს გარდა ისეთი განყოფილებებიცაა მოთავსებული, როგორიცაა საწყობი



და სენა, ხოლო საქონლის სადგომი საკარმიდამო ფართობის შემცირების მიზნით მელიმე კუთხეს იკავებს. საკარმიდამო ფართობის შემცირების მიზნით ვაში სამეურნეო ნაგებობანი სახლის უკან ან გვერდებზე ვევა მიშენებული. მაგალითად, სოფ. ხურთისში, ნიკო ქემაშვილის სახლის ერთ მხარეზე მიშენებულია ბოსელი, ხოლო მეორეზე — საქათმე (ტაბ. XIX). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქათმის გაკეთება ხევის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სრულიად ახალი მოვლენაა, ისევე, როგორც ფუტკრის სკის დადგმა ეზოში, რაც აგრეთვე ჯერჯერობით ძალზე იშვიათად თუ შეიმჩნევა.

თითოეული სახლის გარშემო საკარმიდამო ფართობის გაჩენამ სავსებით შეუცვალა სახე სოფელს, როგორც დასახლების ერთეულს. როგორც ზემოთ ითქვა, გაშლილი დასახლებისაკენ მიდრეკილება ხევში ადრეც შეიმჩნეოდა (მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ კონცხებიდან ჩამოვაკება, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცხვარეობის ინტენსიურ განვითარებასთან დაკავშირებით ეზოს გაჩენა), მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხევის სოფელი მაინც შეკვთულად დასახლებულ ერთეულს წარმოადგენდა. თანამედროვე ხევის სოფელი სრულებით აღარ ჰგავს გასული საუკუნის სოფელს. ყველა მათგანი გაცილებით ვრცელ ტერიტორიაზეა განსახლებული, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი ხევის უახლოეს წარსულში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელი სიონი, რომელსაც ერთ კილომეტრამდე სიგრძისა და მის ნახევრამდე სიგანის ტერიტორია უჭირავს, მაშინ, როდესაც სამოციოდე წლის წინათ ის 0,5 ჰ. ბორცვზე იყო დასახლებული. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს არშის, ყაზბეგის, სნოსა და რიგი სხვა სოფლების მაგალითზედაც.

სამოსახლო ტერიტორიის მასშტაბის მიხედვით თანამედროვე სახლს ხევში სხვადასხვა ზომისა და ხარისხის ეზო უკეთდება. თუ გამწვანებული ეზო ხევში ჯერ კიდევ ნაკლებად გვხვდება (ტაბ. XVI, სურ. 2), საერთოდ უეზოო სახლს კაცი აქ ვეღარც კი ნახავს.

დასასრულ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ნაგებობის გადაკეთებისა და ახალი სახეობის სახლების გავრცელებასთან ერთად, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე შესამჩნევია, თანდათანობით იცვლის იერს საცხოვრებლის შიდა მოწყობილობაც. მეცხვარეობის ინტენსიური განვითარებისა და კაპიტალისტური ურთიერთობის პირო-

ბებში მოხვევთა ბინებიდან ნელ-ნელა იდევნება მოწყობილობის ძველი ელემენტები და მის ადგილს იკავებს ფაბრიკული ნაწარმი. კერასა და ჩირალს ენაცვლება თუნუქის ღუმელი და ნავთის ლამფა, ხოლო შინ დამზადებულ საოჯახო ნივთებს ფაბრიკული ავეჯი. მაგრამ გასულ საუკუნეში ეს პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს და კვლავინდებურად გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებს მოწყობილობის ძველი ტიპი. არსებითი ცვლილება მხოლოდ XX საუკუნიდან იწყება და განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ახალ ცხოვრებას ზიარებული მოხვევე არა მარტო ნათელსა და მრავალგანყოფილებიან ბინას იშენებს, არამედ მას კარგი გემოვნებითაც აწყობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ხევში არც ერთი ძველი შიდამოწყობილობის მქონე სახლი აღარ არის შემონახული. მოხვევთა ბინები მოწყობილია ფაბრიკული საოჯახო ინვენტარით და უზრუნველყოფილია ელექტროგანათებით თუ რადიოქსელით. საკოლმეურნეო ცხოვრებამ და განათლების გავრცელებამ სავსებით შეუტვალა სახე ძველ მოხეურ სახლსა და სოფელს.

## დამოწმებული ლიტერატურა

1. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V თბ., 1950, გვ. 5.
2. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 66—68.
3. ვ. ითონიშვილი, ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბ., 1963.
4. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1948; ტ. II, თბ., 1948; ტ. V. თბ., 1950.
5. А. Хаханов. О мохевцах. Сборник материалов по этнографии, издаваемый Дашковским этнографическим музеем, вып. III, Москва, 1888.
6. ს. მაკალათია, ხევი, ტფილისი, 1934.
7. რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმოწინაშეთები ხევში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვეთი II, თბილისი, 1959; Грузинская семейная община, Тбилиси, I, 1960, II, 1961.
8. გ. ჭალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში. „აქად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XXII—B, თბ., 1961.
9. ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური საშუალებები ხევში. „მუზეუმის მოამბე“, XXIII—B თბ. 1962.
10. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; ხალხური მმართველობის ისტორიიდან, „მასალების საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, IX, თბ., 1957; ურვადი ხევში, „საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, XXIII, № 1, 1959; ხენა-თესვა ხევში, „თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა შრომები“, VI, თბ., 1953; ვაჟა-ფშაველას წინაპრები, „მწათობი“, 1961, № 7 და სხვ.
11. ვ. ითონიშვილი, ეთნოგრაფიული ექსპედიცია ხევში, გაზ. „ახალი ხევი“, 1957, № 64.
12. ვ. ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრქსოს ხეობაში, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, I, თბ., 1964; გ. ჭალაბაძე, დასახ. ნაშრომი; ი. ნანობაშვილი, დასახ. ნაშრომი.
13. ვ. თოფურია, თვალისჩინივით გვეუფთარხილდეთ. გაზ. „კომუნისტი“, 1959, № 3 (11309).
14. ვ. დოლიძე, გარბანი, თბ., 1958, გვ. 22—23.
15. ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.
16. ვ. ითონიშვილი, ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბ., 1963.
17. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875, გვ. 127—128.



18. გ. ბედოშვილი, სოფ. გარბნის წმინდა გიორგი და მისი დღეობა. ვაზ. „ივერია“ № 1893, № 83; მ ი ს ი ე ე, მწყემისის კორესპონდენცია (ხევიდან), უ. „მწყემისი“ № 1898, № 10; ა. კობაიძე, არშის ციხე, „ივერია“, 1888, № 209.
19. ალ. ყაზბეგი, თხზ. ტ. V, გვ. 37.
20. ს. შაკალათია, ხევი, გვ. 128—142.
21. P. Харадзе, Грузинская семейная община, I, გვ. 131,
22. P. Харадзе, Грузинская семейная община, II, გვ. 20—25.
23. ს. ბედუქაძე, საცხოვრებელი ნაგებობანი ქართული ხალხური პოეზიის ნაბეჭდი მასალების მიხედვით, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, IV, თბ., 1950.
24. П. закаряя, Некоторые вопросы крепостных сооружений Шида Картли XVI—XVIII вв. „აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIX—A—XXI—B, თბ., 1957; მ ი ს ი ე ე, Фортификационные сооружения Шида—Картли, „Краткие сообщения ИИМК, вып. XLVI, Москва, 1952.
25. В. долидзе, P. Шмерлинг, Военно-Грузинская дорога, Тбилиси, 1956, გვ. 53—59; 62—65.
26. ვ. დოლიძე, ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლები, „ქართული ხელოვნება“, V, თბ., 1959.
27. ვ. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.
28. ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.
29. ვახუშტი, გვ. 66; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1945, გვ. 146—238; ს. ბედუქაძე, დასახ. ნაშრომი; მ ი ს ი ე ე, ქვის დამუშავება მთიულეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, V, თბ. 1951.
30. ს. ბედუქაძე, მ. ჩართოლანი, სამგორის ახალი მოსახლეობის საცხოვრებელი და საშენობო ნაგებობანი, „აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XIX—A და XXI—B, თბ., 1957, გვ. 29.
31. თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი (წალკური სახლი) თბილისი, გვ. 29.
32. გ. ჩუბინაშვილი, ქართლის დარბაზი, I, დარბაზი დილომში, ტფილისი, 1927, ტაბ. II; გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, „მომომხილველი“, I, ტფილისი, 1926, გვ. 237.
33. ვ. ზარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევისტოსი, თბილისი, 1939, გვ. 18.
34. გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. II.
35. М. Владикин, Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу, Москва, 1885, გვ. 191—192 Ф. Горнау Воспоминания о Кавказе и Грузии. „Русский вестник“ 79, 1869, გვ. 440.



36. ლ. მელიქიძე-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი, 1938, გვ. 135-136; სივე, Рельфы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, IX, თბ., 1957; ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.
37. Л. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1928 и 1929 22. „Известия ингуцкого научно-исследовательского института краеведения, II-III, Владикавказ, 1930, გვ. 382; И. Щербликин, Архитектура древних ингушских святилищ, „ИИНИИК-II-III, გვ. 425, 446; ვ. ითონიშვილი საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსხეობაში, კვ. I, გვ. 122-123.
38. ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი გვ. 18.
39. Г. Чурсин, Амулеты и талисманы Кавказских народов, Махачкала, 1929, გვ. 7-8.
40. Н. Марр, Значение и роль изучения меньшинства в краеведении. Избранные работы, I, из-во ГАИМК, 1933, გვ. 238, В. Никольский. До- историческая, культура М- Л, 1936, გვ. 16.
41. Н. Марр, Яфетический Кавказ и третий этнический элемент. Избранные работы, I, გვ. 99- 100.
42. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, თბილისი, 1929, გვ. 108.
43. ნ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის საკითხებიდან („ხელი“ და „დაწერილი“), საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყ. XII სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1943, გვ. 4.
44. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, გვ. 172.
45. თ. ოჩიაური, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი ხევსურეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, VII, თბილისი, 1955, გვ. 33.
46. გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე“, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები („ანალები“), I, თბ., 1947, გვ. 152—153.
47. ივ. ჯავახიშვილი, მასალები... I, გვ. 107.
48. ივ. ჯავახიშვილი, მასალები... I, გვ. 106—109.
49. ივ. ჯავახიშვილი, მასალები... I, გვ. 171.
50. ივ. ჯავახიშვილი, მასალები... I, გვ. 171—172.
51. ივ. ჯავახიშვილი, მასალები, I, გვ. 6—8, 229, 235; ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიავო დე ჩილი, 1957, გვ. 240—241.
52. გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე“ „ანალები“, I, გვ. 145.
53. ივ. ჯავახიშვილი, მასალები... I, გვ. 9—10, 19—20.
54. ვ. ბერიძე, XVIII საუკუნის ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები, „აკად. ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XVI—B, თბ., 1947, გვ. 224.



55. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბილისი, 1928, გვ. 142, 147—148; მისივე, მასალები... I, გვ. 9, 13, 22, 25; ს. ჯანაშია, მემბრები, I, თბ., 1949, გვ. 131—133.

56. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 20—25.

57. Л. Панек, Жилище Лезгин, I, „მასალები საქართველოს ენთოგრაფიისათვის“, IX, თბილისი, 1957, გვ. 153.

58. ვ. ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კავკასიის ენოგრაფიული კრებული, I, ტაბ. I.

59. აღ. ყაზბეგი, თხზ., ტ. V, გვ. 34.

60. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო... გვ. 154—155.

61. აღ. ყაზბეგი, თხზ., ტ. V, გვ. 507—508.

62. გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, VI, თბ., 1953; აღ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბაღყარეთში, მსე, XI, თბ., 1960; მსე, XII—XIII, თბ., 1963; კავკასიის ენოგრაფიული კრებული, I, თბ., 1964; აღ. რობაქიძე, სვანური ქალაქოლის საკითხისათვის, „საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყ. მოამბე“, თბ., 1963, № 3; რ. ხარაძე და აღ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964; რ. ხარაძე და აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი, თბ., 1965; А. Робакидзе. К вопросу о формах поселения в Сванети, „Крат. сообщ. Института этнографии АН СССР. в. XXIX, Москва, 1958; А. Робакидзе и Р. Харაдзе. К вопросу о сванско-балкарских этнокультурных взаимоотношениях, сб. კრებულში — „О происхождении балкарцев и карачаевцев“, Нальчик, 1960; ვ. ითონიშვილი საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კავკასიის ენოგრაფიული კრებული, I.

63. გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე“, „ანალები“, I, 1947.

64. В. Долидзе, Р. Шмерлинг, Военно-Грузинския дорога, გვ. 54-56.

65. ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა XVIII, საუკუნეში, თბილისი, 1907, გვ. 420.

66. ვ. დოლიძე ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლები.

67. ვ. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 240—242.

68. ვ. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 242-243; В. Додидзе Р. Шмерлинг დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

69. პ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1953, გვ. 61; მისივე, Некоторые вопросы крепостных сооружений . . .

70. ივ. ჯავახიშვილი, მასალები... I, გვ. 19—28, 46, 83, 84, 222.

71. Ксенофонт. Анабасис, М—Л, 1951, გვ. 138.

72. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ, 1957, გვ. 204.

73. აღ. ყაზბეგი, თხზ. ტ. V, გვ. 33, 226.

74. აღ. ყაზბეგი, თხზ. ტ. V, გვ. 34.

75. მოხუერი ლექსები, აღ. გომიაშვილის რედ. თბ., 1939, გვ. 14, 72.



76. მ. ჩართოლანი, სევანური სახლის აყარი (შვილ), „აკად. ს. ჯანაშიას სახელობის მწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—A — XXI—B, თბილისი, 1957, გვ. 307.
77. აღ. ყაზბეგი, თხზ. ტ. V, გვ. 34.
78. გ. ჩიტაია, სევანური „საკურცხილ“, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, II, ტფილისი, 1925, გვ. 87—110.
79. აღ. ყაზბეგი, თხზ. ტ. V, გვ. 34.
80. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 246—253.
81. ხოლომონ ყაზბეგი, ყაზბეგის მთა, ვაზ. „ივერია“, 1895, № 197.
82. ს. მაკალათია, ხევი გვ. 237.
83. ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი, 1930, გვ. 101.
84. ს. მაკალათია, ხევი, გვ. 141.
85. გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე“, „ანალები“ I, გვ. 150.
86. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 195.
87. მოხეური ლექსები, აღ. გომიაშვილის რედ. გვ. 7.
88. პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, თბილისი, 1937, გვ. 256, 475.
89. გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, „მომომხილველი“, I, ტფილისი, 1926, გვ. 147—148; მ ი ს ი ვ ე, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, „ენიმკის მოამბე“, X, თბ., 1941, გვ. 307—308.
90. გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი... გვ. 310.
91. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 232—237.
92. მ. ჩართოლანი, კერა სევანურ სახლში, „მუზეუმის მოამბე“, XX—B, თბილისი, 1959, გვ. 8.
93. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 244—301.


## ილუსტრაციების სია



- I. სოფ. ყაზბეგი, ღუღუშაჭრების სახლი: 1. სამხრეთ-დასავლეთის ფსადი ქვის კიბით (ვ. წიკლაური). 2. დასავლეთის ფსადი. 3. გრძივი განაკვეთი (ვლ. წილოსანი).
- II. სოფ. ახალციხე. ქერაშვილების სახლი: 1. მთავარი ფსადი. 2. ვანივი კვეთი (ალ. ყაზბეგის სახელობის ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი).
- III. სოფ. ხურთისი. წიკლაურების სახლი (ვ. გიგაშვილი): 1. მთავარი ფსადი. 2. მესამე სართულის გეგმა (1. „სენცაა“, 2—3. საზაფხულო ოთახები, 4. მეორე სართულზე ჩასასვლელი კიბე, 5. კულა, 6. შუკუნები, 7. თახჩები, 8. ბანი).
- IV. წიკლაურების სახლი (ვ. გიგაშვილი): 1. პირველი სართულის გეგმა (1. „ურდულაა“, 2. ბოსელა, 3. ჩასასვლელი პანდუსი). 2. მეორე სართულის გეგმა (1. ბოსელში ჩასასვლელი კიბე, 2. „კარსუქენაა“, 3. „სენაა“, 4. სამყოფო, 5. მესამე სართულზე ასასვლელი კიბე ერდოსთან, 6. მარცვლეულის შესანახი გოდრები, 7. მარცვლეულის შესანახი ხარო, 8. ურდულაში ჩასასვლელი ერდო, 9. კულები).
- V. წიკლაურების სახლი: 1. კრილი 1—1. 2. კრილი 2—2 (ვ. გიგაშვილი).
- VI. 1. დედაბოძი თავქუდიო (ს. მაკალათია). 2. სოფ. ყაზბეგში ღუღუშაჭრების სახლის პირველი სართულის გეგმა (ვ. წილოსანი). 3. სოფ. ხურთისში წიკლაურების სახლის ტიხარი, დედაბოძი და ქერის წყობა (ვ. გიგაშვილი).
- VII. სოფ. ყანობი. 1. ითონიშვილების ციხე-სახლის თავდაპირველი სახე — მთავარი ფსადი. 2. მთავარი ფსადი კოშკის მიშენების შემდეგ (ვ. გიგაშვილი).
- VIII. ითონიშვილების სახლი: 1. კრილი 1—1. 2. კრილი 2—2 (ვ. გიგაშვილი).
- IX. ითონიშვილების სახლი: 1. მეორე სართულის გეგმა (1. ქვის კიბე, 2. „ზაით დარიფანი“, 3. კერის ადგილი, 4. კულა, 5. შუასახლი—სამყოფო) (ვ. გიგაშვილი). 2. კარაჩხა (ნ. ლომსაძე). 3. სარკმელი, 4. სათოფური, 5. სათოფურის გეგმა (ვ. გიგაშვილი).
- X. ითონიშვილების სახლი: 1. ბანის კარნიზის ორნამენტის ნიმუში, 2. ბუხარი 3. ბუხრის ქვა (ვ. გიგაშვილი).
- XI. ითონიშვილების სახლის თანამედროვე სახე: 1. სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან (ვ. დოლიძე). 2. მთავარი ფსადი (ვ. გიგაშვილი).
- XII 1. ციხე-სახლის ნანგრევი სოფ. ფხელშეში (ვ. დოლიძე). 2. აიენიანი სახლი სოფ. გერგეტში (ი. პინაევი).




- XIII. ივენიათი სახლი სოფ. სნოში (ი. პინაევი). 2. სახლი სოფ. ხურთასში ივენით (ი. პინაევი).
- XIV. 1. გადაკეთებული სახლი სოფ. გერგეტში (ი. პინაევი). 2. სახლი სოფ. გერგეტში კარის თავზე გველების რელიეფური გამოსახულებით (ი. პინაევი).
- XV. 1. ლუდუშაურების სახლი სოფ. სნოში, აშენებული 1915 წელს (ი. პინაევი). 2. ჭაღაშვილების სახლას ივენია სოფ. ყანობში (ვ. გიგაშვილი).
- XVI. 1. თედო ეფხიშვილის სახლი სოფ. ყაზბეგში. 2. გრიშა ჰაპიაშვილის სახლი სოფ. სნოში (ი. პინაევი).
- XVII. 1. კოლა ჩაბაიძის სახლი სოფ. ახალციხეში. 2. ციკვა სისაურის სახლი სოფ. სიონში. 3. დავითაშვილების სახლი სოფ. სიონში (ვ. გიგაშვილი).
- XVIII. სოფ. სიონი. 1. ციკვა სისაურის სახლი (ი. პინაევი). 2. ც. სისაურის სახლას პირველი სართულის გეგმა (1. „სენცაჲ“, 2. სამზარეულო, 3. სამყოფო, 4. მარანი, 5. მაწის ფენა—აუთვისებელი ადგილი). 3. მეორე სართულის გეგმა (1. შუშაბანდი, 2. „ზალაჲ“, 2—4. ოთახები) (ვ. გიგაშვილი).
- XIX. სოფ. ხურთისი. ნიკო ქემაშვილის სახლი: 1. წინა ფასადი. 2. გვერდითი ფასადი (ი. პინაევი).













1




2








ტაბულა V




1




2









1








2






1































## შინაარსი

შესავალი	3
I. სახლის მშენებლობის ხალხური წესები	8
II. ძველი დროის საცხოვრებელი ნაგებობანი	21
1. ორსართულიანი ნაგებობანი	21
2. ტერასული ნაგებობანი	31
3. ციხე-სახლები	38
III. მოხეური სახლის შიდამოწყობილობა	48
IV. ახალი ეპოქის საცხოვრებელი ნაგებობანი	66
დამოწმებული ლიტერატურა	76
ილუსტრაციების სია	81
ტაბულები	83

Валериян Джамбулович Итонишвили

Жилые постройки в Хевзи  
в прошлом и настоящем

(На грузинском языке)

«Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5  
1967

რედაქტორი ირ. არაბული

მხატვარი დ. დუნდუა

მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე

ტექნიკური რედაქტორი ვ. კიკინაძე

კორექტორი ც. ნიკურაძე

ვადაცვა წარმოებას 3/XI-65 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/111-67 წ.

ქალაქის ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ნაბეჭდი  
თაბახი 6,5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 5,32.

უე 01665. ტირაჟი 1500 შუკვ. № 1248.

ფასი 36 კაპ.

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი, მარჯანიშვილის, 5

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.